ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ნოემბერი ოთხშაბათი 2015
№ 231 (14 708) ფასი 1 ლარი

მოდიან!

12

ირლანდია-საქართველო. 2014 წლის ნოემბერი

მსოფლიო რაგბის ჩინოვნიკი:
ირლანდია და შოტლანდია საქართველოში ტურს გეგმავენ

ტრიო კვინტეტად იქცა

ბარსამ რეალს რომა დააკლა

6

ბარსელონა-რომა 6:1

ოქრიაშვილს გენკიდან უშვებენ

2

ბარსელონა და ბაიერნი პლეი ოფში გავიდნენ

A

„რეალი“ უკვე გასულია, პსჟ-ს მოგება სჭირდება

7

B

„მანჩესტერმა“ უნდა მოიგოს და პლეი ოფშია

JE SUIS PARIS ლიგაზე

C

მადრიდის „ატლეტიკოს“ ფრეც ჰყოფნის...

D

„სითი“ გასულია, „იუვემ“ უნდა მოიგოს...

ლორია სიმბოლურში შვიდი ვერსიით!

2

დღის ამგავი

ოქრიაშვილს იანვარში გაუშვებენ

თორნიკე ოქრიაშვილი

VOETBALNIEUWS.BE-ს ინფორმაციით, **თორნიკე ოქრიაშვილი** ძალიან ახლოსაა „გენკიდან" წასვლასთან. აი, რას წერს საიტი:

„როგორც ჩანს, იანვარში „გენკში" დიდი წმენდა იგეგმება. ერთ-ერთი ფეხბურთელი, კერძოდ კი, თორნიკე ოქრიაშვილი, სავარაუდოდ, იანვარში დატოვებს გუნდს. ამის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობა მალე შეატყობინებს თავად ფეხბურთელს. ნახევარმცველმა ორშაბათის ვარჯიში ავადმყოფობის მიზეზით გამოტოვა. სავარაუდოდ, ქართველი შემტევი უკმაყოფილო უნდა იყოს, რადგან პეტერ მაესის ხელში სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. ტექნიკური დირექტორი დიმიტრი დე კონდე მალე შეხვდება ფეხბურთელსა და მის აგენტს. სავარაუდოდ, მხარეები ერთმანეთს დაშორდებიან. ერთი წლის წინათ ოქრიაშვილი „გენკს" 1,8 მილიონი ევრო დაუჯდა. ამის მერე, მან ძალიან ცოტა საინტერესო რამ შემოგვთავაზა „კრისტალ არენაზე".

შეგახსენებთ, რომ 23 წლის ოქრიაშვილი ბელგიურ კლუბში „ჩერნომორეციდან" გადავიდა, რის შემდეგაც 32 მატჩში მხოლოდ 2 გოლი გაიტანა. „გენკთან" კონტრაქტი მას 2017 წლის ივნისამდე აქვს გაფორმებული.

როგორც იცით, „გენკში" კიდევ ერთი ქართველი ირიცხება - **ლუკა ზარანდია**, რომელსაც ასევე არ აქვს სათამაშო პრაქტიკა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგიონერები

მამას დავურეკე და გავახარე...

ლორიას გმირობა, დაფასებული ქართველები და დასჯილი ყენია

ქართველი ლეგიონერების თავს გასახარი ამბები ხდება. რუსეთის პრემიერლიგის მორიგი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა საქართველოს ეროვნული ნაკრების 28 წლის მეკარე **გიორგი ლორია.** „კრილია სოვეტოვმა" მოსკოვში სენსაციურად რომ მოუგო (2:0) ცსკა-ს, ქართველი გოლკიპერი კი იმ მატჩის გმირად იქცა.

„სპორტ ექსპრესმა" ლორიას თამაში 7 ბალით შეაფასა. წყაროს ინფორმაციით, მან არმიელებთან მატჩში ექვსჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი და რომ არა ის, „კრილია" ამ შეხვედრას ვერაფრით მოიგებდა. გიორგი „სპორტ ექსპრესის" მიერ შედგენილ სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

„ვგრძნობდი, რომ ამ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ვიქნებოდი. ბიჭებთან ბევრი ვისაუბრე მონაღმდეგე გუნდის დადებით და უარყოფით თვისებებზე. ავტობუსშიც ამაზე ვლაპარაკობდით. თითოეული ფეხბურთელის დეტალები განვიხილეთ, მათ სუსტ და ძლიერ მხარეებზე ვიმსჯელეთ...

თავს გმირად ნამდვილად არ მივიჩნევ. ეს წარმატება მთელი გუნდის დამსახურებაა. 11 მოთამაშე გადის მინდორზე და ყველას თავისი წვლილი შეაქვს გუნდის წარმატებაში...

საქართველოში ბევრმა უყურა ამ თამაშს და გამარჯვება მომილოცა. თამაში რომ დასრულდა, იგორ აკინფეევს ხელი ჩამოვართვი. მასთან არ მისაუბრია. ის უმაღლესი დონის მეკარეა...

მამაჩემი ისრაელში მკურნალობს. თამაშის დასრულების შემდეგ, დავურეკე. ბედნიერი ვარ, რომ გავახარე. მამა ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს. პირადად მე, უფრო მიყვარს, როცა კარში არ ვიყინები და აქტიურად ვარ ჩაბმული თამაშში", - უთხრა ლორიამ „კრილიას" ოფიციალურ საიტს.

დავამატოთ, რომ გიორგი პრაქტიკულად ყველა მედიასაშუალების (სულ შვიდმა) ვერსიით მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. უბრალოდ, ჩვენ ყველაზე ავტორიტეტულ რუსულ გამოცემაზე გავამახვილეთ ყურადღება.

როგორც ჩანს, ის საბოლოოდ დამკვიდრდა „კრილია სოვეტოვის" ძირითად შემადგენლობაში. ეს გასახარია, რადგან საქართველოს ნაკრებს კარგ ფორმაში მყოფი ლორია სჭირდება.

გიორგი ლორია

■ ■ ■

კიდევ ერთი ქართველი რუსეთის ტურის სიმბოლურ ნაკრებში - soccer.ru-ს ვერსიით, საუკეთესო თერთმეტეულში მოხვდა ყაზანის „რუბინის" მცველი **საბა კვირკველია**, ვინც სანაქებოდ ითამაშა „ამკართან" მოგებულ (2:1) საგარეო შეხვედრაში.

უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში დააფასეს „ოლეკსანდრიას" 26 წლის შემტევი **დავით თარგამაძე**, რომლის გუნდმა გასვლაზე მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს" - 2:0.

თარგამაძემ მინდორზე 69 წუთი გაატარა და „ოლეკსანდრიას" რიგებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მეტალურგი" დატოვა წარმოშობით ქართველმა ნახევარმცველმა **ვაკო გვილიამ.**

■ ■ ■

სასიხარულო ამბავი ჩეხეთიდან. „სლავიას" შემადგენლობაში ვარჯიში დაიწყო **ლევან ყენიამ.** 25 წლის ნახევარმცველს ბოლო ორი სანაკრებო მატჩი ტრავმის გამო გაუცდა. ლევანმა ხელი იტკინა და როგორც თავად გვითხრა, მოსარჩენად თაბაშირიც დასჭირდა.

ახლა ყენია სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ეგ არის, რომ მას ძალიან მოულოდნელად მისცეს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია. მაინც რატომ დაისაჯა ყენია? საქმე ეხება ჩეხეთის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩს „სლავიასა" და „ოლომოუცს" შორის, რომელიც 23 ოქტომბერს გაიმართა. ის მატჩი „ოლომოუცმა" 2:0 მოიგო.

მიმდინარეობდა შეხვედრის 56-ე წუთი, როცა ლევანმა სტუმართა ფორვარდ **დავიდ ჰუშკას** წინააღმდეგ იუხეშა. იმ მომენტში, არბიტრმა ქართველს ყვითელი ბარათი აკმარა, ახლა კი სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი სასჯელი გამოუწერა.

გადაწყვეტილება საბოლოო არ არის, მისი გასაჩივრება ყენიას ჯერ კიდევ შეუძლია. ჩეხეთის ჩემპიონატში ზამთრის შესვენებამდე სამი ტური რჩება და თუ დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩა, გამოდის, რომ ლევანისთვის ამ წელს ჩემპიონატი დასრულებულია...

ალეკო კაკაურიძე

ტრანსფერი

სხირტლაძე სილკებორგში

22 წლის შემტევმა **დავით სხირტლაძემ** კლუბი შეიცვალა - დანიური სუპერლიგის „ორჰუსიდან" პირველლიგელ „სილკებორგში" გადაბარგდა. ოფიციალური ცნობით, კლუბსა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტი 2017 წლამდე გაფორმდა.

როგორც ჩანს, გადამწყვეტი აღმოჩნდა „სილკებორგის" მწვრთნელ **პეტერ სორენსენის** ფაქტორი - ის სხირტლაძეს ნვრთნიდა „ორჰუსშიც", სადაც ქართველი ფეხბურთელი 2011 წელს მივიდა.

„მოუთმენლად ველი სორენსენთან თანამშრომლობის დაწყებას. მან პირველმა მომცა შანსი და ჩემ შესახებ ყველაფერი იცის", - თქვა სხირტლაძემ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

„სხირტლაძე ჩვენს შეტევას გააძლიერებს. ის მეორე ფორვარდად უკეთესია, მაგრამ ჯერ არ გამოუვლენია ბოლომდე თავისი ბომბარდირული თვისებები", - თქვა „სილკებორგის" სპორტულმა დირექტორმა **იესპერ სტაკერმა.**

ამჟამად, „სილკებორგს" დანიის პირველ ლიგაში 24 ქულით მეექვსე ადგილი უჭირავს.

ალეკო კაკაურიძე

დავით სხირტლაძის პრეზენტაცია

უეფას ახალგაზრდული ლიგა

ბერიძემ ლიონთან ითამაშა

გუშინ, უეფას ახალგაზრდულ ლიგაში ბელგიურმა „გენტმა" ჯგუფური ეტაპის მე-5 ტურის შეხვედრა სტუმრად გამართა „ლიონთან" და 0:4 დამარცხდა.

ბელგიელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატმა **გიორგი ბერიძემ**. მაგრამ შეგახსენებთ, რომ ეს არ იყო ლიგაზე მისი სადებიუტო შეხვედრა - 16 სექტემბერს ის სწორედ ლიონელებთან შეხვედრაში დაშავდა. ოპერაციისა და რეაბილიტაციის შემდეგ კი, მოედანს გუშინ ისევ ფრანგებთან მატჩში დაუბრუნდა. ბერიძეს 8-ნომრიანი მაისურა ემოსა და უეფას ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ცენტრალურ თავდამსხმელად ითამაშა.

მთელი მატჩის განმავლობაში, „ლიონი" დიდ უპირატესობას ფლობდა, რაც ანგარიშიდანაც ჩანს. ქართველმა კი თავი მხოლოდ 43-ე წუთზე გამოიჩინა, როცა სახიფათოდ დაარტყა და ფრანგები მეკარე **სტანისლას ლებონგომ** გადაარჩინა. ბელგიელებმა მეორე მომენტი მხოლოდ 86-ე წუთზე შექმნეს. ეს იყო და ეს.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ „გენტმა" მხოლოდ 3 ქულა დააგროვა და შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგა. ჯგუფს 12-12 ქულით „ლიონი" და „ვალენსია" ლიდერობენ და ბრძოლასაც ისინი გააგრძელებენ.

რაკი უეფას ახალგაზრდული ლიგაზე ვწერთ, აქვე გეტყვით, რომ „საბურთალოს" ყოფილი მეტოქე „მიტდიულანდი" მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზეც იოლად გაუსწორდა მოწინააღმდეგეს - დანიელებმა ვარშავის „ლეგია" ორივე შეხვედრაში დაამარცხეს: შინ 2:0, გასვლაზე კი 3:1 და პლეი ოფში გავიდნენ.

მერაბ მამულაშვილი

გიორგი ბერიძე

ლიცენზირება

ირაკლი სირბილაძე

სირბილაძე ტრანსფერის მოლოდინში

ირაკლი სირგბილაძესა და ფინურ „კუოპიოს" შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება დასრულებულია. როგორც ირკვევა, ქართველ ფეხბურთელს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.

33 წლის სირბილაძე ბოლო ფინურ სეზონში „კუოპიოს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო. საუკეთესო პერიოდი კი ირაკლიმ ტურკუს „ინტერში" გაატარა, სადაც ჩემპიონატის ბომბარდირი და გამორჩეული ფეხბურთელი გახდა. გუშინ „ლელო" სირბილაძეს ფინეთში შეეხმიანა:

„უკვე თავისუფალი აგენტი ვარ და, შესაბამისად, ახალ გუნდში გადავალ. ჯერ ზუსტად არ ვიცი, სად ვითამაშებ, მაგრამ დიდი ალბათობით, ისევ ფინეთში დავრჩები", - გვითხრა სირბილაძემ, რომელმაც გასულ სეზონში 29 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა.

ის უკვე მრავალი წელია, ფინეთში თამაშობს, იქაურ ფეხბურთში დიდი ავტორიტეტი აქვს და წესით, ახალი გუნდის მოძებნა არ უნდა გაუჭირდეს.

მჭედლიძეს ტრავმა არ ეშვება

საქართველოს ეროვნული ნაკრების 25 წლის ფორვარდ **ლევან მჭედლიძეს** ტრავმა არა და არ ეშვება. გადაწყვეტილი ამბავია, რომ ლევანი „ემპოლის" „ლაციოსთან" იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში ვერ დაეხმარება.

იტალიური კლუბის სამედიცინო შტაბში შიშობენ, რომ ქართველ ფეხბურთელს კიდევ 20 დღე გაუცდება. მჭედლიძე ირლანდიასთან სანაკრებო მატჩში რომ დაშავდა, მას მერე აღარ უთამაშია.

დაუშვილმა წელი დაასრულა

საქართველოს ნაკრებისა და ლვოვის „კარპატის" 26 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **ბუბა დაუშვილმა** 2015 წელი დაასრულა. უკრაინის ჩემპიონატში ზამთრის არდადეგებამდე დარჩენილ ორივე ტურს ის დისკვალიფიკაციის მიზეზით გამოტოვებს.

ამ უქმეებზე ლვოველები „სტალს" რომ დაუზავდნენ (1:1), ქართველმა იმ თამაშში წითელი ბარათი მიიღო, ოღონდ - სათადარიგოთა სკამზე. მან ჟესტით გამოხატა უკმაყოფილება არბიტრის გადაწყვეტილების მიმართ, რაც საკმარისი აღმოჩნდა მის დასასჯელად. დაუშვილს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

იაშვილი ფრაიბურგის ათეულში

გერმანულმა გამოცემა 90min.com-მა „ფრაიბურგის" ყველა დროის 10 საუკეთესო შემტევის ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ათეულში **ალექსანდრე იაშვილიც** მოხვდა. იაშვილი „ფრაიბურგში" 1997-2007 წლებში თამაშობდა და 255 მატჩში 51 გოლი შეაგდო.

აი, 90min.com-ის მიერ დასახელებული ათეული: **1. ნილს პეტერსენი; 2. პაუა დემბა სისე; 3. სულეიმან სანე; 4. მაქს კრუზე; 5. როდოლფო კარდოსო; 6. მოჰამედ იდრისუ; 7. უვე შპისი; 8. ადმირ მეჰმედი; 9. ალექსანდრე იაშვილი; 10. ქარიმ გედე.**

ამჟამად, ალექსანდრე იაშვილი თბილისის „დინამოს" თავდასხმის ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრია.

ალეკო კაკაურიძე

ალექსანდრე იაშვილი ფრაიბურგში

პერსპექტივა

ბექა ქავთარაძეს მუსკრონში გასინჯავენ

ნოემბერში, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გავიდა. უნგრეთში გამართულ ტურნირზე **გოჩა ავსაჯანიშვილის** გაწვრთნილებმა სლოვაკეთთან წააგეს (3:4), რუმინეთს მოუგეს (3:0), ხოლო მასპინძლებთან 2:2 ითამაშეს.

ამ შეხვედრებში თავი **ბექა ქავთარაძემაც** გამოიჩინა. 35-ე საფეხბურთო სკოლის გაზრდილმა თავდამსხმელმა სამივე შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო, სლოვაკებთან და უნგრეთთან გადამწყვეტ მატჩში კი ანგარიშის გახსნა მოახერხა. საქართველომ ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა და როგორც შევიტყვეთ, ქავთარაძით ევროპული კლუბები დაინტერესდნენ.

სიახლე საფეხბურთო მენეჯერმა **სერგო ქუთათელაძემ** გაგვიმხილა:

„უნგრეთში ვიმყოფებოდი, რადგან ჩვენი ნაკრების რამდენიმე მოთამაშე მაინტერესებდა. ბექამ შესარჩევი ციკლი კარგად ჩაატარა და ბელგიური „მუსკრონის" დირექტორთან რეკომენდაცია გავუწიე, იქ ჩავიყვანე და ახლა დააკვირდებიან. აქ თავი უნდა გამოიჩინოს და იმედია, დატოვებენ. „მუსკრონი" ბელგიის პროლიგის საკმაოდ ტრადიციული გუნდია. მას ჰყავს ახალი მფლობელი, რომელიც ფეხბურთში დიდი ამბიციებით შემოვიდა".

ბექა ქავთარაძე

კომენტარზე არც ქავთარაძე დაგვზარდა: *„35-ე სკოლაში გოჩა ავსაჯანიშვილმა 11 წლისა ჩამომიყვანა ჟინვალიდან. ყველანაირად ხელს მიწყობდა, მისი გაზრდილი ვარ... ვთამაშობდი 35-ე სკოლის გუნდში, რომელიც მეორე ლიგაში გამოდის. შარშან, 15 წლისამ ვითამაშე და 22 მატჩში 18 გოლი გავიტანე, წლეულს კი 8 თამაშში - 11 ბურთი შევაგდე. დიდების დონეზე მიღებულმა გამოცდილებამ ნაკრებშიც შემიწყო ხელი, უნგრეთში კი მწვრთნელის ნდობა ჩემთვის დიდი სტიმული იყო და შევეცადე, მისი იმედი გამემართლებინა. სერგო ქუთათელაძე შესარჩევი ციკლის შემდეგ დამელაპარაკა და გამიხარდა, ევროპაში წასვლის შანსი რომ მომცა".*

ქუთათელაძე არ მალავს, რომ ბოლო წლებში ქართველი ფეხბურთელების წაყვანა ევროპაში მეტისმეტად გაძნელდა:

„7-8 წლის წინათ ჩვენი ფეხბურთელებისადმი ინტერესის შემცირებას განვიცდიდი, ახლა კი საერთოდ კატასტროფული ვითარებაა. ქართველებზე ყველა უარს ამბობს, ან ძალიან პატარა ასაკისანი სჭირდებათ, მათი აღზრდა რომ მოახერხონ. სამწუხარო რეალობაა, ჩვენი ფეხბურთელები ევროპულ მოთხოვნებს იმდენად ჩამორჩნენ, რომ მათ დონეზე თამაშს ველარ ახერხებენ".

მენეჯერი აკონკრეტებს, თუ რამ გამოიწვია ასეთი დამოკიდებულება:

„ორი აზრი არ არის, ჩვენ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ბავშვები გვყავს, მაგრამ მათ გაზრდას ვერ ვახერხებთ. ქართველი მოთამაშეების პრობლემა ფუნქციონალური მომზადებაა, ამას ევროპაში ბავშვობის ასაკიდან ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობენ და გააზრებულ სამწვრთნელო პროგრამებს იყენებენ. ტრავმამდე ლევან ყენია „შალკეში" იმიტომ თამაშობდა, რომ 15 წლისა წაიყვანეს და დატვირთვებსა და მოთხოვნებს ნელ-ნელა შეაჩვიეს, ფუნქციონალურად მოამზადეს. ჩვენთან კი ამას ვერ ვახერხებთ. მერე მიდიან ჩვენი ფეხბურთელები და ელემენტარულად, ევროპელების ტემპში არათუ ვერ თამაშობენ, მას ვერც უძლებენ. არადა, ამ სისწრაფეებს იქ ბავშვობიდან აჩვევენ. სხვა საქმეა ბავშვები - ქავთარაძე 16 წლისაა და გამორჩეულად ნიჭიერია. ამ ასაკის მოთამაშეებს სიამოვნებით წავიყვან. 19-20 წლის ფეხბურთელის ევროპაში წასვლა უკვე დაგვიანებულია, მათ ხელახლა ვერავინ აღზრდის. დააკვირდით, ევროპაში მიწვეული ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობა ტრავმირებულია და ვერ თამაშობს. ეს კი არასწორი აღზრდისა და ფუნქციონალური მოუმზადებლობის შედეგია".

მერაბ მამულაშვილი

ალეკო კაკაურიძის რუბრიკა
ოთხშაბათის საკითხავი

რისთვის ან ვისთვის

ჩვენი რუბრიკის მთავარი თემა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატია. თემა იმდენად ტევადია და საჭირბოროტო, რომ ვერ შევძლებთ, ერთ წერილში ყველა შუქ-ჩრდილი მოვიცვათ, მაგრამ უმთავრესზე მაინც უნდა ვთქვათ...

ვითამაშობთ ფეხბურთს?

დონე

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ასე დაბალი დონისა არასოდეს ყოფილა. ამ სიტყვებს სრული პასუხისმგებლობით ვწერთ. დაახლოებით ისეთი დონეა, ორი სოფლის გუნდი „ცხვარზე და ოციანზე" რომ თამაშობს. იქ ჟინი და მონდომება მაინც არის, აქ კი...

რაღა შორს მივდივართ, ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები გავიხსენოთ. დონე იქით იყოს და თუნდაც ის გოლები ვნახოთ, ამ უქმეებზე რომ გავიდა. ასეთი გოლები არ გადის მაღალი დონის შეჯიბრებაში და ეს აქსიომაა.

მეტ-ნაკლებად თავმოყვარე საფეხბურთო ქვეყანა არ ჩაატარებს ჩემპიონატის თამაშებს ისეთ სტადიონზე, როგორზეც ჩვენ ვატარებთ. არსად, არც ერთ ჩემპიონატში არ ხდება, რომ ერთი ფეხბურთელი დარბის. დარბის და მოძრაობს მხოლოდ ის, ვინც ბურთს ფლობს, დანარჩენები კი დგანან.

ეჭვგარეშეა - თუ უახლოეს მომავალში ჩვენი პირველობის დონე ოდნავ მაინც არ ამაღლდა, სულ მალე ხელში ჩაგვაკვდება და ცოდვა გამხელილი სჯობს, რასაც ახლა ვთამაშობთ, ჯობია, სულ არ ვითამაშოთ.

ჩემპიონატი და ნაკრები

ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონეზე თუნდაც გამორჩეულ ფეხბურთელებს დღეს ნაკლებად თუ შეუძლიათ სანაკრებო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ამ ფეხბურთელების ბრალი არ არის, რომ სანაკრებო ფეხბურთს ფეხი ბოლომდე ჯერ ვერ აუწყვეს. „დამნაშავე" ამაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაბალზე დაბალი დონეა. ფეხბურთელი ამას ხედავს და მალე ის თითოოროლა პერსპექტიული ბიჭიც გაეცლება ჩვენს პირველობას, დღეს რომ ასულდგმულებს.

ძლიერი ჩემპიონატი თავისთავად ნიშნავს ძლიერ ნაკრებს. ბევრი დაგვიპირისპირდება ხორვატიის მაგალითით და გვეტყვის - ეს ქვეყანა ომის ქარცეცხლში იყო გახვეული და მაინც დიდებული გუნდი ჰყავდაო...

ნუ დაგვაინწყდება, რომ ხორვატიის ნაკრების ძირითადი ბირთვი თავის დროზე იუგოსლავიის ძლიერ ჩემპიონატში გამოიბრძმედა. და როგორ უნდა გაიზარდოს ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში? როგორ უნდა მიაღწიოს სანაკრებო დონეს?

საშველი

არ არსებობს ქვეყნად გამოუვალი სიტუაცია და, შესაბამისად, საშველი სადღაც უნდა იყოს. როგორ უნდა გვეშველოს? ამ თემაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თავისი აზრი ექნება, ქომაგსაც - თავისი. მეც ჩემი აზრი უნდა დავწერო, როგორც ერთი რიგითი გულშემატკივარისა, რომელიც ჩემპიონატის ტურს არ აცდენს.

პირველი და მთავარი ისაა, რომ საქართველო დღეს მზად არ არის 16-გუნდიანი ჩემპიონატისთვის. ეს ჩვენი ახირება კი არა, რეალობაზე დაყრდნობილი მწარე სიმართლეა, თორემ ისიც კარგად ვიცით, რომ საქართველოსთვის იდეალური სწორედ 16-გუნდიანი პირველობაა.

დღევანდელი ფეხბურთი, რომელიც უსწრაფესად პროგრესირებს, ჩვენ წინაშე კონკრეტულ მოთხოვნას აყენებს - უმაღლეს ლიგაში უნდა ითამაშოს ზუსტად იმდენმა გუნდმა, რამდენიც მზადაა ამისთვის, რამდენიც ლიცენზირების მკაცრ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ამ ეტაპზე, ალბათ, ჩვენს სიტუაციაში იდეალური იქნებოდა 10-გუნდიანი პირველობის ჩატარება, რადგან დღეს მეტის რესურსი, უბრალოდ, არ გვაქვს და თუ მხოლოდ მასობრიობას გამოვეკიდეთ, ის დონე დაგვრჩება, რაც ახლა გვაქვს.

...მაშინ ალბანური პირველობა ჯერაც სულს ღაფავდა, მაგრამ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა უკვე იწერებოდა. ამ პროგრამამ მალე იხილა დღის სინათლე და შედეგიც სახეზეა. რაც უნდა სამწუხარო იყოს, დღეს ალბანეთის ჩემპიონატი ჩვენსაზე წინაა...

მეორე: სახელმწიფომ უნდა გამოყოს თანხა, რომელიც ქართული კლუბების განვითარებას მოხმარდება;

უნდა დაუბრუნდეს ქართულ ფეხბურთს თითზე ჩამოსათვლელი ინვესტორი;

იმ ფულის ხარჯვა უმკაცრესად უნდა გაკონტროლდეს ფეხბურთის ფედერაციისა და სახელმწიფოს მიერ, ოღონდ, პასუხი აგოს იმან, ვინც ერთ თეთრსაც კი არამიზნობრივად განკარგავს;

ყველა გუნდი თანაბრად უნდა დაფინანსდეს...

მანამდე კი ქართული საკლუბო ფეხბურთი უნდა გაიწმინდოს იმ ხალხისგან, წლების განმავლობაში რომ მიეჩვივნენ ათასგვარი „გვერდითი მოვლენების" მშვიდად ცქერას და ხშირად არც ამ სიბინძურეებში მონაწილეობას თაკილობენ;

უპრიანი უნდა იყოს, უმაღლეს ლიგაში სახელფასო ზღვრის დაწესება. ეს აუცილებელია, თორემ მხოლოდ ჩვენი რესურსით ფონს ვერ გავალთ და ვერც იმას შევძლებთ, რომ მოკლე ხანში ჩვენი კლასიანი ლეგიონერები სამშობლოში დავაბრუნოთ;

სახელმწიფომ ფული უნდა დახარჯოს. ყველა რიგით მოქალაქეს ეს იქნებ არც მოსწონდეს, მათ ამის სრული უფლება აქვთ. აქ ორი მომენტია - ჯერ ერთი, ეს ფული მაინც იხარჯება და იხარჯება უსისტემოდ.

მეორეც - ჩვენ დღეს ორი-სამი კერძო ინვესტორიღა შემოგვრჩა და ამათგან ერთ-ერთი ყველაზე „მსხვილი" ჯერაც განმდგარია ქართული ფეხბურთის მიუღებელი რეალობიდან...

როგორ მოვიზიდოთ ხალხი სტადიონზე?

ქომაგი ფეხბურთის განვითარებისთვის დანყებულ კამპანიას დაინახავს და დააფასებს. როცა საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძვრება, ჩვენი ტელევიზიები მეტ დროს დაუთმობენ ფეხბურთს.

აქ მარტივი ლოგიკაა - ტელევიზია აჩვენებს იმას, რაც ყურებადი და რეიტინგულია. აშუქებს თემას, რომელსაც ინტერესი სდევს თან. ვინ უყურებს ტელევიზიით მატჩს, რომელსაც სტადიონზე 100 მაყურებელიც კი არ ესწრება?!

2006 წელს ვიყავი ალბანეთში. მაშინ იქაური პირველობა ჯერაც სულს ღაფავდა, მაგრამ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა უკვე იწერებოდა. ამ პროგრამამ მალე იხილა დღის სინათლე და შედეგიც სახეზეა.

რაც უნდა სამწუხარო იყოს, დღეს ალბანეთის ჩემპიონატი ჩვენსაზე წინაა. ეს მხოლოდ იმაში არ გამოიხატება, რომ „სკენდერბეუ" ევროპალიგის ჯგუფში თამაშობს და სულ ცოტა ხნის წინათ ლისაბონის „სპორტინგიც" ნააცია. აგერ, საქართველოს ნაკრების ორი წევრი თამაშობს „ფლამურტარიში".

ჩვენც ოდესმე უნდა დავიწყოთ! თუ არ დავიწყებთ, კიდევ უფრო უკან წავალთ. თანდათან, ხალხი გაიგებს, რომ:

ქართული ფეხბურთი სახელმწიფოს აინტერესებს;

ქართული ფეხბურთი გაიწმინდა;

კლუბებში ნორმალური ხელფასებია;

ქართულმა კლუბებმა ნორმალური ლეგიონერები ჩამოიყვანეს;

ქართული კლუბები ყანებში კი არა, სტადიონებზე თამაშობენ...

ეს გასაკეთებელია და თანაც - სასწრაფოდ გასაკეთებელი! მოცდა აღარ შეიძლება, თორემ დღევანდელ ქართულ საკლუბო ფეხბურთში ფულს მხოლოდ გამოუსწორებელი ოპტიმისტი ან იდეალისტი თუ ჩადებს.

P.S. თვალებიდან არ ამომდის საქართველოს ჩემპიონატის ერთი რიგითი მატჩის დასრულების შემდეგ მომხდარი. თამაში დაამთავრა და გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელი გასახდელში შედის. დასახარჯი ემოცია უკვე დაიხარჯა. იმ ფეხბურთელმა ცარიელ ტრიბუნებს ახედა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, ნეტავ გამაგებინა, რისთვის ან ვისთვის ვთამაშობთო?!

ვაგლახ, რომ ის ფეხბურთელი მართალი იყო...

საქართველოს ჩემპიონატი

I ლიგა

XV ტური

ბეთლემი-კოლხეთი (ხ)	0:4
სამგურალი-ბორჯომი	0:1
ოდიში 1919-მეშახტე	2:2
სამეგრელო-სქური	0:0
ალგეთი-იმერეთი	1:0
ვიტ ჯორჯია-მერცხალი	3:2
რუსთავი-ჩხერიმელა	დღეს
ჭიათურა-ლიახვი (ცხ)	დღეს
მაჭახელა-გაგრა	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლიახვი	14	10	3	1	45-17	33
2. სამგურალი	15	10	1	4	28-17	31
3. ბორჯომი	15	8	4	3	24-14	28
4. კოლხეთი	15	8	3	4	30-14	27
5. სქური	15	7	5	3	17-12	26
6. ბეთლემი	15	8	1	6	25-22	25
7. ვიტ ჯორჯია	15	6	4	5	29-17	22
8. რუსთავი	14	5	6	3	13-10	21
9. გაგრა	14	7	0	7	23-19	21
10. იმერეთი	15	4	6	5	17-20	18
11. მაჭახელა	13	4	5	4	18-20	17
12. სამეგრელო	15	4	4	7	15-20	16
13. ოდიში	15	4	4	7	17-33	16
14. ალგეთი	15	4	2	9	7-18	14
15. ჭიათურა	14	2	6	6	13-23	12
16. მეშახტე	14	2	6	6	8-18	12
17. მერცხალი	15	2	4	9	16-33	10
18. ჩხერიმელა	14	2	4	8	16-34	10

II ლიგა

დასავლეთი ზონა. XII ტური

ზანა-ხიხანი	1:4
რაჭა-სამგურალი 2	2:1
სულორი-სამეგრელო 2	6:1
ბახმარო-კოლხეთი 2 (ხ)	3:0
მარგვეთი 2006-მერცხალი 2	7:0
სირმე 2-ეგრისი	3:0
მეშახტე 2-იმერეთი 2	1:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სულორი	12	10	2	0	36-9	32
2. მარგვეთი	12	10	0	2	39-6	30
3. ხიხანი	12	9	2	1	36-9	29
4. სირმე	12	9	2	1	32-7	29
5. ეგრისი	12	6	2	4	21-15	20
6. რაჭა	12	5	1	6	24-24	16
7. ბახმარო	12	4	3	5	20-20	15
8. სამგურალი	12	4	2	6	22-23	14
9. კოლხეთი	12	4	1	7	16-29	13
10. სამეგრელო	11	4	0	7	17-34	12
11. ზანა	12	4	0	8	9-32	12
12. მეშახტე	12	4	1	7	19-23	10
13. მერცხალი	12	1	2	9	9-29	5
14. იმერეთი	12	0	2	10	5-40	2

ცენტრალური ზონა. XII ტური

იბერია-ჰერეთი/ჭაბუკ.	1:2
არაგვი-დურუჯი	5:0
35-ე სკოლა-ივერია	4:0
ფარავანი-ლიახვი 2 (ცხ)	3:1
ლიახვი (აჩ)-საქ. უნივერ.	1:2
ალაზანი-რეალ ვარკეთილი	0:1
აბული-მეტალურგი	1:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მარკ სტარი	11	10	1	0	28-3	31
2. რეალ ვარკეთ.	12	10	0	2	66-8	30
3. არაგვი	10	9	0	1	47-12	27
4. ალაზანი	12	8	2	2	45-11	26
5. საქ. უნ.	11	6	3	2	30-20	21
6. ივერია	11	6	1	4	21-22	19
7. ლიახვი (აჩ)	11	5	1	5	40-17	16
8. ლიახვი 2 (ცხ)	12	5	1	6	27-25	16
9. 35-ე სკოლა	10	5	1	4	27-19	16
10. დურუჯი	12	4	1	7	18-37	13
11. აბული	11	3	2	6	6-24	11
12. ჰერეთი	11	2	0	9	12-41	6
13. მეტალურგი	11	1	2	8	15-42	5
14. იბერია	12	1	2	9	18-53	5
15. ფარავანი	11	1	0	10	11-74	3

აღმოსავლეთი ზონა. XII ტური

ვიტ ჯორჯია-სართი	4:1
ნ. დინამო-რუსთავი 2	0:1
შავნაბადა-აფხაზეთი	3:2
გარეჯი-კოლხი	2:0
ცხუმი-მცხეთა	1:1
ქოჯაელი-დინამო (სხ)	გადაიდო
ამირანი-გარდაბანი	გადაიდო

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მცხეთა	12	10	2	0	76-6	32
2. ცხუმი	11	9	2	0	46-13	29
3. გარდაბანი	11	9	1	1	50-12	28
4. ვიტ ჯორჯია	12	8	1	3	43-15	25
5. რუსთავი	11	8	0	3	40-12	24
6. გარეჯი	11	7	0	4	36-23	21
7. ნ. დინამო	12	6	0	6	29-26	18
8. სართი	10	4	0	6	17-29	12
9. ამირანი	8	2	0	6	11-20	6
10. კოლხი	12	2	0	10	17-50	6
11. დინამო (სხ)	8	2	0	6	10-34	6
12. შავნაბადა	11	2	0	9	15-67	6
13. ქოჯაელი	10	1	1	8	11-36	4
14. აფხაზეთი	11	1	1	9	10-67	4

დუბლეების ჩემპიონატი

XII ტური

ცხინვალი-სიონი	3:2
დინამო (თბ)-სამტრედია	5:1
ჩიხურა-გურია	4:2
დინამო (გთ)-საპოვნელა	7:0
დილა-ლოკომოტივი	1:2
კოლხეთი (ფ)-მერანი	2:0
ტორპედო-შუქურა	4:2
საბურთალო-ზუგდიდი	2:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლოკომოტივი	12	10	0	2	35-20	30
2. დინამო (თბ)	12	9	1	2	42-20	28
3. დილა	12	7	4	1	23-9	25
4. ზუგდიდი	12	8	1	3	28-21	25
5. საბურთალო	12	6	3	3	28-20	21
6. დინამო (გთ)	12	6	1	5	27-21	19
7. მერანი	12	5	3	4	21-23	18
8. შუქურა	12	5	2	5	24-26	17
9. ტორპედო	12	5	1	6	24-23	16
10. ცხინვალი	12	5	1	6	23-22	16
11. კოლხეთი	12	5	1	6	21-22	16
12. სამტრედია	12	3	2	7	19-24	11
13. სიონი	12	2	3	7	15-17	9
14. გურია	12	1	5	6	13-23	8
15. ჩიხურა	12	2	1	9	14-40	7
16. საპოვნელა	12	1	3	8	10-35	6

ჭაბუკთა ლიგა

1998/99 წ.დ.

აღმოსავლეთი ზონა. XIV ტური

35-ე სკოლა-ვიტ ჯორჯია	2:0
საბურთალო-დინამო (თბ)	1:2
ცხინვალი-ლოკომოტივი	3:4
ჩიხურა-დილა	2:3

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო (თბ)	13	10	1	2	27-8	31
2. ცხინვალი	14	9	2	3	43-16	29
3. ლოკომოტივი	13	9	1	3	25-10	28
4. საბურთალო	13	5	7	1	26-12	22
5. 35-ე სკოლა	13	5	3	5	18-21	18
6. ვიტ ჯორჯია	14	4	5	5	19-25	17
7. დილა	13	3	2	8	15-36	11
8. სიონი	13	2	0	11	6-27	6
9. ჩიხურა	14	1	3	10	14-36	6

დასავლეთი ზონა. XIV ტური

შუქურა-დინამო (გთ)	3:1
მერანი-ზუგდიდი	1:3
ტორპედო-კოლხეთი	1:1
სამტრედია-საპოვნელა	4:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტორპედო	14	10	2	2	53-15	32
2. შუქურა	13	10	2	1	39-12	32
3. სამტრედია	13	10	1	2	31-21	31
4. ზუგდიდი	13	5	3	5	21-17	18
5. დინამო (გთ)	13	4	3	6	19-23	15
6. მერანი	14	5	0	9	22-34	15
7. კოლხეთი	13	4	3	6	19-27	15
8. გურია	13	2	2	9	19-27	8
9. საპოვნელა	14	1	2	11	16-64	5

2000/01 წ.დ.

აღმოსავლეთი ზონა. XIV ტური

35-ე სკოლა-ვიტ ჯორჯია	2:0
საბურთალო-დინამო (თბ)	2:0
ცხინვალი-ლოკომოტივი	1:2
ჩიხურა-დილა	1:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საბურთალო	13	11	0	2	50-12	33
2. დინამო (თბ)	13	10	2	1	43-8	32
3. 35-ე სკოლა	13	9	3	1	48-12	30
4. ლოკომოტივი	13	9	1	3	29-13	28
5. ცხინვალი	14	4	1	9	18-23	13
6. ვიტ ჯორჯია	14	3	3	8	18-35	12
7. ჩიხურა	14	2	5	7	10-37	11
8. დილა	13	2	4	7	8-27	10
9. სიონი	13	0	1	12	5-62	1

დასავლეთი ზონა. XIV ტური

შუქურა-დინამო (გთ)	2:3
მერანი-ზუგდიდი	2:3
ტორპედო-კოლხეთი	2:0
სამტრედია-საპოვნელა	6:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სამტრედია	13	9	4	0	26-6	31
2. ზუგდიდი	13	8	3	2	29-8	27
3. დინამო (გთ)	13	8	2	3	30-10	26
4. კოლხეთი	13	7	2	4	27-13	23
5. მერანი	14	6	0	8	26-25	21
6. ტორპედო	14	4	6	4	20-13	18
7. გურია	13	2	6	5	15-17	12
8. შუქურა	13	4	0	9	15-24	12
9. საპოვნელა	14	0	1	13	4-76	1

ვერ გავიგე, ფოთში ფეხბურთი აღარ უნდათ?!

ლაშა ჯაკობია: კოლხეთი დაშლის პირასაა!

ლაშა ჯაკობია

ფოთის „კოლხეთის" სპორტული დირექტორი ლაშა ჯაკობია კლუბში არსებულ ფინანსურ პრობლემებზე ღიად ლაპარაკობს და არ გამორიცხავს, რომ ეს გაურკვევლობა ცუდად დასრულდება:

„ბევრჯერ ითქვა, რომ ფოთის „კოლხეთი" უმძიმეს მდგომარეობაშია. ჩვენ უმაღლეს ლიგაში ყველაზე მწირი ბიუჯეტი გვაქვს - წლეულს სულ 280 ათასი ლარი გამოგვიყვეს. ცხადია, უმაღლესი ლიგის გუნდისთვის ეს მეტისმეტად მცირე თანხაა. დამატება მოვითხოვეთ. 160 ათასს შეგვპირდნენ, მაგრამ ჯერ მხოლოდ 30 ათასია გამოყოფილი, რაც პრემიების გასტუმრებას მოხმარდა. მაგრამ მოთამაშეების ხელფასების დავალიანება მაინც დაგვრჩა. ბიჭებს კი ოჯახები ჰყავთ, ელემენტარულად, არსებობა უნდათ და მინიმალურ ხელფასებსაც ვერ ვუხდით. არ ვიცი, ასე სადამდე უნდა გავძლოთ. არ შეიძლება, საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქში უმაღლესი ლიგის კლუბს უფრო ნაკლები ბიუჯეტი ჰქონდეს, ვიდრე ზოგიერთ მეორელიგელს. ხელფასებზე აღარაფერს ვამბობ, მოთამაშეები მიზერზე თამაშს დათანხმდნენ და ამასაც ვერ იღებენ. არადა, ამ მიზერული სახსრებით შარშან მე-10 ადგილი დავიკავეთ და ჩვენზე ბევრად მდიდარ კლუბებს გავუსწარით. წლეულს მძიმედ დავიწყეთ, თუმცა გელა სანაიას მოსვლის შემდეგ გუნდი დალაგდა, ათამაშდა და ახლაც მე-10 ადგილზე ვართ. მაგრამ მე ის მაინტერესებს, ასეთი ფოკუსები როდემდე უნდა ვატაროთ, კლუბის წევრებსა და პერსონალს შრომა რომ დაუფასონ"?! - უკმაყოფილოა **ლაშა ჯაკობია**.

ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის თქმით, გუნდი უკვე ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა მისული:

„თუ ვითარება დროულად არ გამოსწორდა, ფეხბურთელები კონტრაქტების დარღვევას მოითხოვენ, რისი უფლებაც აქვთ და „კოლხეთი" დაიშლება. ასეთ პირობებში არავინ დარჩება. წლებია, გუნდს ვერ ეშველა, სტადიონის მშენებლობის ფული გაიფლანგა... ვერ გავიგე, ფოთში ფეხბურთი აღარ უნდათ?".

ჯაკობიამ პრობლემის მიზეზიც დაასახელა:

„ფოთის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს ფეხბურთი თუ არ უყვართ, ვერ გავამტყუნებ. მაგრამ სხვა საქმეა, სურთ თუ არა კლუბის დაფინანსება. მათი პიროვნული დამოკიდებულება საქმეზე არ უნდა ისახებოდეს. „კოლხეთი" საქართველოსთვის ისტორიული კლუბია და არავის აქვს უფლება, მას საკუთარი შეხედულებით მოექცეს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და სპორტის მინისტრი აბსოლუტურად მართალს ამბობენ, რომ კლუბის დაფინანსება მერის გუნება-განწყობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. რაც ვიცი, ახალი წლიდან ლევან კობიაშვილი და დავით მუჯირი ამ კუთხით საკითხის დაყენებას აპირებენ, რომ ფეხბურთში პიროვნული მიდგომა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს და სახელმწიფოს პოლიტიკა დამკვიდრდეს. კლუბებმა უნდა ვიცოდეთ, რამდენს გამოყოფს მთავრობა უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების კლუბებზე. ყველა ქალაქში ერთნაირი თანხა უნდა იყოს, თორემ ერთგან 2 მილიონს იძლეოდე და მეორეგან ამის მეშვიდედს, ეს გამართლებული არ არის და კლუბებს არათანაბარ მდგომარეობაში გვაყენებს".



საიდან სადაო?

ბენარდ ალიუ

დინამოს ქომაგი ნიგერიიდან

ავტოგრაფებიანი ბურთი სამოქალაქო ავიაციის ბოსისთვის

თბილისის „დინამოს" ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატებიდან 34 წელი გავიდა. დღევანდელი ქართული ფეხბურთის მდგომარეობის ფონზე, ამის გახსენებაც ბევრს აღიზიანებს - მოკვდა ქართული ფეხბურთი და 100 წლის წინანდელი ამბებით ნუ შეგვჭამეთო...

...მაგრამ ის ქართული ფეხბურთი არა მხოლოდ საქართველოში გვახსოვს, არამედ, პოსტსაბჭოეთშიც და... ინგლისშიც კი. გაიხსენეთ, ბრიტანული „გარდიანის" 2015 წლის სექტემბრის სტატია, რომელშიც 70-80-იან წლებში ინგლისურ კლუბებთან თბილისის „დინამოს" წარმატებები გაიხსენეს. სტატიის ავტორი **გრეგ მაკკრაგენი** მაშინ ახალგაზრდა იყო, როცა „აპტონ პარკზე" ლონდონის „ვესტ ჰემისა" და თბილისის „დინამოს" თამაშს დაესწრო...

„იმ დღიდანვე გავხდი დინამოს" ფანი, ისევე, როგორც სტადიონზე მყოფი „ჰამერების" („ვესტ ჰემის" მეტსახელი) თითქმის ყველა გულშემატკივარი. მატჩის შემდეგ ტაშით გაიცილეს უცნობი „სუპერმენები", რომლებმაც „ჰამერებს", მანამდე კი „ლივერპულს", ისეთი გაკვეთილები ჩაუტარეს, ეს მატჩები უეფამ მომავალი მწვრთნელების სასწავლო პროგრამაში უნდა შეიტანოს", - წერდა „გარდიანის" ჟურნალისტი.

საინტერესო იყო ამ წერილის კომენტარები, სადაც ერთ-ერთი ფანი ამბობს: *„მე მანამდე მსგავსი არაფერი მენახა, თუ არ ჩავთვლი ბრაზილიელების თამაშს".*

აღმოჩნდა, რომ მაშინდელ თბილისს „დინამოს" დიდი გულშემატკივარი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) საბჭოს პრეზიდენტიც ყოფილა. ეს გახლავთ დოქტორ **ბენარდ ალიუ**, რომელიც ICAO-ს 2013 წლიდან თავკაცობს. 2005-13 წლებში ის ამ საბჭოში ნიგერიის წარმომადგენელი გახლდათ, ეკავა ვიცე-პრეზიდენტის, ტექნიკური თანამშრომლობისა და ფინანსური კომიტეტების თავმჯდომარის, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელის პოსტები. ჯამში, მას სამოქალაქო ავიაციაში 30-წლიანი გამოცდილება აქვს. ამავე დროს, არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სამოქალაქო და კოსმოსური სამართლის განხრით კანადის მაკგილის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

მაგრამ ჩვენთვის მთავარი სულ სხვა რამაა - ბენარდ ალიუ არის ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს, საქმეზე ლაპარაკის შემდეგ, მან არაერთხელ გაიხსენა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები - დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ოთარ გაბელია, რამაზ შენგელია... იცნობს უფრო ადრეულ და ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის შემდგომ ვარსკვლავებსაც. ბოლო შეხვედრაზე კი ქართველ კოლეგებს ძველი დანაპირები შეახსენა - იქნებ, დინამოელთა ავტოგრაფიანი ბურთი მაჩუქოთო...

საქმე ისაა, რომ 1978-83 წლებში ბენარდ ალიუ კიევის სამოქალაქო საავიაციო საინჟინრო ინსტიტუტში სწავლობდა. ანუ თბილისის „დინამო" მისი ზეობის პერიოდში გაიცნო და მას შემდეგ ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი გახდა.



საჩუქარი ბენარდ ალიუსთვის

მალე, კანადის ქალაქ მონრეალში სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონგრესი გაიმართება, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას და ბატონ ალიუს შეპირებულ საჩუქარსაც გადასცემენ.

ისე, საინტერესოა, როგორ მოვახერხეთ, რომ ოდესღაც ცნობილი საფეხბურთო ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე დავიყვანეთ? ასე თუ გავაგრძელებთ, იქნებ ძველი წარმატებებისაც, რითიც დღემდე ვიწონებთ თავს, აღარავინ დაიჯეროს...

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

გამოხმაურება

ხან უფულობაზე ვნუწუნებთ, ხან ფულიც გვაშფოთებს

თორნიკე თარხნიშვილი გაოცებულია...

ქობულეთის „შუქურაში" არსებულ ფინანსულ მდგომარეობაზე გუშინ ინფორმაცია ლამის ყველა საგენტომ გაავრცელა. დასახელებული იყო ფეხბურთელების ხელფასები.

ყველაზე მაღალი ანაზღაურება გუნდის ნახევარმცველს, საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ყოფილ წევრ **თორნიკე თარხნიშვილს** აღმოაჩნდა. გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მას ხუთ თვეში 27 ათასი ლარი ჩაერიცხა, ანუ ფეხბურთელი თვეში 5 400 ლარს იღებს. კლუბის დირექტორი **რევაზ ჩელებაძე** ამბობს, რომ ის მეომარი ბიჭია, მოედანზე ყველაფერს კეტავს, სულსა და გულს დებს.

„ლელოს" თავად თარხნიშვილი დაუკავშირდა და უარყო, რომ ამხელა ხელფასს იღებს. თუმცა, მომხდარზე საკუთარი პოზიციაც დააფიქსირა.

„მე ლატვიაში ვთამაშობდი და ცხადია, სანამ საქართველოში დავბრუნდებოდი, ქობულეთელებს პირობებზე დაველაპარაკე. მაგრამ „შუქურაში" 5400-ლარიანი ხელფასი ნამდვილად არ მაქვს. ჩემი აზრით, ამ ციფრების გამოქვეყნებისას ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამორჩათ - საშემოსავლო გადასახადის პროცენტი არაა დაანგარიშებული, ეს კი თანხის ლამის მეხუთედია", - ამბობს თარხნიშვილი.

25 წლის ფეხბურთელის აზრით, ასეთი აჟიოტაჟი გაუგებარია: *„მართლა 5-ათასლარიანი ხელფასი რომ მქონდეს, ეს ამხელა ამბავს არ უნდა იწვევდეს. ხალხი გაჭირვებაშია და მესმის, რომ ჩვენს დაბეჩავებულ ფეხბურთში ამხელა ხელფასები ბევრს აღიზიანებს. მაგრამ ამ ყველაფერს უფრო მასშტაბურად უნდა შევხედოთ. ჩვენ ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში და ყველამ ვიცით, ამა თუ იმ ქვეყანაში რამხელა ხელფასებს არიგებენ. ერთი მხრივ, ჩვენ მოვთქვამთ, რომ უცხოელების მსგავსი პირობები არ გვაქვს და სახელმწიფოს ფეხბურთის დაფინანსებას ვთხოვთ. მაგრამ მეორის მხრივ, უკმაყოფილებას ვერ ვმალავთ, ჩვენთან რომელიმე გუნდში ფეხბურთელი 1000 ლარზე მეტს რომ იღებს. ჩემთვის ასეთი ორმაგი სტანდარტი გაუგებარია".*

თორნიკე თარხნიშვილი

თარხნიშვილმა ქობულეთელთა დირექტორზეც ილაპარაკა: „აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ფეხბურთი ფულის დაბანდებით განავითარეს. ლატვიაშიც კი, სადაც 2 წლის განმავლობაში ვთამაშობდი, სულაც არაა მაღალი დონის ჩემპიონატი. ამის მიუხედავად, საშუალო ხელფასი იქაც კი 3-4 ათასი ევროა. მითხარით, ამაზე ლატვიაში ცუდი რეაქცია უნდა ჰქონდეთ? ლატვიაში კიდევ რა უჭირს, ასე თუ ისე, დონეა. ვინმეს რამე სმენია ვიეტნამისა და ინდოეთის ფეხბურთზე? აბა, მინიმუმია და არავის უკვირს. ჩვენი ფეხბურთი და ჩემპიონატის დონე იმიტომაც დაეცა, რომ მოთამაშეებს ლატვიის დონის ხელფასებსაც ვერ უხდიან. ამიტომ გარბიან უცხოეთის არც ისე პრესტიჟულ ლიგებშიც კი. მაგრამ რომელიმე ქართულ კლუბში შედარებით მაღალი ხელფასები თუ არის, ის გუნდი აჟიოტაჟის საგანი ხდება. მხოლოდ 500 ლარი რომ დაარიგონ, ეს მკვდარი ფეხბურთი საერთოდ სულს განუტევებს. იქნებ, მედლის ამ მეორე მხარეზე დავფიქრდეთ. რე ზო ჩელებაძე ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას არა, მაგრამ ის ყველაფერს აკეთებს, რომ მინიმალური პირობები მაინც გვქონდეს. კარგად ვიცი, რომ „შუქურას" პირობები სულაც არაა საუკეთესო, ეს მინიმუმია და ესეც თუ არ იქნება, მაშინ გუნდის არსებობას რაღა აზრი აქვს?"

ამბები

კრიშტიანო რონალდო

შეუძლებელია?

ბოლო დღეებში **კრიშტიანო რონალდოს** „რეალიდან" შესაძლო წასვლაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. „მანჩესტერ იუნაიტედს" პორტუგალიელის დაბრუნება დიდი ხანია, სურს. „წითელი ეშმაკების" ყოფილმა მცველმა **პატრის ევრამ** აღნიშნა, სერ **ალექს ფერგიუსონს** ყოველთვის სჯეროდა, რომ რონალდო ადრე თუ გვიან, „ოლდ ტრაფორდზე" დაბრუნდებოდაო... თუმცა პრესაში უფრო რეალურად „პარი სენ-ჟერმენში" გადასვლა მიაჩნიათ. მიუხედავად ამისა, ერთ ვარიანტსაც და მეორესაც ფეხბურთელის აგენტმა **ჟორჟე მენდეშმა** „შეუძლებელი" უწოდა და მისი კლიენტის მსურველებს „ცივი შხაპი" გადაავლო. მენდეშის თქმით, რონალდო კარიერას „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაასრულებს.

ანჩელოტი დაბრუნდება?

რაფაელ გენიტესი როგორც უცბადაც დაინიშნა მადრიდის „რეალის" მწვრთნელად, ასევე უცბად შეიძლება გაუშვან. „ელ კლასიკოში" სამარცხვინო წაგებამ და ბევრის აზრით, „სამეფო გუნდის" არადამჯერებელმა თამაშმა, რაფას წყალი შეუყენა. იმასაც ამბობენ, იგი ფეხბურთელებს დიდად გულზე არ ეხატებათო. ჟურნალ-გაზეთებმა უკვე შეარჩიეს ბენიტესის შემცვლელიც - ის ადამიანი, რომელიც თავად შეცვალა რაფამ. დიახ, **კარლო ანჩელოტი** „რეალიდან" წამოსვლის მერე უმუშევარია, უკვე საკმარისად დაისვენა და ახალ, კარგ ვარიანტს ელოდება. ჭორებს თუ დავუჯერებთ, იტალიელს „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაბრუნების საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

გრილიში და ღამის ბარები

20 წლის ნიჭიერი ფეხბურთელის, **ჯეკ გრილიშის** გარშემო ახალი სკანდალი აგორდა. საქმე კვლავაც მის უდისციპლინობას ეხება. გასაჭირში მყოფი „ასტონ ვილა" „ევერტონთან" განადგურდა და აქედან რამდენიმე საათში ირლანდიელ-ინგლისელი მანჩესტერის ერთ-ერთ ღამის კლუბში დააფიქსირეს. ფოტოებზე ადვილად შეიმჩნევა, რომ გრილიში საღ გონებაზე არ არის და იმასაც არავინ დაიჯერებს, „ასტონ ვილას" წაგებამ და მდგომარეობამ ისე დაადარდიანა, ამის გამო მოიქცა მსგავსად. გრილიშს მსგავსი საქციელისთვის შენიშვნები ადრეც მიუღია.

გიორგი კაკაბაძე

ჩემპიონთა ლიგა
ჯგუფური ეტაპი. V ტური

ბარსა და ბაიერნი გაფრინდნენ

ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში გაინაღდა სამმა გუნდმა („ზენიტი", „რეალი" და „სიტი") ლიგის პლეი ოფის საგზურები. წუხანდელი თამაშების შემდეგ ამ ტრიოს კიდევ ორი დაემატა - ლუის ენრიკეს „ბარსელონა" და ხოსეპ გვარდიოლას „ბაიერნი".

E ჯგუფი

„ლევერკუზენი" ბელარუსში მარცხისგან **ადმირ მეჰმედიმ** იხსნა, რომელმაც 68-ე წუთზე გაათანაბრა. შვეიცარიელმა დაუმუშავებლად დაარტყა და ბრწყინვალე გოლი გაიტანა. „ბარსელონამ" „რეალზე" ნაკლები დღე არ აყარა „რომას", რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე დიდი ანგარიშით შერცხვენებს ცუდად შეეჩვია. **ლუის ენრიკეს** გუნდმა პლეი ოფი 6:1 გამარჯვებით გაინაღდა. **ლეო მესიმ** და **ლუის სუარესმა** დუბლები შეასრულეს.

F ჯგუფი

ლონდონის „არსენალი" ბრძოლას აგრძელებს, **არსენ ვენგერის** გუნდმა 3:0 მოუგო ზაგრების „დინამოს", ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა **ალექსის სანჩესმა**. „ბაიერნმა" „ოლიმპიაკოსი" 4:0 გაანადგურა და პლეი ოფშია, არადა, გუნდმა 10 კაცით ჩაამთავრა თამაში.

G ჯგუფი

კიევის „დინამომ" მოულოდნელად სტუმრად დაამარცხა „პორტუ" და ამ ჯგუფში ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება, 10-10 ქულა „პორტუსა" და „ჩელსის" აქვთ, რომელმაც 4:0 გაანადგურა „მაკაბი".

H ჯგუფი

„ზენიტს" არაფერში აღარ სჭირდებოდა ეს მოგება, მაგრამ მაინც აჯობა „ვალენსიას" - **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** არ დაინდო თანამემამულე **ნუნუს** გუნდი და ბოლო ტურის ბატალიებისთვის გაწირა. მატჩის გმირი **არტიომ ძიუბაა**, რომელმაც გოლი და საგოლე პასი მიითვალა 2:0 დასრულებულ შეხვედრაში. „ზენიტმა" 5-დან 5 მოიგო. ერთი მოგებაც და ამ სეზონის „ზენიტი" გახდება მეშვიდე, რომელიც შეძლებს ჩემპიონთა ლიგის ყველა (6) შეხვედრის მოგებას. აქამდე 6-6 მოგება ექვსჯერ შესრულდა და ეს ხუთმა კლუბმა მოახერხა („რეალმა" ორჯერ მოიგო ყველა მატჩი). ბოლოს ეს „რეალმა" მოახერხა შარშანდელ სეზონში.

„გენტმა" ბოლო წამს დაამარცხა სტუმრად „ლიონი", ეს დღის ყველაზე მოულოდნელი შედეგია. „გენტი" პლეი ოფს მიუახლოვდა, უკვე მეორეა.

24 ნოემბერი

E ჯგუფი

ბაზე-ლევერკუზენი 1:1

გოლები: 1:0 გორდეიჩუკი (2), 1:1 მეჰმედი (68)

ბატე (4-3-3): ჩერნიკი - ჟავნერჩიკი, პოლიაკოვი, მილუნოვიჩი, მლადენოვიჩი - ა. ვოლოდკო (78. ნიკოლიჩი), იაბლონსკი, გლები (73. კამიცკი) - რიოსი (46. ვ. ვოლოდკო), გორდეიჩუკი, მოზოლევსკი

ლევერკუზენი (4-2-3-1): ლენო - დონატი, რაჰი, რამალიო, ვენდელი - კრამერი, კამპლი - ბელარაბი, მეჰმედი (89. იურჩენკო), ჩალჰანოღლუ (78. ბრანდტი) - ერნანდესი

გაფრთხილება: პოლიაკოვი, გლები, გორდეიჩუკი, ვ. ვოლოდკო - დონატი, ვენდელი, კამპლი

კუთხური: 0-7; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 5-18 (1-9); **ბურთის ფლობა:** 38%-62%

მაყურებელი: 12 000

ბარსელონა-რომა 6:1

გოლები: 1:0 სუარესი (15), 2:0 მესი (18), 3:0 სუარესი (44), 4:0 პიკე (56), 5:0 მესი (59), 6:0 ადრიანო (77), 6:1 ჯეკო (90)

ბარსელონა (4-3-3): ტერ შტეგენი - დანი ალვეში, პიკე (57. ბარტრა), ვერმაელენი, ალბა - რაკიტიჩი, ბუსკეტსი (46. სამპერი), სერხი რობერტო (64. ადრიანო) - მესი, ნეიმარი, სუარესი

რომა (4-3-3): სჩესნი - მაიკონი, მანოლასი, რუდიგერი, დინე - პიანიჩი (75. უჩანი), კეიტა, ნინგოლანი (46. იტურბე) - ფლორენცი (58. ვანკური), იაგო, ჯეკო

გაფრთხილება: დანი ალვეში, პიკე, მესი - ვანკური

კუთხური: 11-3; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 9-2; **კარში დარტყმა:** 15-6 (11-4); **ბურთის ფლობა:** 66%-34%

მაყურებელი: 98 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	5	4	1	0	14-3	13
2. რომა	5	1	2	2	11-16	5
3. ლევერკუზენი	5	1	2	2	12-11	5
4. ბატე	5	1	1	3	5-12	4

ბოლო ტური

9 დეკემბერი: **ლევერკუზენი-ბარსელონა, რომა-ბატე**

F ჯგუფი

არსენალი-დინამო ზ. 3:0

გოლები: 1:0 იოზილი (29), 2:0 სანჩესი (33), 3:0 სანჩესი (69)

არსენალი (4-2-3-1): ჩეხი - ბელერინი (82. დებუში), მერტეზაკერი, კოშენლი, მონრეალი - ფლამინი, კასორლა (82. ჩამბერსი) - კემპბელი, იოზილი, სანჩესი - ჟირუ (67. რამზი)

დინამო ზაგ. (4-3-3): ედუარდო - ივო პინტუ, სიგალი, ტარაველი, მატელი - მაჩადო (84. კორიჩი), გონსალო, ანტოლიჩი (71. ენრიკესი) - პიაცა, ფერნანდესი (57. სუდანი), როგი

გაფრთხილება: მონრეალი (არსენალი)

კუთხური: 9-7; **ჯარიმა:** 5-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 14-6 (7-1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%

მაყურებელი: 60 000

ბაიერნი-ოლიმპიაკოსი 4:0

გოლები: 1:0 დუგლას კოშტა (8), 2:0 ლევანდოსკი (16), 3:0 მიულერი (20), 4:0 კომანი (69)

ბაიერნი (4-5-1): ნოიერი - ლამი, ბოატენგი, ბადშტუბერი, რაფინია - რობენი (33. კიმიხი), მიულერი, ვიდალი, დუგლას კოშტა (72. მარტინესი), კომანი - ლევანდოვსკი (58. ბენატია)

ოლიმპიაკოსი (4-3-3): ხიმენესი - ელაბდელაუი (78. ლეანდრო), და კოშტა, სიოვასი, მასუაკუ - კასამი (67. ფორტუნისი), კამბიასო, მილივოევიჩი - პარდო (67. ჰემანი), სება, იდეიე

გაფრთხილება: ბოატენგი - მილივოევიჩი

კუთხური: 5-2; **ჯარიმა:** 5-9; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 17-6 (10-0); **ბურთის ფლობა:** 64%-36%

მაყურებელი: 75 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	5	4	0	1	17-3	12
2. ოლიმპიაკოსი	5	3	0	2	6-10	9
3. არსენალი	5	2	0	3	9-10	6
4. დინამო ზ.	5	1	0	4	3-12	3

ბოლო ტური

9 დეკემბერი: **დინამო ზ.-ბაიერნი, ოლიმპიაკოსი-არსენალი**

G ჯგუფი

პორტუ-დინამო კ. 0:2

გოლები: 0:1 იარმოლენკო (35-პენ.), 0:2 გონსალესი (64)

პორტუ (4-3-3): კასილიასი - მ. პერეირა (46. ანდრე ანდრე), მარკანო, მარტინს ინდი, ლაიუნი - რუბენ ნევეში, დ. პერეირა, იმბულა (67. კორონა) - ტელიო, ბრაჰიმი (67. ოსვალდო), აბუბაქარი

დინამო კ. (4-2-3-1): შოკოვსი - დანილო სილვა, ხაჩერიდი, დრაგოვიჩი, ანტუნესი - სიდორჩუკი (84. ბუიალსკი), რიბალკა - იარმოლენკო, გარმაში, გონსალესი (78. ბელჰანდა) - მორაესი (86. ტეოდორჩიკი)

გაფრთხილება: - დანილო სილვა, გარმაში, სიდორჩუკი

კუთხური: 4-5; **ჯარიმა:** 17-23; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9-17 (3-6); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

მაყურებელი: 31 220

მაკაბი-ჩელსი 0:4

გოლები: 0:1 კეჰილი (20), 0:2 ვილიანი (73), 0:3 ოსკარი (77), 0:4 ბაბა (90+1)

მაკაბი (4-3-3): რაიკოვიჩი - დასა, ბენ ჰაიმ I, გარსია, ბენ არუში - იგიებორი, ალბერმანი (85. შლომი), პერეცი - რიკანი, ზაჰავი (89. იცხაკი), ბენ ჰაიმ II (80. ბენ ბასატი)

ჩელსი (4-2-3-2): ბეგოვიჩი - ასპილიკუეტა, კეჰილი, ტერი (72. ზუმა), ბაბა - ფაბრეგასი, მატიჩი - ვილიანი (79. რემი), ოსკარი, აზარი (69. პედრო) - დიეგო კოშტა

გაფრთხილება: - მატიჩი, ფაბრეგასი

გაძევება: ბენ ჰაიმ I (41)

კუთხური: 4-6; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 10-21 (2-9); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

მაყურებელი: 29 121

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩელსი	5	3	1	1	11-3	10
2. პორტუ	5	3	1	1	9-6	10
3. დინამო კ.	5	2	2	1	5-6	8
4. მაკაბი	5	0	0	5	1-15	0

ბოლო ტური

9 დეკემბერი: **დინამო კ.-მაკაბი, ჩელსი-პორტუ**

H ჯგუფი

ზენიტი-ვალენსია 2:0

გოლები: 1:0 შატოვი (15), 2:0 ძიუბა (74)

ზენიტი (4-2-3-1): ლოდიგინი - სმოლნიკოვი (65. იუსუპოვი), გარაი, ლომბარსი, კრიშიტო - ნეტო (86. ევსეევი), ვიტსელი - შატოვი (84. რიაზანცევი), დანი, ჰალკი - ძიუბა

ვალენსია (4-4-2): ხაუმე - ჟოაო კანსელო (79. დე პაული), რუბენ ვეზუ, აბდენური, გაია - ფეგული, პარეხო, ენცო პერესი (73. დანილო), ანდრე გომეში - მირ ვისენტე (56. სანტი მინა), პაკო ალკასერი

გაფრთხილება: კრიშიტო, უსუპოვი, ვიტსელი - მრ ვისენტე

გაძევება: რუბენ ვეზო (80)

კუთხური: 6-6; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 15-9 (7-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 17 002

ლიონი-გენტი 1:2

გოლები: 1:0 ფერი (7), 1:1 მილიჩევიჩი (32), 1:2 კ. კულიბალი (90+5)

ლიონი (4-3-1-2): ანტონი ლოპეში - რაფაელი, ბიშევაცი, იანგა-მბივა, ბედიმო - მალბრანკი, ტოლისო, გეზალი - ფერი - ლაკაზეტი, ვალბუენა

გენტი (3-4-2-1): სელსი - ნილსენი, მიტროვიჩი, ასარე - ფოკე, ნეტო, კუმსი, საიეფი (67. რამანი) - მილიჩევიჩი, დეიაგერი (82. რაფინია) - დეპუატრი (90. კ. კულიბალი)

გაფრთხილება: ბედიმო, ფერი - ნილსენი, ნეტო, ფოკეტი, კუმსი, ასარე, რამანი

კუთხური: 8-6; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 20-10 (7-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 30 206

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზენიტი	5	5	0	0	12-4	15
2. გენტი	5	2	1	2	6-6	7
3. ვალენსია	5	2	0	3	5-7	6
4. ლიონი	5	0	1	4	3-9	1

ბოლო ტური

9 დეკემბერი: **ვალენსია-ლიონი, გენტი-ზენიტი**

ბარსელონა შეუჩერებელია

ჩემპიონთა ლიგა
ჯგუფური ეტაპი. V ტურის წინ

JE SUIS PARIS
ჩემპიონთა ლიგაზე

მთავარი მატჩი ტურინში მცირე ინტრიგით

25 ნოემბერი

A ჯგუფი

მალმიო-პსჟ 23:45

დისკვალიფიკაცია: არნასონი - დავიდ ლუისი
ტრავმა: აზინოვიჩი, მოლინსი, ჯურჯიჩი (?), კონატე (?) - ვერატი (?)

შახტარი-რეალი 23:45

დისკვალიფიკაცია: კუჩერი, სრნა (შახ)
ტრავმა: მალიშევი (?) - მარსელო, მაიორალი, რამოსი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	4	3	1	0	7-0	10
2. პსჟ	4	2	1	1	5-1	7
3. შახტარი	4	1	0	3	4-8	3
4. მალმიო	4	1	0	3	1-8	3

B ჯგუფი

ცსკა-ვოლფსბურგი 21:00

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ერემენკო, დუმბია (?), შენიკოვი (?), ბერეზუცკი (?) - კნოხე, ლუის გუსტავო (?), როდრიგესი (?)

მანჩესტერი-პსვ 23:45

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ვალენსია, ანდერი, კერიკი, ჯონსი, პაუელი, შოუ, ფელაინი (?), მარსიალი (?), რუნი (?), უილსონი (?) - კოხი, ვილემსი, ლესტიენი (?)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	4	2	1	1	5-4	7
2. პსვ	4	2	0	2	6-6	6
3. ვოლფსბურგი	4	2	0	2	4-4	6
4. ცსკა	4	1	1	2	4-5	4

C ჯგუფი

ასტანა-ბენფიკა 19:00

დისკვალიფიკაცია: ჯოლჩიევი - გაიტანი
ტრავმა: მაკსიმოვიჩი (?) - ლუიზაო, სემედუ

ატლეტიკო-გალათასარაი 23:45

დისკვალიფიკაცია: ილმაზი, ინანი (გალ)
ტრავმა: ჯ. მარტინესი - ალთინთოფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბენფიკა	4	3	0	1	7-4	9
2. ატლეტიკო	4	2	1	1	7-2	7
3. გალათასარაი	4	1	1	2	5-7	4
4. ასტანა	4	0	2	2	2-8	2

D ჯგუფი

იუვენტუსი-სიტი 23:45

დისკვალიფიკაცია: ერნანესი (იუვ)
ტრავმა: ხედირა, პერეირა, კასერესი (?), ევრა (?) - ბონი, ნასრი, კომპანი (?), სილვა (?)

გლადბახი-სევილია 23:45

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: დომინგესი, ჰანი, ჰერმანი, შულცი, შტრანცლი - კარიშო, გამეირო

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სიტი	4	3	0	1	8-5	9
2. იუვენტუსი	4	2	2	0	5-2	8
3. სევილია	4	1	0	3	5-7	3
4. გლადბახი	4	0	2	2	2-6	2

დღეს ოთხი დარჩენილი ჯგუფიც გაითამაშებს ბოლოსწინა ტურის მატჩებს და პლეი ოფში გასული ახალი გუნდების ვინაობასაც გავიგებთ.

პარი სენ-ჟერმენის ფეხბურთელები დღეს ასეთი მაისურებით ითამაშებენ „მალმიოს" წინააღმდეგ

ვის, რა სჭირდება

A ჯგუფში მადრიდის „რეალი" უკვე გასულია და ეს კარგი ამბავია „სამეფო კლუბის" ფანებისთვის, რადგან კლასიკოს შემდეგ გუნდი შესაძლოა, არც იყოს კარგ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, ამის მოხსნას გადარჩენილ **რაფა ბენიტესსაც** ეშინოდა. ამიტომ „შახტართან" მატჩი „რეალს" მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებულის სტატუსისთვის ესაჭიროება. თუ „რეალი" მოიგებს, ან ფრედ ითამაშებს, მაგრამ წააგებს პსჟ, ან ორივე წააგებს, ბენიტესის გუნდი გარანტირებულად პირველია ჯგუფში.

პსჟ გავა მოგებით ან ფრით (თუ „შახტარი" ვერ მოიგებს).

B ჯგუფში „მანჩესტერ იუნაიტედს" ერთი შეხედვით მარტივი ამოცანა აქვს, **ლუი ვან გაალის** კრებულმა შინ უნდა იმარჯვოს პსვ-სთან. ამით გუნდი ჰოლანდიელებზე შურსაც იძიებს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პლეი ოფის საგზურსაც დაიბევებს. ცსკა ყოველგვარ შანსს კარგავს წაგების შემთხვევაში.

C ჯგუფში „ბენფიკა" ლისაბონის დროით ნაშუადღევს, პირველ საათზე თამაშობს ასტანაში. პორტუგალიური გრანდი გასულია მოგების, ან ფრის (თუ „ატლეტიკო" მოუგებს „გალათასარაის" ან ფრედ ეთამაშება) შემთხვევაში, თუ „ბენფიკა" მოიგებს და „ატლეტიკო" ვერა, „ბენფიკა" სულაც პირველ ადგილს ინაღდებს. „ატლეტიკოს" პლეი ოფამდე თურქებთან ფრე აშორებს.

D ჯგუფში „მანჩესტერ სიტი" უკვე გასულია. ახლა **მანუელ პელეგრინის** გუნდს პირველი ადგილისთვის სჭირდება მოგება. „იუვენტუსს" შეუძლია „სიტის" შეუერთდეს, თუ ის მოუგებს მას. „ბებერი ქალბატონი" ნებისმიერი შედეგის შემთხვევაშიც გადის, თუ „სევილია" ვერ მოიგებს გერმანიაში, სადაც „გლადბახს" პლეი ოფის საგზურის მოპოვება აღარ შეუძლია. ანდალუსიელები ბრძოლას მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში აგრძელებენ.

დღის თამაში

მართალია, წყვილში ერთ-ერთს საგზური დაბევებული აქვს და მეორეს მისი მოპოვება ნაგებითაც შეუძლია, მაგრამ ჩვენ „სიკვდილის" ჯგუფის სწორედ ეს დაპირისპირება გამოვყავით - ტურინში „ბებერი ქალბატონი" „მანჩესტერ სიტის" მასპინძლობს.

ტურინის „იუვენტუსი" შესაშურ ხასიათზე ხვდება დაპირისპირებას - „მილანს" 1:0 მოუგო და უშუალოდ გადაასწრო გათამაშების ცხრილში. აი, ინგლისელები კი შერცხვნენ, შინ **იურგენ კლოპის** „ლივერპულთან" - 1:4.

მასიმილიანო ალეგრი (იუვენტუსი): *„ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ვინ იქნება ჯგუფის სათავეში. ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა, ეს ერთადერთია, რაც ჯგუფიდან გასვლის გარანტიას გვაძლევს. თუ ვერ მოვიგებთ, უკვე სხვა მატჩზე ვიქნებით დამოკიდებული. ჩვენ მისიის შესასრულებლად 95 წუთი გვაქვს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ მეტოქე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ზედიზედ სამი გამარჯვება გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ პროგრესს განვიცდით. აქამდე დალაგება გვჭირდებოდა, ზაფხულში 10 ფეხბურთელი შევიძინეთ და გუნდს შეთამაშება სჭირდებოდა. ჯერ არაფერია გარკვეული, ჯერ წინაა ბრძოლა „სევილიასთან", ლიგა გადამწყვეტ ეტაპზეა".*

მანუელ პელეგრინი (სიტი): *„ძალიან გვიხარია, რომ ზედიზედ მესამედ გავედით ჯგუფიდან. ახლა მნიშვნელოვანია, რომ პირველ ადგილზე გავიდეთ. ეს ჩვენთვის დიდი ტესტია, უნდა გავიდეთ და მოვიგოთ რთულ სტადიონზე ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ. ჩვენ ძალიან არ გაგვიმართლა „იუვენტუსთან" შინ, როცა დავმარცხდით. ისევე კარგად უნდა ვითამაშოთ, როგორც მე-4 ტურში „სევილიას" წინააღმდეგ. ბურთი ჩვენ უნდა გვქონდეს და სიტუაციას მეტოქეს ჩვენ უნდა ვკარნახობდეთ. „იუვენტუსს" ძალიან მაღალი კლასის მეტოქეები ჰყავს და ამას უნდა ვუფრთხოდეთ".*

სავარაუდო შემადგენლობები

იუვენტუსი: *ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, კიელინი, ლიხტშტაინერი - სტურარო, მარკიზიო, პოგბა, ალექს სანდრო - დიბალა, მორატა*

სიტი: *ჰარტი - სანია, ოტამენდი, დემიკელისი, კოლაროვი - ფერნანდინო, ფერნანდო - ნავასი, ტურე, სტერლინგი - აგუერო*

JE SUIS PARIS

„პარი სენ-ჟერმენი" დღეს „მალმიოსთან" შეხვედრას და შაბათს „ტრუასთან" მატჩს სპეციალური მაისურებით ჩაატარებს. მაისურები 13 ნოემბრის ტერორისტული აქტებისას დაღუპული 130 ადამიანის ხსოვნის პატივსაცემად დამზადდა. მაისურაზე სპონსორის ადგილას Je suis Paris აწერია („მე პარიზი ვარ").

ამბები

ლილის ახალი თავკაცი

ფრანგული „ლილის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ფრედერიკ ანტონეტია**. 54 წლის ანტონეტი გუშინ წარუდგინეს პუბლიკას. შეგახსენებთ, რომ წინა მწვრთნელი **ერვე რენარი** გუნდს 11 ნოემბერს „ორმხრივი შეთანხმების" საფუძველზე დაშორდნენ. ანტონეტის ბოლო სამუშაო ადგილი „რენი" იყო, საიდანაც ის 2013 წელს წავიდა. ანტონეტის ასევე უმუშავია „ბასტიაში", „სენტ ეტიენში" და „ნიცაში".

ჟალე ორი თვით

„ლიონის" მცველი **კრისტოფ ჟალე** გუნდს 2 თვით გამოაკლდა. 32 წლის ფრანგმა ტრავმა ლიგა 1-ის ბოლო ტურში მიიღო. ჟალემ ამ სეზონში 10 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ამას დავუმატოთ 4 თამაში ჩემპიონთა ლიგაზე და ერთი გოლი.

ბლატერს სამუდამო ემუქრება

ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა**, რომელიც 90 დღით არის ჩამოშორებული თანამდებობას, განაცხადა, რომ არაფრით დათანხმდება ცხოვრებას ფეხბურთის გარეშე. მას, ისევე, როგორც უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრებათ ფეხბურთში. ბლატერისა და პლატინის საქმეზე სასამართლო განაჩენს დეკემბერში გამოიტანს.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ზეპ ბლატერი და მიშელ პლატინი

მილანი

სინიშა მიხაილოვიჩი

რა უნდა შეცვალოს მიხაილოვიჩმა?

ესპანური „ელ კლასიკოს" შემდეგ, „იუვენტუსი-"მილანი" უმძიმესი სანახავი გამოდგა. ეს დაახლოებით იმას ჰგავდა, საღამოს ვახშამი მონიკა ბელუჩისთან ერთად რომ მიირთვა, ღამე კი ვუპი გოლდბერგთან გაატარო.

დიახ, სწორედ ასე მიეწყო - შაბათს, თბილისის დროით 21.15 საათზე, „რეალი"-"ბარსელონას" თამაში დაიწყო და ვიხილეთ ის, რისთვისაც ასე გვიყვარს სპორტის უპირველესი სახეობა: ბურთის უბადლო კონტროლი, ულამაზესი კომბინაციები და გოლი-შედეგრები. მართალია, ერთმა გუნდმა მეორე ძალიან დაჩაგრა და ინტრიგამ ბოლომდე ვერ იცოცხლა, მაგრამ საფეხბურთო სპექტაკლი შედგა და ეს უმთავრესია.

„იუვენტუსი"-"მილანის" შეხვედრა მასპინძელთა სასარგებლოდ დასრულდა - 1:0 და მართალია, ანგარიში გროსმაისტერულია, გნებავთ, კლასიკური იტალიური, მაგრამ ეს არ იყო ის შემთხვევა, როდესაც მწვრთნელების ტაქტიკური დუელი, საჭადრაკო პარტია ვიხილეთ, რაც ასე ძალიან უყვართ იტალიური ფეხბურთის გურმანებს - აქ, ერთმა მწვრთნელმა არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და მეორემ, როგორ...

მიხაილოვიჩის იტალიური პროექტი

როდესაც „ინტერის", „ნაპოლის", „ფიორენტინას" ან „რომას" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი იტალიელი თამაშობს, ხოლო „მილანში" ერთბაშად რვა, **სინიშა მიხაილოვიჩისადმი** ბუნებრივი სიმპათია გიჩნდება, რადგან სერბი სპეციალისტი მეტწილად, ადგილობრივი კადრებით ცდილობს ფონს გასვლას და წარმატების მიღწევას. თუმცა, ფაქტია, რომ შედეგი არ ჩანს და მისი გუნდი სატურნირო ცხრილის შუაგულშია გაჭედილი. მართალია, „იუვენტუსთან" შეხვედრაში საუკეთესო „მილანელები" **ჯანლუიჯი დონარუმა** და **ალესიო რომანიოლი** იყვნენ, რომლებიც ერთად არ არიან **ჯანლუიჯი ბუფონის** ხნის, მაგრამ ეს ჩავარდნა და კრიზისი სწორედ იტალიელებს და ადგილობრივ კადრებს დაბრალდებათ, რადგან ასე ხშირად მომხდარა...

შემდეგ, „მილანში" მივა **რობერტო მანჩინის** ტიპის მწვრთნელი, რომელიც ადგილობრივ კადრებს იჯარით დაიფრენს და გუნდში ისეთ ბებერ მებრძოლებს შეყრის, როგორებიც **ჟოაო მირანდა**, **გარი მედელი**, **ფელიპე მელო** და სხვები არიან... თუ მიხაილოვიჩს „მილანის" იტალიური პროექტის გადარჩენა და პოსტის შენარჩუნება სურს, ძირეულ ცვლილებებს უნდა მიმართოს - იტალიელმა საფეხბურთო ექსპერტებმა სერბს შეცდომებზე მიუთითეს და რამდენიმე საჭირო რჩევაც მისცეს.

რომანიოლი-მექსე

სინიშა მიხაილოვიჩმა **ფილიპ მექსე** აითვალწუნა და მას ძალიან იშვიათად აძლევს თამაშის საშუალებას. სამაგიეროდ, ალესიო რომანიოლისთან ტანდემში ხშირად ვხედავთ **როდრიგო ელის** და **ალექსს**. გარდა იმისა, რომ მექსე მაღალი კლასის მცველია, ლიდერის თვისებებით გამოირჩევა და როდესაც მოედანზეა, სწორედ ის ასრულებს კაპიტნის ფუნქციებს და არა მაგალითად, **რიკარდო მონტოლივო**. ერთ-ერთი რჩევა, მეტი შანსი მექსეს და შესაბამისად, რომანიოლი-მექსეს ტანდემს.

საკადრო პოლიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელ ჟურნალისტებს მოსწონთ მიხაილოვიჩის ლოიალური დამოკიდებულება ადგილობრივი კადრების მიმართ, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში მას არ ეთანხმებიან. მაგალითად, რა საჭირო იყო **სტეფან ელ შაარავის** „მონაკოში" გაშვება, თუ მის ადგილზე **მბაიე ნიანგს** უნდა ეთამაშა. „იუვენტუსთან" სწორედ ნიანგი ირჯებოდა გარემარბის პოზიციაზე და დაახლოებით ისევე შეეშველა თავის გუნდს 84 წუთის განმავლობაში, როგორც **ადრიანო გალიანი** „იუვენტუს არენას" ტრიბუნიდან - ორივე ნერვიულობდნენ, შფოთავდნენ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო... ამიტომ, როდესაც ელ შაარავის დონის ფეხბურთელს უშვებ, იმაზეც უნდა დაფიქრდე, ვინ უნდა ათამაშო მის მაგივრად.

ტაქტიკის და შემადგენლობის შეუსაბამობა

სინიშა მიხაილოვიჩი მუდმივად 4-3-3 ტაქტიკას ეყრდნობა და ეს მაშინ, როდესაც გარემარბები ვერ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ნიანგზე უკვე ვთქვით და სადღაც იქვეა **ალესიო ჩერჩიც**, რომელმაც „იუვენტუსთან" შეხვედრაში იმდენჯერ დაკარგა ბურთი, რომ **ლეო მესის** კარიერის განმავლობაში არ დაუკარგავს. ფლანგზე ვერც **ლუის ადრიანო** გრძნობს თავს კომფორტულად და რადგან ცენტრფორვარდის პოზიციაზე **კარლოს ბაკა** შეუცვლელია, ბრაზილიელი სულ უფრო მეტ დროს ატარებს სათადარიგოთა სკამზე. მოკლედ, მიხაილოვიჩმა ან კარგი გარემარბი, ან გნებავთ, გარემარბები, უნდა დაიმატოს ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას, ან ტაქტიკური მონახაზი შეცვალოს.

მაგალითად, 4-4-2

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ზამთარში „მილანმა" ექსტრაკლასის გარემარბები დაიმატოს და გამომდინრე აქედან, გამოსავალი შეიძლება 4-4-2 სქემაზე გადასვლა იყოს. ოღონდ, რომბისებურ ნახევარდაცვას არ ვგულისხმობთ, რადგან ეს ტაქტიკა მიხაილოვიჩმა სეზონის სტარტზე სცადა და ამ საქმისგან გასაგები მიზეზების გამო, არაფერი გამოვიდა - გასაგები მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „მილანს" გამთამაშებელი არ ჰყავს. პლეიმეიქერის ფუნქცია **კეისუკე ჰონდას** დაეკისრა, მაგრამ როდესაც ფეხბურთელს არც პასი უვარგა, არც ტექნიკა და არც მოედნის ხედვა, მისგან დირიჟორი ნამდვილად არ დადგება. აი, „მილანს" რომ **რიკარდო საპონარა** „ემპოლიში" არ ჰყავდეს განათხოვრებული, 4-3-1-2 ტაქტიკას მეტი აზრი ექნებოდა. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ხაზზე განლაგებული ნახევარმცველები შესაძლოა, ოპტიმალური გამოსავალი იყოს.

ლუის ადრიანო-კარლოს ბაკა

4-4-2 ტაქტიკის შემთხვევაში, ლუის ადრიანოს და კარლოს ბაკას ყველანაირი პირობა ექნებათ, რომ შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინონ. ფაქტია, რომ ორივე ფორვარდი გოლზეა დაგეშილი და სწორი ტაქტიკა-სტრატეგიის შემთხვევაში, კარგად აწყობილი გუნდის პირობებში, თავის საქმეს ხუთიანზე გააკეთებენ.

დასკვნა

სანამ **სილვიო ბერლუსკონი** ჯიბეზე ხელს გაიკრავს და გუნდში ვარსკვლავებს მიიყვანს, „მილანი" ამ რესურსით უნდა გავიდეს ფონს და ეს ის რესურსია, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა ნამდვილად შეიძლება. ეს ნაბიჯები სინიშა მიხაილოვიჩმა უნდა გადადგას და თანაც, ძალიან მალე - წინააღმდეგ შემთხვევაში, ის **კლარენს ზეედორფის** და **ფილიპო ინძაგის** ბედს გაიზიარებს და შემდეგ, გაბრაზებულმა შესაძლოა, კიდევ თქვას ის, რაც ერთხელ უკვე განაცხადა: *„ქვეყანა რომ დაიქცეს, მე არასდროს გავწვრთნი „მილანს"...*

ლაშა წიკლაური

კომენტარი

კარლო ანჩელოტი: საუკეთესო იტალიელი უცხოეთში თამაშობს

კარლო ანჩელოტი ხშირად ხვდება იტალიური სპორტული პრესის ფურცლებზე და სხვადასხვა თემებზე თავის პოზიციას აფიქსირებს. ცნობილმა სპეციალისტმა ამჯერად სერია A-ს საუკეთესო ფეხბურთელები გამოარჩია და შემდეგ, იტალიის ეროვნულ ნაკრებს გადასწვდა:

„სერია A-ში ბევრი კარგი ფეხბურთელია, რომლებთანაც სიამოვნებით ვიმუშავებდი. მაგალითად, ლორენცო ინსინიე, რომელიც „ნაპოლიში" ბრწყინვალედ ასპარეზობს. ინსინიე უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა და ეს მის ფასს კიდევ უფრო ზრდის. გამოვარჩევდი დანიელე ბაზელის, ფედერიკო ბერნარდესკის და პაულო დიბალას. ბუნებრივია, არაფერი დაეწუნებათ ისეთ აღიარებულ ვარსკვლავებს, როგორებიც გონსალო იგუაინი, მარიო მანჯუკიჩი, ალვარო მორატა და სხვები არიან. რაც შეეხება საუკეთესო იტალიელ ფეხბურთელს, ის სამწუხაროდ, საზღვარგარეთ ასპარეზობს და მისი სახელი მარკო ვერატია. როგორ შევაფასებდი იტალიის ეროვნული ნაკრების შანსს ევროპის ჩემპიონატზე? - მჯერა ანტონიო კონტესი და დარწმუნებული ვარ, რომ „სკუადრა აძურა" ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. იმედი მაქვს, ევროფორუმს სწორედ იტალია მოიგებს".

ლაშა წიკლაური

მარკო ვერატი და კარლო ანჩელოტი

ამბები

ბოატენგი გააგრძელებს

მიუნხენის „ბაიერნი" ხელშეკრულებას გაუგრძელებს **ჟერომ ბოატენგს** - ამის შესახებ „კიკერი" იუწყება. წყაროს ინფორმაციით, გერმანიის ნაკრების მცველის კონტრაქტი 2021 წლამდე გაგრძელდება, ამჟამინდელი 2018-ის სანაცვლოდ. ამასთან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხელშეკრულების გაგრძელებაზე ისეთ ფეხბურთელებთან როგორიც **თომას მიულერი**, **დავიდ ალაბა** და **მანუელ ნოიერი** არიან. ბოატენგმა ამ სეზონში 13 ტურიდან 12-ში მიიღო მონაწილეობა.

ჟერომ ბოატენგი

შტუტგარტს მწვრთნელი აღარ ჰყავს

„შტუტგარტმა" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნა **ალექსანდერ ცორნიგერი**, კონტრაქტი „ორმხრივი თანხმობის" საფუძველზე გაწყდა. დროებით „შტუტგარტს" ახალგაზრდული გუნდის თავკაცი **იურგენ კრამნი** გაწვრთნის. ამ სეზონში „შტუტგარტმა" ცორნიგერის მეთაურობით, 13-დან 9 მატჩი დათმო და გასავარდნ ზონაშია.

კლაასენი ინტერში?

„გაზეტა დელო სპორტის" ცნობით, ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველმა **დავი კლაასენმა** კარიერა შესაძლოა, მილანის „ინტერში" გააგრძელოს. „ნერაძური" ამსტერდამის „აიაქსს" 8 მილიონ ევროს გადაუხდის. ამ ფულს კი მილანური გრანდი ხორვატი **მარცელო ბროზოვიჩის** გაყიდვით იშოვის. 22 წლის კლაასენმა ჰოლანდიის ჩემპიონატის 13 მატჩში 6 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი გააკეთა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები


ბრენდან როჯერსი

როჯერსი ყატარში

„ლივერპულის" ყოფილი თავკაცი **ბრენდან როჯერსი** ყატარში გამგზავრებულა. ამბობენ, იგი ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბთან, სავარაუდოდ კი „ალ სადთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს და 3,5 მილიონ გირვანქასაც ჩაიჯიბავს, თუ მხარეებმა კონტრაქტს ხელი მოაწერეს. თავად როჯერსს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. აქამდე იგი ამბობდა, სულ ცოტა, ახალ წლამდე დასვენებაზე უარს არ ვიტყოდიო.

მუსა დემბელე, ოღონდ, ახალი

პრემიერლიგას შესაძლოა, კიდევ ერთი **მუსა დემბელე** შეემატოს. „ფულემის" 19 წლის თავდამსხმელი კარგად და პროდუქტიულად რომ თამაშობს, უკვე არაერთხელ აღგვინიშნავს და ბევრს მიაჩნია, რომ იგი ჩემპიონშიპისთვის უკვე გადაიზარდა. მსურველები კი ცოტანი არ არიან და ახლა სცენაზე თვით „მანჩესტერ იუნაიტედიც" გამოვიდა. **ლუი ვან გაალი** არ მალავს, რომ შემადგენლობის გაძლიერებას კიდევ არაერთი ფეხბურთელით აპირებს და ერთ-ერთი შესაძლოა, დემბელე იყოს. კიდევ ერთი სამიზნე „ლიდსის" 18 წლის ნახევარმცველი **ლუის კუკია**, რომელსაც „სტოკი" და „ბორნმუთიც" უტრიალებენ.

კლოპის სამიზნეები

იურგენ კლოპმა „ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის რანგში თავისი პირველი ტრანსფერები, წესით, უკვე ზამთარში უნდა გააკეთოს და იანვარში შემადგენლობა რამდენიმე მოთამაშით გაიძლიეროს. გერმანელი სპეციალისტის თვალთახედვის არეში „ემპოლის" 23 წლის თავდამსხმელი **რიკარდო საპონარაც** მოხვდა და მერსისაიდელებმა უახლოეს მომავალში შესაძლოა, ტოსკანურ კლუბთან მოლაპარაკებები დაიწყონ.

გარდა ამისა, კლოპზე შთაბეჭდილება მოუხდენია მიმდინარე პრემიერლიგის ერთ-ერთ აღმოჩენას, „ვესტ ჰემში" იჯარის წესით მოთამაშე **მანუელ ლანსინის**. „ენფილდზე" შესაძლო გადასვლის შესახებ კომენტარი უკვე თავად 22 წლის შემტევმაც გააკეთა და თქვა, ასეთი გუნდის ინტერესი ჩემთვის დიდი პატივიაო.

ვენგერის სია

ლონდონის „არსენალის" დამრიგებელმა **არსენ ვენგერმა** უკვე შეადგინა სასურველი მოთამაშეების სია, რომელთა დამატებასაც იგი იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას ეცდება. ფრანგის „შორტლისტში" არიან - ლისაბონის „სპორტინგის" საყრდენი ნახევარმცველი, 23 წლის **ვილიამ კარვალიო**, „ლევერკუზენის" 26 წლის შუახაზელი **ლარს ბენდერი** და მილანის „ინტერის" ფორვარდი **მაურო იკარდი**. თუ „ნერაძური" იკარდის შეელევა, 22 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას მოითხოვს.

პირველ რიგში ჩამშლელ ნახევარმცველს ვენგერი იმიტომ ეძებს, რომ მისდა სამწუხაროდ, **ფრანსუა კოკლენის** ტრავმა სერიოზული გამოდგა და ეს ფეხბურთელი მინიმუმ, ორი თვე ველარ ითამაშებს. მუსიე არსენმა კი აღნიშნა, რომ იანვარი ტრანსფერებისთვის საუკეთესო პერიოდი არ არის, მაგრამ სულ ცოტა, ერთი-ორი მოთამაშის დამატება აუცილებლად გვჭირდებაო.

ვარსკვლავი

პრემიერლიგის ასიანთა კლუბი

დეფო გოლებს აგროვებს და უოტმორს აქებს

ჯერმინ დეფო „სანდერლენდის" 21 წლის ფეხბურთელს **დანკან უოტმორს გარეთ ბეილს** ადარებს და მიაჩნია, რომ უოტმორს დიდი მომავალი აქვს. დანკანს, როგორც ფლანგის მოიერიშედ, ასევე ცენტრალურ თავდამსხმელად შეუძლია თამაში და მართლაც ნიჭიერია. მანჩესტერში დაბადებული მოთამაშე 4 წლის განმავლობაში „იუნაიტედის" აკადემიაში ირიცხებოდა, მაგრამ იქ დაიწუნეს და „ოლტრინგემში" გადაბარგდა. სწორედ ამ გუნდში ჰქონდა პროფესიონალური დებიუტი. 2013 წელს იგი „შავმა კატებმა" შეიძინეს, 2014 წელს „ჰიბერნიანში" იყო განათხოვრებული, ახლა კი „სანდერლენდის" შემადგენლობაში იმკვიდრებს თავს. მას ინგლისის 20-წლამდელთა და 21-წლამდელთა ნაკრებშიც აქვს ნათამაშები.

„ნახევრად ხუმრობით თუ ვიტყვით, ის ბეილს მაგონებს. როდესაც გარეთი „ტოტენჰემში" გამოჩნდა, ოღონდ კი ბურთი ჩაეგდო და გაქცეულიყო. დანკანიც ასეა, ის ძალიან კარგი ბიჭია. არა მგონია, ახალი კონტრაქტის შესახებ ნერვიულობდეს და ამან შეცვალოს. მას უბრალოდ ფეხბურთის თამაში და გუნდისთვის სარგებლის მოტანა უნდა. თუ უოტმორი ბეილის დონეზე ავა, ეს ფანტასტიკური იქნება. ის კლუბის მომავალია" - აღნიშნა დეფომ.

იქამდე კი „სანდერლენდს" სარგებელი თავად ვეტერანმა მოუტანა, მოაგებინა რა „შავ კატებს" „კრისტალ პალასთან" მძიმე მატჩში. გარდა იმისა, რომ დეფომ „სანდერლენდს" უმნიშვნელოვანესი 3 ქულა „ჩაუჯიბა", პირადად მისთვის ეს გოლი 132-ე იყო პრემიერლიგაში და ყველა დროის ბომბარდირთა დავაში იგი მე-11 ადგილზეა. **რობინ ვან პერსიმდე** ანუ ათეულში შესვლამდე 12 ბურთიღა რჩება.

„33 წლის ვარ, მაგრამ ასაკი ჯერჯერობით ხელს არ მიშლის. ასე რომ იყოს, ისე ვერ ვითამაშებდი, როგორც ეს „კრისტალ პალასთან" შევძელი. თუ არ მათამაშებენ არც ამაზე ვბრაზდები, პირიქით, საკუთარ თავზე უფრო მეტს ვმუშაობ, რადგან თუ ფორმაში არ იქნები, როდესაც შანსს მიიღებ, ამ შანსს ვერც გამოიყენებ" - განაცხადა დეფომ.

სხვათა შორის, ეს სემ **ელარდაისის** საიუბილეო 150-ე მოგება იყო პრემიერლიგაში, მასზე მეტი გამარჯვება მხოლოდ 4 მწვრთნელს აქვს მოპოვებული - **სერ ალექს ფერგიუსონს** (528), **არსენ ვენგერს** (422), **ჰარი რედნაპს** (236) და **დეივიდ მოიესს** (190).

ფეხბურთელები რომლებსაც პრემიერლიგაში 100 და მეტი გოლი აქვთ გატანილი

ფეხბურთელი	გოლი
ალან შირერი	260
ენდი კოული	187
უეინ რუნი	187
ფრენკ ლამპარდი	177
ტიერი ანრი	175
როგი ფაულერი	163
მაიკლ ოუენი	150
ლეს ფერდინანდი	149
ტედი შერინგემი	146
როგინ ვან პერსი	144
ჯერმინ დეფო	132
ჯიმი ფლ. ჰასელბაინკი	127
როგი კინი	126
ნიკოლა ანელკა	125
დუაით იორკი	123
სტივენ ჯერარდი	120
იან რაიტი	113
დიონ დაგლინი	111
ემილ ჰესკი	110
რაიან გიგსი	109
პოლ სქოულზი	107
დარენ ბენტი	106
დიდიე დროგბა	104
მეტიუ ლე ტისიე	100

ჯერმინ დეფომ პრემიერლიგაში 132-ე გოლი გაიტანა

ამბები


კლარენს ზეედორფი

ზეედორფი ნიუკასლში?

„ნიუკასლ იუნაიტედი" ისევ შავ დღეშია და **მაიკ ეშლი** კვლავაც მწვრთნელის შეცვლაზე ფიქრობს. გამორიცხული არ არის, **სტივ მაკლარენს** მალე გასასვლელი კარისკენ მიუთითონ და ეშლის მიზანში **კლარენს ზეედორფი** ამოუღია. 39 წლის ჰოლანდიელი პრემიერლიგაში მუშაობით წესით, დაინტერესებული უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ „მილანში" ფეხბურთელობისგან განსხვავებით, მწვრთნელად მან დიდი წარმატებით ვერ იმუშავა, ეშლი მზად არის ავანტიურული ნაბიჯი გადადგას და მას ზეეს შესაძლებლობების სჯერა.

ფენერის ერთგული

როგინ ვან პერსის უკანასკნელ პერიოდში ხან „ჩელსის" უკავშირებდნენ, ხან „ბარსელონას" და ხანაც რომელ გუნდს. თუმცა „არსენალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ექსთავდამსხმელმა ეს ყველაფერი უარყო და თურქულ „ფენერბაჰჩეს" ერთგულება აღუთქვა.

„ბევრი ჭორი დადის, მაგრამ სიმართლეს არ შეესაბამება. არავინ დამკავშირებია და არც არანაირი წინასწარი შეთანხმება არსებობს. მე „ფენერბაჰჩეს" ერთგული ვარ" - განაცხადა ვან პერსიმ.

ოპტიმისტი მატიჩი

ნემანია მატიჩი დარწმუნებულია, რომ სეზონის ბოლოს „ჩელსი" ოთხეულს მიუახლოვდება და სერბის აზრით, საბოლოოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც მოიპოვებს. შეგახსენებთ, რომ „ლურჯები" ამჟამად ოთხეულს 12 ქულით ჩამორჩებიან.

„ნორვიჩთან" შეხვედრაში თითოეული ფეხბურთელი მინდორზე ბოლომდე დაიხარჯა. ჩვენ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გამოვასწორებთ მდგომარეობას და კლუბისა და ფანებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. შემადგენლობა ძალიან ძლიერია, არაერთი უმაღლესი დონის მოთამაშე გვყავს, კლასიც გვაქვს და ისევე შეგვიძლია თამაში, როგორც ამას წინა სეზონში ვაკეთებდით. აქამდე მიმდინარე სეზონში იღბალიც არ გვწყალობდა. ახლა კი სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ უნდა შემოვაბრუნოთ. დარწმუნებული ვარ, წინ წარმატებული სერია გველოდება. სეზონი გრძელია და ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ. მჯერა, ჩემპიონატის ბოლოსკენ ოთხეულს დავეწევით" - განაცხადა ოპტიმისტმა მატიჩმა.

ბენიტესს უკბინა

მარკო მატერაციმ თავი ჩვეული ცინიკური განცხადებითა და მოსაზრებით შეგვახსენა, რომელშიც შესაძლოა, სიმართლის მარცვლები ვეძებოთ. მან ისაუბრა იმაზე თუ რატომ ათამაშდა „ნაპოლის" არგენტინელი ნახევარმცველი **გონსალო იგუაინი** ასე კარგად:

„რეალური ცვლილება, იგუაინისა და გუნდის ასეთი კარგი თამაში იმითაა გამოწვეული, რომ ამ სეზონში „ნაპოლის" მწვრთნელი ჰყავს... შაბათს „ელ კლასიკოს" ვუყურე და თავს ისევე ვგრძნობდი, როგორც ერთ დროს რონალდო, ჯერარდი, ლამპარდი, კანავარო... ძლიერი პიროვნებები და მტკიცე ხასიათის მქონე ფეხბურთელები ბენიტესის გუნდებში თავს კომფორტულად ვერ გრძნობენ" - აი, ასე წაკბინა მატერაციმ ესპანელ ტაქტიკოსს, რომელსაც თავის დროზე მილანის „ინტერში" ვერ გაუგო.

ჰასელბაინკი ქპრ-ში?

„ქუინზ პარკ რეინჯერსისა" და **კრის რემზის** თანამშრომლობა წარმატებული არ გამოდგა და იგი თვის დასაწყისში გუნდიდან გაუშვეს, რის მერეც ქპრ-ის დროებით **ნილ უორნოკი** ხელმძღვანელობს, მაგრამ კლუბის მდგომარეობა არ გამოსწორებულა. ქუინზ-პარკელები ამჟამად ჩემპიონშიპში მე-15 ადგილზე არიან და **ტონი ფერნანდესი** სასწრაფოდ ახალ მწვრთნელს ეძებს. კანდიდატი ამჟამად სამია - **ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი**, **ნიკ პაუელი** და **გარი როუეტი**.

გვერდი მოამზადა
გიორგი კაკაბაძემ

ჭიდაობა. ინდოეთის ლიგა

სამი ქართველი ინდურ დრაფტზე


ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

დავით მოძმანაშვილი

ელიზბარ ოდიკაძე

ძიუდოს შემდეგ ჭიდაობაც გადადის კომერციულ რელსებზე, რასაც ინდოეთის ახალდაარსებული პირველი პროფესიული ლიგაც ადასტურებს. ის 8-დან 28 დეკემბრამდე გაიმართება და ფორმატის გარდა, უჩვეულო საპრიზო ფონდითაც გამოირჩევა.

მისასალმებელია, რომ მასში სამი ქართველიც იჭიდავებს: მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ფინალისტი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (57), ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონი **ელიზბარ ოდიკაძე** (97) და ლონდონის ოლიმპიადის ფინალისტი, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **დავით მოძმანაშვილი** (125), რომლებიც დაინტერესებულმა კლუბებმა აუქციონის წესით აირჩიეს.

ახალი ტურნირის მთავარი სიახლეც ესაა - კლუბები მოჭიდავეებს ინტერნეტაუქციონით ყიდულობდნენ, რომელიც ერთი თვით ადრე გამოცხადდა. ესაა გუნდური შეჯიბრება, რომელშიც ინდოეთის 6 კლუბი გამოვა: დელის, უტარ-პრადეშის, ჰარიანას, პენჯაბის, მუმბაისა და ბენგალიის. იგი მხოლოდ „თავისუფალსა“ და ქალთა ჭიდაობებში ჩატარდება, ბერძნულ-რომაული კი მასპინძლებმა „დაჩაგრეს“. ზემოაღნიშნულ მონაკვეთში კლუბები 18 შეხვედრას გამართავენ, „გუნდი გუნდზე“ პრინციპით, ამ მარათონის საუკეთესოები კი ნახევარფინალში გააგრძელებენ ბრძოლას. ერთი შეხვედრა ქალებისა და ვაჟების გაერთიანებული გუნდის მონაწილეობითაც გაიმართება, სადაც ვაჟებს ექნებათ 5 წონითი კატეგორია: 57, 65, 74, 97 და 125, ქალებს კი ოთხი: 48, 53, 58 და 69 კილოგრამები. ყოველ გუნდს ერთ შეხვედრაში 4 ლეგიონერის წარდგინება შეუძლია, ოღონდ სქესთა ბალანსი თანაბრადაა დაცული და ვაჟებშიც და ქალებშიც 2-2 უცხოელს თუ დააყენებენ. შეხვედრები სამი სამწუთიანი პერიოდისგან შედგება.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის საიტის ცნობით, აუქციონში მოჭიდავეთა ტიტულების გაუთვალისწინებლად სასტარტო ღირებულებად 50 000 დოლარი დადგინდა. იმავე წყაროს ცნობით, აუქციონში მონაწილეობის უფლება 23 ქვეყნის 160 მოჭიდავეს მიეცა, თუმცა მათგან ტურნირში მხოლოდ 60 იასპარეზებს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსურველი არ გამოუჩნდა დაღესტნელთა მსოფლიოს ჩემპიონ **მაგომედრასულ გაზიმაგომედოვს** (70), რომლის სასტარტო ღირებულებაც 50 000-ს შეადგენდა. არანაკლებ უცნაურია, რომ კლუბებმა ყველაზე მეტი თანხა არა ვაჟებში, არამედ ქალებში გადაიხადეს - ყველაზე ძვირად 60 კილოგრამში უკრაინელთა მსოფლიოს ჩემპიონი **ოქსანა ჰერჰელი** (62 500 დოლარი) და მძიმეში ბელარუსთა ევროპული თამაშების გამარჯვებული, ევროპისა და მსოფლიოს არაერთგზის მედალოსანი **ვასილისა მარზალიუკი** (61 000) შეფასდნენ. ვაჟთაგან ყველაზე მეტი კლუბებმა თავიანთ მოჭიდავეებში გადაიხადეს - ოლიმპიურ პრიზიორ **იოგეშვაარ დუტში** (60) 60 000, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანსა და მსოფლიოს ჩემპიონ **სუშილ კუმარში** (74) - 58 000. ძვირად ღირებულთა შორის მოხვდა ხინჩეგაშვილიც, ვინც 53 500-ად პენჯაბელებმა შეისყიდეს, ოდიკაძეში „მუმბაიმ“ 29 000 გადაიხადა. სხვათა შორის, მათ კიდევ ერთი ქართველი იყიდეს, ოღონდ სომხეთის სახელით მოასპარეზე მძიმეწონოსანი მსოფლიოს პრიზიორი **ლევან ბერიანიძე** (25 700), მოძმანაშვილი კი 27 400-ად ბენგალიელებმა აიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ეს ღირებულება პირდაპირ-პროპორციულია მათი ჰონორარისა.

ინდოეთის ლიგაში კიდევ ერთ ქართველს უნდა ეჭიდავა - დელის კლუბმა საკმაოდ ძვირი, 50 500 დოლარი გაიღო ჩვენი მძიმეწონოსანი ფალავნის, ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოსმედალოსან **გენო პეტრიაშვილში**, თუმცა ბოლო მომენტში თავად სპორტსმენმა იუარა იქ წასვლა, რადგან 9-12 იანვარს თბილისში ჩასატარებელი საქართველოს ჩემპიონატისთვის ემზადება.

ძიუდო. ფედერაცია

კიდევ ერთი ახალი ინიციატივა

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი აპირებს, ახალი ინიციატივით მიმართოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რათა სახელმწიფომ ზუსტად ისევე დააფინანსოს ძიუდოს კლუბები, როგორც ამას გუნდურ სათამაშო სახეობებში - ფეხბურთში, კალათბურთში და რაგბიში აკეთებს.

ქართულ ძიუდოში საკლუბო სისტემა ახლა იდგამს ფეხს და ჯერ ძირითადად ბავშვებშია ფეხმოკიდებული, თუმცა უფროსებშიც გვყავს 3 დიდი კლუბი: „მებრძოლი“, რომელიც დეკემბერში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში - „ოქროს ლიგაში“ იასპარეზებს, „საგარეჯო“ და „შევარდენი“, რომლებიც იმავე შეჯიბრების პირველ ლიგაში გამოდიან.

სამაგიეროდ, ბავშვთა კლუბების ოდენობა განუხრელად იზრდება და წლეულს ქვეყნის ჩემპიონატში მათი რიცხვი უკვე 36-მდე გაიზარდა. საკლუბო სისტემა ძალიანაა განვითარებული მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში და დიდწილად მასზე მოდის სპორტსმენთა სოციალური უზრუნველყოფა, ძიუდოისტები აქ იღებენ საშეჯიბრო პრაქტიკას და სწორედ აქაა კონცენტრირებული „შავი სამუშაოს“ ძირითადი ნაწილი, რაც ახალგაზრდა სპორტსმენებს პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში ეხმარება. თვით ძიუდოს ფედერაციაში გამართული დისკუსიებისას, როცა მწვრთნელები, მსაჯები ქევხიშვილს ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების გზებზე ეკითხებოდნენ, ის გამოსავალს საკლუბო სისტემის განვითარებაში ხედავდა.

ერთი შეხედვით, ღარიბ ქვეყანაში ამის გაკეთება ძნელია, რადგან კლუბის შენახვა ძვირი სიამოვნებაა, თუმცა შესაძლებელიც რომ არის, ეს იმავე ძიუდოში მათი რაოდენობის 36-მდე გაზრდამაც დაადასტურა. ოღონდ ერთია ბავშვთა კლუბი და მეორე - პროფესიონალ სპორტსმენთა კრებული, რომელსაც გაცილებით მეტი სჭირდება. ამიტომ აპირებს ქევხიშვილი, დასახმარებლად სახელმწიფოს მიმართოს, როგორც ეს სხვა სახეობებში ხდება. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით დავით ქევხიშვილი: *რაგბიში, ფეხბურთსა და სხვა სახეობებში გარკვეული რაოდენობის კლუბები საკმაოდ სოლიდურად ფინანსდებიან, რომელსაც კლუბები თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებენ, რაც გარკვეული სტიმულია, მაგრამ ჩვენ ძალიან არათანაბარ პირობებში გვაყენებს. ეს გარკვეულ კონტინგენტს უკარგავს ძიუდოს და საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, თუმცა თავს მოგვიანებით უფრო იჩენს. ის მაშინ, როცა გვაქვს საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც უკვე 36 კლუბი გამოდის, ხოლო ზრდის ტენდენციას თუ გავითვალისწინებთ, უახლოეს პერიოდში 50-მდეც ავა. შესაბამისად, გვაქვს გეგმა, რომ ჩემპიონატი ჩავატაროთ ორ ეტაპად - საგაზაფხულო და საშემოდგომო. საგაზაფხულოში გამოვლინდება 16 კლუბი, რომლებიც შემოდგომაზე ელიტურ ჩემპიონატში იასპარეზებენ. დაფინანსებას სწორედ იმგვარად მოვითხოვთ, როგორც რაგბის, ფეხბურთს, კალათბურთს და სხვა სახეობებს აფინანსებენ“.*

თუმცა ასეთ თანხებს ყოველთვის ახლავს შიში, რამდენად მიზანმიმართულად დაიხარჯება ის და ხომ არ წავა კლუბის პრეზიდენტთა ჯიბეში. ამის თავიდან აცილება ქევხიშვილს შესაძლებლად მიაჩნია პრიორიტეტების განსაზღვრით, იმ პრემიიდან რამდენი პროცენტი შეიძლება დაიხარჯოს პრემიაზე, რამდენი - ხელფასზე, რამდენი უნდა მოხმარდეს ინვენტარის შეძენა-განახლებას და ასე შემდეგ...

ქევხიშვილი ამ პროექტის ამოქმედებას უკვე გაისიდან აპირებს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, სამინისტრო თუ მხარს დაუჭერს.

ძიუდო. კორეის ტურნირი

ექვსეულს თათარაშვილი გამოაკლდა

გურამ თუშიშვილი (მარცხნივ)

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ხვალიდან სამხრეთკორეულ ჯეჯუში ჩასატარებელ „დიდ პრიზზე“ ხუთი ქართველი ძიუდოისტი იასპარეზებს. მოლოდინისამებრ, წინა უქმეებზე ჩინურ ჩინდაოში მოჭიდავე ექვსეულს თორნიკე თათარაშვილი (66) გამოაკლდა, რადგან იქ ვერც კარგად იჭიდავა და თან საბუთების გაფორმებაც გაუჯანჯლდა, რაკი მასზე აქცენტი ყველაზე ბოლოს აიღეს, საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ.

ამდენად, კორეაში **ვაჟა მარგველაშვილი** (66), **გურამ თუშიშვილი**, **ალექსანდრე მსხალაძე** (ორივე - 100), **მარიამ ჯანაშვილი** (52) და **ესტერ სტამი** (70) იჭიდავებენ. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ვაჟთა ნაკრების ხელმძღვანელობა აქცენტს იმ ორ წონაზე აკეთებს, სადაც ოლიმპიადის ლიცენზია ჯერ კიდევ არ გაგვინაღდებია - 66-სა და 100-ზე. აქვე შევნიშნავთ, რომ ვაჟთა ძირითადი ნაკრები ამჟამად ტოკიოშია წასული შეკრებაზე, სადაც 5-6 დეკემბერს ძიგორო კანოს სახელობის „დიდ მუზარადზე“ იჭიდავებს.

იმედია, ჯანმრთელობა ამჯერად ხელს არ შეუშლის და კორეაში მაინც შედგება ჯანაშვილის დებიუტი სალიცენზიო შეჯიბრებებში, თორემ ჩინეთში ავადმყოფობის გამო ვერ იჭიდავა. ასევე ძალიან საინტერესოა თუშიშვილის გამოსვლაც - წონის დაკლების შემდეგ მოასწრო თუ ვერა ფორმაში ნაწილობრივ მაინც შესვლა. ამ წონაში ძირითადად მის იმედზე ვართ, თორემ სადღეისო მდგომარეობით საგზურის მოპოვება ძალზე ძნელი საქმე ჩანს. ოღონდ თუშიშვილიც ცაიტნოტშია - დრო ძალიან ცოტა რჩება. 66-ში მარგველაშვილი შედის სალიცენზიო ზონაში, ოღონდ ზუსტად ბოლო ადგილზეა - 22-ზე ანუ ესეც ვერაა მყარი იმედი, მას წაფორხილების უფლებაც არ აქვს. სტამი კონტინენტურ კვოტაში შედის და მარგველაშვილის ამბავს ესეც ართულებს - ქვეყანას ამ გზით მხოლოდ ერთი საგზური ეძლევა, განურჩევლად ათლეტის სქესისა. ამდენად, მარგველაშვილს სხვა გზა არ რჩება, ისევ თავისით უნდა დააგროვოს ქულები. სტამი თუ დაკარგავს ამ კვოტას, მაშინ მარგველაშვილს ის დარჩება სათადარიგო ვარიანტად (თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ექნება რეგიონულში მოხვედრის მყარი გარანტია), მაგრამ ეს ცუდია ჩვენი ფედერაციისთვის, რადგან ერთ საგზურს, ერთ ოლიმპიელს ვკარგავთ.

ჩვენი ხუთეული ჩინეთიდან გუშინ გადავიდა კორეაში, სადაც დღეს, ადგილობრივი დროით 14 საათზე, წილისყრა გაიმართება. ხვალ ჩვენგან მარგველაშვილი და ჯანაშვილი იჭიდავებენ, ზეგ მხოლოდ სტამი იასპარეზებს, თუშიშვილი და მსხალაძე კი 28-ში გამოვლენ.

გვერდი მოამზადა
ირაკლი თავაძემ

ჩოგბურთი

ქვაცაბაიას დღე

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ორი ქართველი ჩაება. შესანიშნავად ითამაშა **სოფიო ქვაცაბაიამ.** ერთეულებში მან სტარტზე მასპინძელი სევენ ორალი დაამარცხა 6:2, 6:1 და მეორე წრეში სატსუკი ტაკამურას (იაპონია) მძლეველ (6:4, 4:6, 6:0) ანასტასია ვდოვენკოს (მოლდოვა) დაუპირისპირდება.

სოფიო ქვაცაბაია

ქვაცაბაიამ წარმატებას მიაღწია წყვილებშიც: გერმანელ ჯულიეტა მარია სტელერთან შეამხანაგებულმა ასპარეზობის მეორე ნომრები ალონა ფომინა (უკრაინა) და ქრისტინა შაკოვეცი (გერმანია) დაჯაბნა - 6:4, 6:2. ქართულ-გერმანული დუეტი მეოთხედფინალში მარლის ზუპერსა (ავსტრია) და იანეკ ვიკერინკს (ჰოლანდია) შეხვდება. ამ ტანდემმა გზიდან სევენ ორალი (თურქეთი) და ალექსანდრა სტახანოვა (უზბეკეთი) ჩამოიშორა - 6:2, 6:3.

თანამემამულეს მხარი ვერ აუბა **ეკატერინე გორგოძემ:** ქართველი ჩოგბურთელი წყვილებში ბელარუს ალინა ზუბკოვასთან ერთად შეჯიბრების რეიტინგფავორიტებთან - დია ეფტიმოვასა (ბულგარეთი) და მელის სეზერთან (თურქეთი) დამარცხდა - 3:6 5:7. ერთეულებში გორგოძე დღეს ქრისტინა შაკოვეცთან გაარკვევს ურთიერთობას.

იაპონიის 75.000-იან ტურნირში ასპარეზობს **სოფიო შაფათავა.** რუს ქსენია ლუკინასთან ერთად მე-4 ნომრად განთესილი ჩვენებური გუშინ ელის მერტენსისა (ბელგია) და ანკიტა რაინას (ინდოეთი) დუეტთან ვერას გახდა - 2:6, 4:6. შაფათავას დღეს ერთეულებში მიეცემა რევანშის შანსი - პირველ წრეში მეხუთე ნომერ მერტენსს გაუწევს მეტოქეობას.

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი მცირე ხნით შესვენების შემდეგ დღეს კვლავ ჩაებმება შეჯიბრებაში. საერთაშორისო კლასიფიკაციით 104-ე ადგილზე მყოფი ჩვენებური ამჟამად იტალიაში იმყოფება ანდრიას ჩელენჯერზე (საპრიზო ფონდი 42.500 დოლარი) პირველ ნომრადაა განთესილი. სტარტზე იგი რეიტინგში 201-ე ადგილზე მყოფ ირლანდიელს - ჯეიმს მაგკის შეხვდება.

ფარიკაობა

ნიკას ხმალმა მოსკოვშიც გაჭრა

საქართველოს რვა მოხმალავე (მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე,** მსაჯი - საერთაშორისო არბიტრი, ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე პრეზიდენტი **ზაზა მჭედლიძე**) მონაწილეობდა მოსკოვში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის - სერგეი შარიკოვის ხსოვნის კადეტ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ამ ასაკის სპორტსმენებისთვის ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს. უკვე გაუწყეთ, რომ ამ შეჯიბრებაში მეორე ადგილი **ნიკა შენგელიამ** დაიკავა. ქართველმა მოფარიკავემ ბოლო ორი წლის განმავლობაში, არა მარტო თანატოლთა შორის, არაერთ შეჯიბრებაში მიაღწია წარმატებას. შარშან მსგავს ტურნირში იგი მესამე იყო - მაშინ ნახევარფინალი მასპინძელ ანატოლი კოსტენკოსთან დათმო (13:15). ამჯერად, ქართველი მოხმალავე უკეთ გაისარჯა.


ნიკა შენგელია (მარცხნივ) და არსენი პანტელეევი

ჯგუფური ტურნირის პირველ რაუნდში შენგელიამ ხუთი მეტოქე დაამარცხა: რუსები - მაქსიმ სიგაევი (5:0), ნიკიტა ინკოვი (5:1), კირილ ნატალინი (5:2), უნგრელი მარტონ ტოტი (5:0) და ფრანგი ლუკ ლებორდე (5:0), ხოლო რუს იაროსლავ სიდოროვთან წააგო ორთაბრძოლა 3:5. ჩვენებურმა მეორე რაუნდშიც დამაჯერებლად იასპარეზა - ისევ ხუთ მოწინააღმდეგეს აჯობა: ბელარუს მაქსიმ პინჩუკს (5:4), მასპინძლებს - მაქსიმ სიგაევს (5:0), დენის იაშკევიჩს (5:3), ნიკოლაი კორნილოვს (5:2), ვიაჩესლავ ლოზგაჩევს (5:3) და რომან მელნიკოვს დანებდა, თუმცა მალევე რევანში აიღო: პლეი ოფის პირველსავე შეხვედრაში 15:9 დაჯაბნა. შემდეგ ალექსანდრ ჩარლიგინს (რუსეთი) დააყრევინა ფარ-ხმალი - 15:4, მეოთხედფინალში ნიკას სერგეი კოშეჩკოვი დანებდა - 13:15, ნახევარფინალში ჩვენებურმა ფრანგ ფროლიან შიკელეს სძლია - 15:8 და ფინალში გავიდა, სადაც რუს არსენი პანტელეევთან დაძაბულ პაექრობაში ერთი ჩხვლეტის სხვაობით დამარცხდა - 14:15.

შეჯიბრებაში კიდევ სამი ქართველი ვაჟი მოხმალავე მონაწილეობდა. პირველ რაუნდში **ნიკოლოზ ჭეიშვილმა** და **ვაჟა რეჭიამ** ორ-ორ მეტოქეს მოუგეს, მაგრამ თავადაც სამ-სამი ორთაბრძოლა დათმეს. **ოთარ გიორგაძემ** მხოლოდ ერთ ორთაბრძოლაში მიაღწია წარმატებას, დანარჩენი წააგო და მეორე რაუნდში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვა. რეჭიამ და ჭეიშვილმა ვერც მეორე რაუნდში იყოჩაღეს და ვერც - პლეი ოფში: ნიკოლოზს ვიაჩესლაუ ლუკიანცოუმ (ბელარუსი) აჯობა - 15:11, რეჭია კი მელნიკოვმა დაამარცხა - 15:8.

საბოლოოდ ვაჟ მოხმალავეთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. არსენი პანტელეევი (რუსეთი), 2. ნიკა შენგელია (საქართველო), 3. არსენი სოკოლსკოკი (რუსეთი), ფლორიან შიკელე (საფრანგეთი)... 38. ვაჟა რეჭია, 42. ნიკოლოზ ჭეიშვილი, 52. ოთარ გიორგაძე.

გოგონებში ქართველთაგან (**ლიკა ჯიჯიეიშვილი, მარიამ აფციაური, ანა აფრასიძე, ნინი ნიქაბაძე**) სხვებზე უკეთ ჯიჯიეიშვილმა იასპარეზა. პირველ რაუნდში სამ მეტოქეს აჯობა, მეორეში ხუთს და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. იქ კი პირველივე პაექრობა დათმო ვლადისლავა ბაგროვასთან - 13:15, სამაგიეროდ, დამამშვიდებელში იყოჩაღა: ჯერ ელიზავეტა კურზინას (15:13), მერე მარინა მურზინას (ორივე - რუსეთი, 15:12) მოუგო. ქართველის წინსვლა რუსმა ანა კოროლიოვამ შეაჩერა - 15:14. ჯიჯიეიშვილი საბოლოოდ მე-10 ადგილს დასჯერდა. პლეი ოფში მარიამ აფციაური და ანა აფრასიძე პირველსავე წრეში, შესაბამისად, მარინა მურზინასა და მარია ზინიურინასთან ერთნაირი ანგარიშით (14:15) დამარცხდნენ და მე-40 და 47-ე ადგილებზე გავიდნენ, ნიქაბაძეს 69-ე ადგილი ერგო, კვარცხლბეკი კი რუსებმა დაიპყრეს: 1. ალინა მიხაილოვა, 2. მარია სინერი, 3. ანასტასია ელკინა და ანასტასია სმირნოვა.

წყალბურთი

საჩხერე დაწინაურდა

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" გრძელდება 2000-2001 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის მეორე წრის შეხვედრები. კვლავ შესანიშნავად თამაშობს „საჩხერე", რომელმაც მესამე-მეოთხე ტურების ორთაბრძოლებიც მოიგო და ერთპიროვნულად ლიდერობს.

III ტური. „ქუთაისი"-"ივერია" 8:18, „რუსთავი"-"დიღომი" 15:5, „არენა"-"აკადემია" 13:2, „ბათუმი"-"საჩხერე" 6:15.

IV ტური. „ქუთაისი"-"აკადემია" 7:7, „თბილისი"-"დიღომი" 17:7, „არენა"-"ბათუმი" 21:7, „ივერია"-"საჩხერე" 10:15.

ძალოსნობა

უქულოდ დაიწყეს

ამერიკის ქალაქ ჰიუსტონში დაიწყო ძალოსანთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **გიორგი ასანიძე**) საასპარეზოდ 10 ათლეტით გაემგზავრა. ორმა მათგანმა უკვე მოსინჯა ძალები. 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში **შოთა მიშველაძემ** ექვსიდან ოთხი ცდა გამოიყენა და ორჭიდში 300 კილოგრამით (140+160) 27-ე ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, მან სასურველი შედეგი (წინასწარი მაჩვენებელი 305 კგ) ვერ აჩვენა და ნაკრებს სალიცენზიო ქულებიც ვერ შესძინა, რადგან საამისოდ 25 საუკეთესოში მოხვედრა იყო საჭირო. როგორც გიორგი ასანიძემ აღნიშნა, შოთამ ატაცისას მხარი იტკინა და საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. ამ წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ჩინელი ჟიონ ში - 348 (158+190), 2. რუსი ოლეგ ჩენი - 344 (160+184), 3. თურქი დანიარ ისმაილოვი - 343 (160+183).

77 კილოში ფიცარნაგზე გავიდა **გიორგი ლომთაძე.** მიშველაძის მსგავსად, ისიც C ჯგუფში ასპარეზობდა. მან ექვსივე ცდა გამოიყენა. ორჭიდში 331 კილოს მოუყარა თავი (149+182) და ჯგუფში მე-7 ადგილზეა. საბოლოოდ რომელ ადგილს დაიკავებს, ეს A და B ჯგუფის წარმომადგენელთა შედეგებზეა დამოკიდებული. საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახი კახიაშვილი** ლომთაძის გამოსვლით კმაყოფილია (მისი წინასწარი შედეგი იყო 330 კგ).

63 კილოში (C ჯგუფი) ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა **თეა ლორთქიფანიძე.** 26 ნოემბერს იასპარეზებენ: **რაული ცირეკიძე** (94 კგ, B ჯგუფი), **გიორგი ჩხეიძე** და **გია მაჭავარიანი** (ორივე - 105 კგ, C ჯგუფი).

ხელბურთი

პირველი წრე მოიღიეს

2000-2001 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ნლევანდელ პირველობაში 15 გუნდი ჩაება. ისინი სამ ლიგაში არიან განაწილებული. დასავლეთის ზონას სენაკის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. იქ გამართული ორთაბრძოლების შესახებ უკვე ვწერდით. შეგახსენებთ, რომ პირველი წრის შემდეგ აქ ასეთი მდგომარეობაა: „წყალტუბო"- 10, „ფოთი"- 8, „ბათუმი"- 6, „აჭარა"- 2, „სამტრედია"- 2, „ქუთაისი"- 2 ქულა.

გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის აკადემიის დარბაზში თბილისის ლიგის ხუთმა გუნდმა იასპარეზა. მათი ორთაბრძოლები ასე დასრულდა:

I ტური. „პეგასი" - „რუსთავი" 34:25, „ქარიშხალა" - „იმედი" 34:13,

II ტური. „იმედი"-"პეგასი" 10:43, „რუსთავი" - „გორი" 24:25.

III ტური. „გორი" - „ქარიშხალა" 31:22, „იმედი" - „რუსთავი" 12:29,

IV ტური. „გორი"-"იმედი" 20:10, „ქარიშხალა"-"პეგასი" 15:36,

V ტური. „რუსთავი"-"ქარიშხალა" 26:22, „პეგასი" - „გორი" 43:22.

„პეგასი"- 8, „გორი"- 6, „რუსთავი"- 4, „ქარიშხალა"- 2, „იმედი"- 0 ქულა.

თელავში კახეთის ზონის ოთხი გუნდი შეიკრიბა. აქ უპირობო ფავორიტი იყო მასპინძელი „თელავი", რომელმაც სამივე ორთაბრძოლა მოიგო:

I ტური. „ახაშენი" - „ყვარელი" 28:19, „თელავი" - „ლაგოდეხი" 37:22,

II ტური. „თელავი" - „ახაშენი" 18:9, „ლაგოდეხი" - „ყვარელი" 22:10,

III ტური. „თელავი" - „ყვარელი" 18:9, „ლაგოდეხი" - „ახაშენი" 17:15.

„თელავი"- 6, „ლაგოდეხი"- 4, „ახაშენი"- 2, „ყვარელი"- 0 ქულა.

მეორე წრის შემდეგ ზონიდან ორ-ორი საუკეთესო ფინალურ ეტაპზე მედლებისთვის იბრძოლებს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

მოულოდნელობებით სავსე დიდი 10

საქართველოს ჩემპიონატმა, რომელსაც წლეულს რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით „დიდი 10“ ეწოდება, ეკვატორი გადალახა. ბანალური დასაწყისია, მაგრამ ფაქტია, შეჯიბრების ნახევარზე მეტი მიილია და სატურნირო ცხრილის სათავეში ისეთი გუნდია, რომელსაც პლეი ოფში არასდროს უთამაშია.

გორის „ჯიქმა“ შარშანდელ ჩემპიონატში 36 ქულით მე-8 ადგილი დაიკავა. მის ანგარიშზე 18 მატჩში შვიდი მოგება, ორი ფრე და ცხრა წაგება იყო. მაშინ გორელები პლეი ოფში გასულ ქუთაისის „აიას“, რომელმაც მე-6 ადგილი დაიკავა, 10 ქულით ჩამორჩნენ.

წლეულს გუნდი ერთი ხელის მოსმით შეიცვალა. დაიწყო თუ არა ჩემპიონატი, „ჯიქი“ სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა და დღემდე ლიდერობს. მეშვიდე ტურამდე კი სულაც დაუმარცხებლად ასპარეზობდა.

როგორც ჩანს, მწვრთნელების, **პავლე ჯიმშელაძისა** და **ზაზა ლეჟავას** ტანდემის მუშაობამ შედეგი სწრაფად გამოიღო. მე-10 ტურის მატჩში, საკმაოდ ძლიერ და ამბიციურ ბოლნისის „ყოჩებთან“ „ჯიქი“ შესანიშნავად გამოიყურებოდა, მძლავრი შერკინება, კარგად დალაგებული უკანა ხაზი, დროული გადაწყობა როგორც შეტევისას, ისე დაცვაში. სწორედ, ამიტომ იყო, რომ „ყოჩებმა“ მეტოქეს მხოლოდ სამი ქულა აართვეს.

ერთი სიტყვით, „ჯიქი“ მშვენიერ გუნდად ჩამოყალიბდა და ჩემპიონატს ნამდვილად ღირსეული ლიდერი ჰყავს. მომდევნო ტურში საინტერესო იქნება გორელების დაპირისპირება საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივთან“, რომელიც ამჟამად მე-4 ადგილზეა და, ცხადია, როგორც ყოველთვის, პლეი ოფში მოხვედრისა და მედლებისთვის იბრძვის.

რკინიგზელებს ტრავმის გამო ფულბეკი და გუნდის ლიდერი **ბექა ნიკლაური** დააკლდათ. მსოფლიოს თასზე „ოლ ბლექსთან“ ლელოს გამტანი „ლოკომოტივისთვის“ დიდი დანაკლისია.

წლეულს ყველა გაცილებით მეტს ელოდა „ყოჩებისგან“. ეს გუნდი ტრადიციულად მუდამ მედლებისთვის იბრძოდა. შარშან სულაც რეგულარული გათამაშება მოიგო და საბოლოოდ ბრინჯაოს მედლის მფლობელი შეიქნა. ამჟამად, „ყოჩები“, რომლის თამაშის ხარისხი აშკარად გაუმჯობესებას საჭიროებს, სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა.

ბოლნისელები მორიგ, მე-11 ტურში გათამაშების აუტსაიდერს, თბილისის „არმაზს“ ეთამაშებიან, რომელსაც ათ შეხვედრაში ჯერ ერთი მოგებაც არ აქვს. არმაზელებმა მხოლოდ ერთხელ გაახერხეს ფრე და რვა მატჩში დამარცხდნენ. ცხადია, ამ გუნდმა სასწრაფოდ უნდა შეძლოს მდგომარეობის გამოსწორება, რადგან ჩამორჩენა უშუალო კონკურენტ „არმიასთან“ სულ უფრო იზრდება და ამჟამად შვიდ ქულას შეადგენს.

კიდევ ერთი მოულოდნელობა „არმიას“ აუტსაიდერებში ყოფნაა. გუნდის შემადგენლობა სრულიად არ შეესაბამება იმ ადგილს, რომელიც სატურნირო ცხრილში უჭირავს. მიუხედავად ყველაფრისა, ფაქტია, რომ ათი თამაშიდან არმიელებმა მხოლოდ ორი მოიგეს და ერთში ფრეს დასჯერდნენ. ამჟამად გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა და მე-11 ტურში სერიოზულ მეტოქესთან, „ლელოსთან“ მოუწევს დაპირისპირება.

ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი გუნდის ლიდერისა და მგეზავის **ლაშა ხმალაძის** გარეშე თამაშობს. ის ტრავმირებულია და მისი არყოფნა გუნდის თამაშს აშკარად ეტყობა. მიუხედავად ამისა, „ლელოს“, რომელიც მესამე ადგილზეა, ზუსტად ისეთი მაჩვენებელი აქვს, როგორიც დაწინაურებულ „ჯიქსა“ და „ბათუმს“ - 7 მოგება, 1 ფრე და 2 წაგება. ლელოელები კონკურენტებს პრემიალური ქულების სიმცირის გამო ჩამორჩებიან.

შეჯიბრების კიდევ ერთი ფავორიტი „ბათუმია“, რომელიც წლეულს გაცილებით სოლიდურ რაგბის აჩვენებს. ზღვისპირელებს მე-11 ტურში უმძიმესი მატჩი ელით ქუთაისში „აიასთან“, რომელმაც წინა ტურში მოულოდნელად სტუმრად წააგო რუსთავის „ხარებთან“. ამ უკანასკნელმა თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოასწორა, ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო და საპლეიოფო ზონას მიუახლოვდა.

ჯიქი-ყოჩები

XI ტური

ხარები-აკადემია, აია-ბათუმი, არმაზი-ყოჩები, ჯიქი-ლოკომოტივი, არმია-ლელო

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1.ჯიქი	10	7	1	2	+80	35
2.ბათუმი	10	7	1	2	+44	33
3.ლელო	10	7	1	2	+40	32
4.ლოკომოტივი	10	6	0	4	+39	29
5.აია	10	6	1	3	+29	28
6.ყოჩები	9	4	0	5	-3	20
7.ხარები	10	4	0	6	-46	18
8.აკადემია	10	3	0	7	-62	15
9.არმია	10	2	1	7	-64	14
10.არმაზი	9	0	1	8	-57	7

ბესიკ ჯანგავაძე

ჯიუ-ჯიცუ

ქართველთა დუეტს პოლონური ვერცხლი

პოლონეთის ქალაქ იავორჟნოში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი სპორტულ ჯიუ-ჯიცუში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს 30-მდე ქვეყნის წარმომადგენლებმა, მათ შორის არგენტინიდან, ვენესუელიდან, აშშ-დან, სენეგალიდან, ალჟირიდან, ახალი ზელანდიიდან, ევროპის ქვეყნებიდან. ისინი ოთხ სახეობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. შეჯიბრებაში საქართველოდან (ხელმძღვანელი - ჯიუ-ჯიცუს აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოების პრეზიდენტი **ავთანდილ მიქაძე**) ორი ათლეტი ცდიდა ძალებს: **გიორგი ობოლაძე** და **არკადი ზუბიაშვილი** წყვილთა სპორტულ თავდაცვაში მონაწილეობდნენ. ჩვენებურებმა ზედიზედ აჯობეს უნგრელებს (გეზა პაშტორი, ადამ მეგუერი), ლიტველებსა (პაინიუს მაკასი, ამდრიუს კაჯოკე) და რუმინელებს (მარტინ იოჰანისი, კლაუს იოზეფი), გადამწყვეტი პაექრობა კი პოლონელებთან - ტომას დანკოსა და მარცინ ნადოლცკისთან დათმეს და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ.

მარცხნიდან: არკადი ზუბიაშვილი, ავთანდილ მიქაძე და გიორგი ობოლაძე

- საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია პირველად მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატში, - გვითხრა ავთანდილ მიქაძემ. - ამ შეჯიბრებისთვის წლის დასაწყისიდან მონდომებით ვემზადებოდით. ზაფხულში პოლონელებთან ერთად იავორჟნოსა და კრაკოვში ერთობლივი საწვრთნელი შეკრებაც მოვაწყვეთ. ახლაც ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ვეწვიეთ მასპინძლებს. ჯიუ-ჯიცუ ძალიან პოპულარულია ევროპაში, რადგან იგი კარატესა და ძიუდოს ილეთების ნაზავს შეიცავს. თანაც ამ სახეობის ფედერაციას სერიოზული მოლაპარაკება აქვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან, რომ ეს დისციპლინა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანონ. მატარებელს რომ არ ჩამოვრჩეთ, საქართველოში ამ სახეობის პოპულარიზაცია და აქტიური განვითარება დავიწყეთ. დაახლოებით ათასამდე სპორტსმენი გვყავს. გაისად გაზაფხულზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაწილეობით თბილისში დიდ საერთაშორისო ტურნირს გავმართავთ. ეს იქნება ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი 2016 წლის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც 2017 წლის მსოფლიო თამაშების საგზურებს იძლევა.

ვაჟა დანელია

რაგბი. ტესტები

ირლანდია-საქართველო. 2014 წელი

სამი ტესტი ბორჯღალოსნებისთვის

ინგლისური „გარდიანი“ იაპონიის მორაგბეთა ნაკრების ყოფილ თავკაცი ედი ჯონსზე აქვეყნებს სტატიას. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასზე დიდი სენსაციის მომხდენი (იაპონიამ სამხრეთ აფრიკას მოუგო ჯგუფში) გუნდის ავსტრალიელი თავკაცი დღე-დღეზე ინგლისის ნაკრებში შეუდგება მუშაობას.

ჯონსი ამჟამად ლოს ანჯელესშია, სადაც 10 ეგრეთ წოდებული მეორე დონის სარაგბო ქვეყნის უახლოესი მომავლის ბედი წყდება „მსოფლიო რაგბის“ ეგიდით მიმდინარე ღონისძიებაზე. ავსტრალიელი სპეციალისტი იქ მეორე დონის ქვეყნებს ლობირებს კარგი ტესტების მოსაპოვებლად.

„გარდიანთან“ ისაუბრა „მსოფლიოს რაგბის“ საშეჯიბრო კომიტეტის შეფმა **მარკ იგანმა**, რომელმაც ერთი ჩვენთვის საინტერესო ფრაზაც თქვა.

„მეორე დონის ქვეყნების ბევრმა წარმომადგენელმა მითხრა, რომ იაპონელთა მოგებამ სამხრეთ აფრიკაზე დიდი სტიმული მისცა მათ გუნდებს. ახლა მათ იციან, რომ რაგბიშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ისინი უკვე შემტევ თამაშს გვიჩვენებენ. დაცვაში ჩაკეტვა და, რაც შეიძლება ნაკლები ანგარიშით წაგება, მეორე დონის ქვეყნებისთვის უკვე წარსულია და ეს გვახარებს...

ბოლო მსოფლიოს თასის გათამაშება ყველაზე წარმატებული იყო, 30%-ით მეტი ლელო გავიდა და I და II დონის ქვეყნების თამაშებში სხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა...

ჩვენი მიზანია, რომ 2019 წლის მსოფლიოს თასზე ორი მეოთხედფინალისტი ვიხილოთ მეორე დონის გუნდებიდან...

მათთვის კარგი ტესტები უნდა მომრავლდეს. მალე აშშ-ს ბრნყინვალე ტესტები ელის. ასევე დაგეგმილია ირლანდიისა და შოტლანდიის ტური საქართველოსა და იაპონიაში“.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, თუმცა, როდესაც „მსოფლიო რაგბის“ ოფიციალური პირი ასეთ განცხადებას აკეთებს, იმედისმომცემია.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ უელსელთა თავკაცმა **უორენ გეთლენდმა** გაამხილა, რომ მისი გუნდი მზადაა ტესტმატჩში „მილენიუმზე“ უმასპინძლოს საქართველოს ნაკრებს.

ეს კი უკვე სამი კარგი ტესტი იქნება „ბორჯღალოსნებისთვის“ - სტუმრად უელსთან და შინ ირლანდიასა და შოტლანდიასთან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რაგბი. ლეგიონერი

ქუბრიაშვილი სტად ფრანსეს ჭოვებს

საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯმა **დავით ქუბრიაშვილმა** შეესაძლოა პარიზული „სტად ფრანსე“ დატოვოს. ქართველი მორაგბე ამ გუნდში შარშან ჩაირიცხა და საფრანგეთის ჩემპიონატში 26 მატჩი გამართა. წლევანდელ სეზონში კი, მას პარიზელთა რიგებში ერთხელაც არ უთამაშია.



დავით ქუბრიაშვილი

ფრანგული მედიის ცნობით, შესაძლებელია მორაგბე და კლუბი კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ, რომელიც მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურება. ქუბრიაშვილმა, ყოველდღიური სარაგბო გაზეთის „მიდი ოლიმპიკის“ ცნობით, უკვე დაამყარა კონტაქტი თავის ყოფილ კლუბ „მონპელიეესთან“ და ელიტური, მეორე დივიზიონის ლიდერ „ლიონთან“.

ბესიკ ჯანგავაძე

მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიურიკომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და მეორე პრიზიორს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სეოკ-ის აღმასკომის წევრს **რომან რურუას.**

(გაგრძელება. დასაწყისი N160-163, 165-168, 170-72, 175-78, 180-82, 185-88, 190, 192, 193, 195-198, 201-203, 205-08, 212-13, 215-18, 220-23, 225-26, 228, 230)

VIII თავი

ტოკიოდან უკან ფრენა დიდხანს გაგრძელდა. თვალი ისევ საშინლად მქონდა, ამიტომაც მზისგან დამცავი დიდი სათვალე მეკეთა, რომელიც **ენტონი პიტსმა** დამითმო. ფრენის დროს ბევრი ვილაპარაკეთ.

- ვფიქრობ, ჩემთან აღარ გაჩერდები, - ვუთხარი მე. ჩემს გონებაში პატარა ნაწილი მიმტკიცებდა: *„განწირული ვარ. ჩემი საქმე დამთავრებულია“.*

- მაიკ, არასოდეს მიგატოვებ, - მიპასუხა მან. - შენ არ შეგიძლია ჩემი განთავისუფლება, მე კი არ მიგაგდებ, ასე რომ, ერთმანეთზე ვართ გადაბმულები. თვალი ჩაგიცხრება და ყველაფერი წესრიგში იქნება.

დაბრუნებისთანავე, პირდაპირ **კასის** სახლში, **კამილასთან** წავედი. უცნაური ბიჭი ვიყავი. ყოველთვის საწყის წერტილს ვუბრუნდებოდი. შინ, დედასთან.

მეორე დღეს, ენტონიმ დილის შვიდ საათზე გაიღვიძა და იმ დროს დამადგა თავზე, როცა აზიდვებს ვაკეთებდი.

- ვარჯიშების დაწყება გინდა? ამ ბრძოლის შემდეგ? - გაუკვირდა მას.

- მეგობარო, უბრალოდ, კონცენტრირებას ვცდილობ, - ვუპასუხე მე.

კამილას მოგვიანებით დაველაპარაკე. ის პირველი რიგიდან ადევნებდა თვალს ბრძოლას და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ხელფეხშეკრული ვიყავი.

- არც ერთი ძლიერი დარტყმა არ გქონია, - თქვა მან. - ისე გამოიყურებოდი, თითქოს წაგება გინდოდა. შესაძლოა, დაიღალე ამ ყველაფრისგან.

ალბათ, მართალი იყო. ვამბობდი, რომ ერთადერთი ცუდი, რაც ამ დამარცხებაში შეიძლებოდა ყოფილიყო - მისგან დადებითი დასკვნა არ გამომეტანა. და მე მჯეროდა ამის. კასი ყოველთვის მიმტკიცებდა, რომ ბრძოლა - ცხოვრების ანალოგია. მნიშვნელობა არ აქვს, წააგებ თუ მოიგებ. მნიშვნელოვანია ის, რას გააკეთებ წაგების შემდეგ. გააგრძელებ წოლას თუ ადგები და ახალი მცდელობა გექნება? მოგვიანებით შემეძლო მეთქვა, რომ საუკეთესო ბრძოლა სწორედ დაგლასთან მქონდა, რადგან მან დაამტკიცა - როგორც მამაკაცმა, აღვიქვი ჩემი ცემა და შემდეგ გონს მოვედი.

ასე რომ, კატსკილში დავბანაკდი, მტრედებს ვუვლიდი, საკუთარ გმირებზე ისტორიებს ვკითხულობდი. მაგალითად, როგორ აიღო რევანში **ტონი ზეილმა როკი გრაციანოსთან** ბრძოლებში; როგორ დაბრუნდა **ჯო ლუისი** იმისთვის, რომ **მაქს შმელინგი** დაემარცხებინა; როგორ დაუბრუნდა კრივს **მუჰამედ ალი**; როგორ გამოხატავდა აღშფოთებას **შუგარ ლეი რობინსონი**, როცა თავისი სახელის გასწვრივ დაინახა სიტყვა „ყოფილი“. ისევ დამეწყო ნარცისიზმის შეტევა. და დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ ჩემი ფესვები ამ ბიჭებიდან იღებდა სათავეს. ვიცოდი, რომ საჩემპიონო ქამრების დაბრუნება გარდაუვალი იყო. ვაპირებდი სადმე მიყრუებულ და მიგდებულ ადგილას წასვლას, რათა სრულყოფილად შემესწავლა საკუთარი ხელობა, შემდეგ კი დავბრუნებულიყავი, როგორც საუკეთესო. სწორედ ასე ხდებოდა დიადი კარატისტების შესახებ ფილმებში. ხომ სრული სისულელეა? უბრალოდ განდიდების მანიით შეპყრობილი ჩვეულებრივი ვირთხა ვიყავი.

ამასობაში, საკრივო სამყაროში სრული აურზაური სუფევდა. ბრძოლის მეორე დღეს, ყველა დიდმა გაზეთმა გააკრიტიკა აზრი იმის შესახებ, რომ დაგლასს არ აღიარებდნენ ახალ ჩემპიონად. მაგრამ, როგორც კი **ხოსე სულეიმანი** ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, მაშინვე უარყო ეს აზრი და მოინანია. ასე რომ, **დონ კინგს** სულ უფრო ნაკლები შანსი ჰქონდა - მოეთხოვა დაუყოვნებლივი რევანში. მას იმედი



ჰქონდა, რომ **ევანდერ ჰოლიფილდი**, რომელიც ოფიციალური პრეტენდენტი იყო, მსხვილ თანხას აიღებდა, გვერდზე გადგებოდა და რევანშში მონაწილეობის საშუალებას მომცემდა. მაგრამ ჰოლიფილდის გუნდმა იცოდა, რომ თუ ევანდერი ბასტერს დაამარცხებდა, დონი სტატისტის როლში დარჩებოდა მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში.

გარდა ამისა, იყვნენ ჟურნალისტები, რომლებიც ვერ მალავდნენ საზეიმო განწყობას ჩემი წაგების გამო. ასე მაგალითად, პატარა და საზიზღარმა ლაჩარმა **მაიკ ლუპიკმა** ნიუ იორკის „დეილი ნიუსიდან“ ჩემში რაღაც ეშმაკის მაგვარი დაინახა:

- ხანდახან გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ქალებს გარეთ აგდებენ, საკუთარ მეგობრებს ზურგში ლახვარს სცემენ და ზურგს აქცევენ იმათ, ვინც ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა.. ასეთ დროს გეჩვენება, რომ ძაღლები უფრო ერთგულები არიან, ვიდრე ისინი... ტაისონი იმ ველურების ჯიშიდანაა, რომლებსაც კულტურულმა სამყარომ ყველაფერი მისცა, რაც საჭიროა, მაგრამ მათ უარყვეს ეს საჩუქრები და ინსტინქტების დონეზე ცხოვრება ამჯობინეს. ასეთი ადამიანისთვის ერთადერთი საბოლოო ხვედრი - სიკვდილია.

უფ! მომეწონა ეს განავალი.

სწორედ ამ თემაზე გავამახვილე ყურადღება ინტერვიუში, რომელიც ESPN-ს მივეცი. მკითხეს - მაინც რატომ ვარ ასეთი გულგრილი საკუთარი ცხოვრების მიმართ. და მე ვუპასუხე:

- ვფიქრობ, ბევრს სურდა ჩემი კრახის ხილვა. სიამოვნებით მნახავდნენ ხელბორკილებით პოლიციის მანქანაში ან გზად საპყრობილისკენ. როგორც ეს მარლონ ბრანდოს შვილის შემთხვევაში მოხდა. ხალხს უყვარს ასე ლაპარაკი: „სწორედ ამის შესახებ გაფრთხილებდით. ხომ ვამბობდი, რომ ცუდად დაამთავრებს“. მაგრამ მე ციხეში არ ვარ, აღარ ვცხოვრობ ბრაუნსვილში და უარესის მოლოდინის მიუხედავად, ჩემსას მივაღწიე.

დონ კინგმა მაიძულა რამდენიმე პრესკონფერენცია გამემართა. ვცდილობდი ყველაფერი ნათელ ფერებში დამეხატა, მაგრამ ჩემი პატიოსნება არ მაძლევდა ამის საშუალებას.

- დაუმარცხებლები არ არსებობენ, - ვთქვი მე. - ხანდახან, მეტოქე ახერხებს თქვენი ბრძოლის ჟინის გატეხას. დიახ, ბასტერმა დამამარცხა. მე არ ვემზადებოდი ამ ბრძოლისთვის. ამ შეხვედრას სერიოზულად არ აღვიქვამდი. სექსი მქონდა იაპონელ გოგონებთან, იაპონიაში თავი კალიგულად წარმომედგინა.

ლოს ანჯელესში ჟურნალისტებმა ბევრი იცინეს ჩემს მონაყოლზე:

- ბრძოლის ვიდეოჩანაწერს ვუყურებდი და საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „ეი, ბიჭო, თავი დახარე!“ მაგრამ იმ სულელმა, ვინც ეკრანზე მოჩანდა, თავი არ ჩასწია.

ერთმა ჟურნალისტმა მკითხა - მიფიქრია თუ არა თვითმკვლელობაზე საჩემპიონო ქამრის დაკარგვის შემდეგ.

- ძალიან ბევრი ფული მაქვს, რომელიც უნდა დავხარჯო იქამდე, სანამ საკუთარ თავს ასეთი განაჩენს გამოვუტანდ. ასეთი უსიამოვნებები ყოველთვის ხდება. ვიტირე თუ არა წაგების შემდეგ? ძალიან მინდოდა ამის გაკეთება! ბოლო ჩემი განქორწინებისას ვიტირე. აი, მაშინ ღირდა ტირილი. სინამდვილეში, აი, რას გეტყვით: წაგების შემდეგ შვება ვიგრძენი. მივხვდი, რომ აღარაფერი მაწევდა ტვირთად.

ვიღაცები ჩემს გამართლებას ცდილობდნენ, მაგრამ მე ვეთანხმებოდი ამას. **ლარი მერჩანტიც** კი, რომელიც ყოველთვის პატივისცემით არ იყო ჩემ მიმართ გამსჭვალული, HBO-სთვის აღებულ ინტერვიუში ცდილობდა ჩემი დამარცხება თვალის დაზიანებასთან დაეკავშირებინა.

- კიდევ ერთი თვალი მრჩებოდა. და ის უნდა გამომეყენებინა. სანამ გული გიცემს, ბოლომდე უნდა იბრძოლო, - ვთქვი საპასუხოდ.

ლოს ანჯელესიდან დაბრუნებული, პირდაპირ კატსკილში წავედი. მაგრამ იქ ნახევარი მსოფლიო ირეოდა ჩემგან ინტერვიუს ჩამორთმევის იმედად. ჟურნალისტები ბრაზილიიდან, ინგლისიდან, სკანდინავიიდან, იაპონიიდან - ყველანი იქ იყვნენ. მელოდნენ იქ, სადაც ყველაზე ხშირად ვჩნდებოდი ხოლმე. მაგალითად, ბარში „სექტემბერი“. მათ გადაკეტეს კასის სახლთან ყველა მისასვლელი, კამილას მათთან ორი უწევდა:

- აქ აღარ მოხვიდეთ, დაანებეთ თავი, ის ხომ უბრალოდ, ბავშვია! უნდა გრცხვენოდეთ საკუთარი საქციელის!

ბასტერ დაგლასმა მოიგო ბრძოლა, მაგრამ მას არავინ აქცევდა ყურადღებას, მხოლოდ მე მეძებდნენ. ჩემი ნოკაუტიც კი გააშარჟეს და საცეკვაო კლიპი შექმნეს. ეს სასაცილო იყო. გულის სიღრმეში, წაგება მინდოდა, რათა ყოველდღიური სტრესისგან გავთავისუფლებულიყავი, მაგრამ ამანაც არ იმუშავა.

- ახლა, უკვე აღარ შემიძლია ყველაფრის მიტოვება, მე უკვე საქმეში გასული მეძავი ვარ, - ვუთხარი ერთ ჟურნალისტს. - ახლა, სულ რაღაც უნდა ვამტკიცო. სიმართლე გითხრათ, დღეს საკუთარ თავს ვეკითხები - კიდევ უფრო დიადი ხომ არ გავხდი ამ ბრძოლის წაგებით.

მთელი ამ აურზაურის დროს, ჩემი და გარდაიცვალა. ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ჩემი დატუქსვის არ ეშინოდა. თან ყოველთვის მიცავდა, სიკვდილის წინაც კი. ის მართლაც ძალიან მსუქანი იყო, მისმა ქმარმა მითხრა, რომ კოკაინსაც იღებდა. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემზე ნერვიულობის გამო არ აკეთებდა ამას. სიკვდილამდე, წინა საღამოს, დიდხანს ველაპარაკე ტელეფონით.

- დაელაპარაკე მამას, - მითხრა მან. - და ძალიან გთხოვ, თვალს მიაქციე ყურადღება.

მაიკ ტაისონის და

ის ყოველთვის ახლოს იყო **ჯიმისთან**, ჩვენს ბიოლოგიურ მამასთან. და უნდოდა, მასთან ნორმალური ურთიერთობა გვქონოდა. ჩემი და - რაღაც განსაკუთრებული იყო. ვცდილობდი მისთვის ხელის გამართვას, მაგრამ არ მოსწონდა ფულის გამორთმევა. ძალიან კარგად გრძნობდა თავს გეტოში და არასოდეს ეწეოდა ჩემს ექსპლუატაციას.

ძალიან შემეცოდა, მაგრამ, იმ დროისთვის, შევეჩვიე სიკვდილს და უხმოდ მივიღე ის. დაკრძალვის ცერემონია ბრუკლინში გაიმართა, პანაშვიდი წმინდა მამა **ელ შერპტონმა** გადაიხადა. ჩვენ მას დავცინოდით სიმსუქნისა და დიდი ხუჭუჭ თმის გამო, მაგრამ ჩვენს გუნდში დიდი გმირი იყო. ვამაყობდით ელით. ვიცოდით, საიდან მოდიოდა და უნდა ვთქვა, რომ მის საქციელს ნამდვილ სასნაულად აღვიქვამდი. ერთ საღამოს, ტელეარხ PBS-ზე ვნახე დოკუმენტური ფილმი ბროდვეის ისტორიაზე. **მილტონ ბერლი** ჰყვებოდა ბრუკლინის ღარიბი რაიონებიდან გამოსულებზე. მან თქვა, რომ ცხოვრების კრახად მიაჩნია არა მოკრძალებული შემოსავალი, არამედ უილიამსბერგში (ბრუკლინის ერთ-ერთი ყველაზე ბინძური და კრიმინოგენული რაიონი) და ბრაუნსვილში დაბრუნება. ეს ფრაზა პირდაპირ გულში მომხვდა.

ტიტულის წაგების შემდეგ, ბრაუნსვილში ჩემი მეგობრები უნდა მომენახულებინა. არ მინდოდა იქ დამარცხებული დაბრუნება, მაგრამ ისინი შესანიშნავი მეგობრები იყვნენ და ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ადრე ბევრ დროს ვატარებდი ჩემს მეგობარ გოგონასთან **ჯეკი როუსთან**. ბავშვობაში ერთად ხშირად ვერთობოდით. ყოველი მორიგი ქურდობის შემდეგ, მეგობრებთან ერთად ჯეკისთან სახლში მივდიოდით ფულის გასაყოფად. ჯეკი მსხვილი იყო, თავხედი, უყვარდა პუბლიკაზე მუშაობა, როგორც ჩემს დას. მისი გარდაცვალების შემდეგ, საკუთარი თავი ჩემს დად გამოაცხადა.

მართალია, დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთებს ჩემთვის საჩემპიონო ქამრის დაბრუნება სურდათ, მაინც მოწყენილად და უხერხულად ვგრძნობდი თავს. წაგების შემდეგ საკუთარი თავის მიმართ არადამაჯერებლობას ვგრძნობდი. ჯეკი კი, როგორც ყოველთვის, სიცოცხლით სავსე და ოპტიმისტი იყო.

- შეიშალე, იდიოტო? - პირდაპირ მომახალა მან. - იცი, ვინ ხარ ამის შემდეგ? ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბრძოლა იყო, მაიკ. შენ წააგე. მერე რა? წინ იარე! საუკეთესო ხარ!

- შენ ასე ფიქრობ? - ვკითხე მე.

- ვიცი, რომ ეს ასეა. უბრალოდ, მიღებული წესები არ დაიცავი. უბრალოდ, არ აკეთებდი იმას, რაც უნდა გეკეთებინა.

- ხო, მართალი ხარ, - ვთქვი მე. - შენ სრულიად მართალი ხარ.

დაველაპარაკე ჯეკის, დავტკბი პარკით მის სახლთან ახლოს, რომელიც მუნიციპალური საცხოვრებელი იყო.

ჯეკი სახლიდან გავიდა, რომ ჩემთვის საყვარელი საკვები ეყიდა, მე კი ფანჯრიდან გავიხედე და სახლთან ახლოს მდგომ გოგონებს გავძახე. მათ თავი ასწიეს და გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს:

- შეუძლებელია! მაიკ ტაისონი! ეს ის არის? მაიკ! მაიკ!

როცა მათ ეს წამოიყვირეს, იმდენი ადამიანი შეიკრიბა, რომ იძულებულნი გახდნენ ჩემი „ფერარის“ გარშემო პოლიციის ლენტა შემოავლოთ. მთელ კვარტალს ალყა შემოარტყეს.

ხანდახან, ჯეკის ჰარლემში მივყავდი და იქ ადამიანები ჭკუიდან გადადიოდნენ. ისინი ყვიროდნენ:

- შენ მაინც უდიადესი ხარ, ჩემპიონი ხარ! შენ ამას ისევ გააკეთებ!

რა თქმა უნდა, როცა ამ ადამიანებს შორის ვიყავი და ვხედავდი, რომ მათ ძველებურად ვუყვარდი, ისევ მოვიპოვე საკუთარ თავში დამაჯერებლობა.

(გაგრძელება იქნება)

გია თვალაგეიშვილი

სუპერლიგა. VI ტური. შეჯამება და სიმბოლური ნაკრები

ჯინჭარაძემ სოხუმი დასუსხა



ტურის მოვლენა

მგზავრული

ორიოდე წლის წინათ „სოხუმის" ახალგაზრდულმა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატი მოიგო. გამარჯვებაში ლომის წილი **კახა ჯინჭარაძემ** შეიტანა. „მგზავრების" მთავარმა მწვრთნელმა **ბუბა ბერიშვილმაც** „სოხუმში" დაინყო სამწვრთნელო კარიერა...

სუპერლიგის მე-6 ტურში კი სწორედ კახას და ბუბას მონდომებით „მგზავრებმა" ჩემპიონატის ფავორიტთაგანი „სოხუმი" დაამარცხა და **ვაჟა კვარაცხელიას** გაწვრთნილი გუნდი ცხრილის სათავიდან ერთი საფეხურით ქვემოთ დაუშვა.

„მგზავრების" გამარჯვება სენსაცია იყოო, შეიძლება ვთქვათ, მაგრამ არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ მიმდინარე სეზონში ყველა გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბარია და აქამდეც დაგვინერია - ნებისმიერს შეუძლია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება.

ბევრი, ალბათ, არც „ბათუმის" „ქუთაისთან" გამარჯვებას ელოდა, მაგრამ **დავით უსტიაშვილის** გაწვრთნილმა ზღვისპირელებმა უმთავრესად გუნდური თამაშით, იმერლებს 4 ქულის სხვაობით აჯობეს და სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად გალიდერდნენ.

ტურის მოთამაშე

კახა ჯინჭარაძე

სათაურიც მიგახვედრებთ, რომ ტურის კალათბურთელი კახა ჯინჭარაძე გახდა, რომელიც ახალგაზრდული ასაკიდან ზრდასრულებში გადასვლის შემდეგ საუკეთესო სეზონს ატარებს და „მგზავრებასაც" კარგად მიუძღვის.

ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მატჩში მან 35 წუთი ითამაშა, 30 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. კახამ სოხუმელებს გაახსენა, რომ კარგად შეუძლია ყველა დისტანციიდან ტყორცნა: 10-დან 9 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

გადახედეთ სუპერლიგის მექულეთა ჩამონათვალს - კახა მეორე პოზიციაზეა. მის ანგარიშზე საშუალოდ 22 ქულაა. მხოლოდ რუსთაველ **ნიკოლა გაჩეშას** (22.17) ჩამორჩება.

ტურის რიცხვი

31

მე-6 ტურამდე სუპერლიგის წლევანდელი სეზონის სნაიპერი (ერთი მატჩის მიხედვით) გაჩეშა (28 ქულა) იყო, თუმცა მას ერთდროულად ორმა კალათბურთელმა გაასწრო - „მგზავრები" - "სოხუმის" დაპირისპირების მონაწილეებმა კახა ჯინჭარაძემ და **ფილიპ მილერმა**. პირველმა 30 ქულა რომ მოაგროვა, კარგად იცით, მილერმა ჯინჭარაძეზე ერთითი მეტი ჩააგდო და 31 ქულით ჩემპიონატის სნაიპერად იქცა.

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. ბათუმი	6	5	1	453/407	11
2. ქუთაისი	6	4	2	458/421	10
3. სოხუმი	6	4	2	456/407	10
4. ოლიმპი	6	3	3	430/408	9
5. დინამო	6	3	3	387/402	9
6. რუსთავი	6	3	3	467/474	9
7. მგზავრები	6	2	4	429/453	8
8. აკადემია	6	0	6	414/522	6

VI ტური

ბათუმი-ქუთაისი	66:62
მგზავრები-სოხუმი	92:88
დინამო-ოლიმპი	55:67
რუსთავი-აკადემია	95:75

სტატისტიკური ლიდერები

რეკორდები

ქულა

31 - ფილიპ მილერი (სოხუმი)
მგზავრები-სოხუმი

მოხსნა

22 - აკაკი დვალიშვილი (ბათუმი)
ოლიმპი-ბათუმი

პასი

11 - ირაკლი მიქელაძე (ბათუმი)
ბათუმი-რუსთავი

ჩაჭრა

7 - ლევან ცეკვავა (ქუთაისი)
ქუთაისი-აკადემია

დაფარება

7 - კაელ ტურპინი (სოხუმი)
რუსთავი-აკადემია

საშუალოდ

ქულა

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	ქ	ქ.საშ
1	ნიკოლა გაჩეშა	რუსთავი	6	133	22.17
2	კახაბერ ჯინჭარაძე	მგზავრები	6	132	22
3	ფილიპ მილერი	სოხუმი	6	131	21.83
4	ჯერემი დერელ ბაინუმი	ოლიმპი	6	105	17.5
5	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	6	87	14.5
6	კაჰიმ რაშად რენსომი	მგზავრები	4	58	14.5
7	გიორგი შარაბიძე	დინამო	6	86	14.33
8	აკაკი დვალიშვილი	ბათუმი	6	86	14.33
9	ვლადიმერ კრისევიჩი	აკადემია	5	71	14.2
10	იგორ კრივცოვი	ბათუმი	5	71	14.2

მოხსნა

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	მ	მ.საშ
1	აკაკი დვალიშვილი	ბათუმი	6	72	12
2	ნიკოლა გაჩეშა	რუსთავი	6	67	11.17
3	მეთიუ გლოვერი	სოხუმი	6	66	11
4	ვლადიმერ კრისევიჩი	აკადემია	5	54	10.8
5	კაელ ტურპინი	რუსთავი	6	62	10.33
6	გიორგი შარაბიძე	დინამო	6	59	9.83
7	გეძა გეძაური	ქუთაისი	6	55	9.17
8	გიორგი ჯგერენაია	სოხუმი	6	54	9
9	მილან ოლუიჩი	ოლიმპი	6	53	8.83
10	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	6	51	8.5

პასი

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	პ	პ.საშ
1	ირაკლი მიქელაძე	ბათუმი	6	45	7.5
2	გიორგი გამყრელიძე	რუსთავი	5	36	7.2
3	ზაურ ფაშაევი	ქუთაისი	6	41	6.83
4	კაჰიმ რაშად რენსომი	მგზავრები	4	24	6
5	დეანდრე მეისი	აკადემია	4	20	5
6	გივი ბაქრაძე	სოხუმი	6	29	4.83
7	მეთიუ გლოვერი	სოხუმი	6	28	4.67
8	რევაზ როგავა	ოლიმპი	6	25	4.17
9	ლევან ცეკვავა	ქუთაისი	6	22	3.67
10	იოსებ ლეჟავა	აკადემია	6	21	3.5

ჩაჭრა

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	ჩ	ჩ.საშ
1	ფილიპ მილერი	სოხუმი	6	28	4.67
2	კაჰიმ რაშად რენსომი	მგზავრები	4	14	3.5
3	მეთიუ გლოვერი	სოხუმი	6	19	3.17
4	ეგრიუ მაკალპი	დინამო	5	15	3
5	ლევან ცეკვავა	ქუთაისი	6	17	2.83
6	ჯერემი დერელ ბაინუმი	ოლიმპი	6	15	2.5
7	ბესიკ ლეჟავა	ბათუმი	6	14	2.33
8	დეანდრე მეისი	აკადემია	4	9	2.25

დაფარება

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	დ	დ.საშ
1	კაელ ტურპინი	რუსთავი	6	20	3.33
2	გიორგი შარაბიძე	დინამო	6	11	1.83
3	გეძა გეძაური	ქუთაისი	6	10	1.67
4	ოსტინ სტიდი	ოლიმპი	6	9	1.5
5	სერგო ათუაშვილი	სოხუმი	5	7	1.4
6	რეჯინალდ მერფი	მგზავრები	5	7	1.4
7	ვახტანგ ქადარია	ქუთაისი	6	8	1.33
8	გიორგი ჯგერენაია	სოხუმი	6	7	1.17

შეცდომა

ად	მოთამაშე	გუნდი	თ	შ	შ.საშ
1	გიორგი გამყრელიძე	რუსთავი	5	22	4.4
2	ლევან ცეკვავა	ქუთაისი	6	23	3.83
3	ზაურ ფაშაევი	ქუთაისი	6	23	3.83
4	მეთიუ გლოვერი	სოხუმი	6	21	3.5
5	გიორგი შარაბიძე	დინამო	6	21	3.5
6	ლევან გრძელიძე	მგზავრები	6	20	3.33
7	ლეონიდ სტეფანიშინი	ბათუმი	4	13	3.25
8	ირაკლი მიქელაძე	ბათუმი	6	19	3.17

ალიარება

ბურჯანაძე: ოქროს ლიგის MVP შერმადინი: უმაღლესის ვიცე

საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდმა **ბექა ბურჯანაძემ** ესპანეთის „ოქროს ლიგაში" 27 ქულა რომ ჩააგდო, ორშაბათის ნომერში დავწერეთ. ისიც დავამატეთ, მისმა „კორუნიამ" სტუმრად „პრატი" 80:61 დაამარცხა. ეს ყველაფერი არ შეიძლებოდა ესპანელებს არ დაეფასებინათ - ბექა „ოქროს ლიგის" მე-9 ტურის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

ასეთივე აღიარებამდე, ოღონდ ესპანეთის უმაღლეს ლიგაში, ძალიან ცოტა დააკლდა **გიორგი შერმადინს**, რომელმაც სეზონის პირველი ორმაგი დუბლი გაიფორმა. მისმა „ანდორამ" კი „უნიკახა" 82:79 დაამარცხა. ტურის საუკეთესოდ ჩერნოგორიელი **ბლაგოტა სეკულიჩი** დასახელდა, რომელსაც გიორგიზე ეფექტური სტატისტიკა ნამდვილად არ ჰქონია: 14 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი. ბლაგოტას „ტენერიფემ" „ფუენლაბრადა" 94:85 დაამარცხა.

■ ■ ■

რადგან ესპანეთის უმაღლეს ლიგაზე ვლაპარაკობთ, ბარემ აქვე გავეცნოთ გამოცემა „ევრობასკეტის" ჟურნალისტის მოსაზრებას გიორგი შერმადინზე და შემდეგ ბექა ბურჯანაძეს მივუბრუნდეთ. აი, რა წერია „ევრობასკეტზე":

„26 წლის ქართველი გიორგი შერმადინი ამ ტურში მეორე იყო. მას ძალიან კარგი საღამო ჰქონდა, 15 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ფავორიტი „უნიკახას" დასამარცხებლად. ამ გამარჯვებით „ანდორა" სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზე დამკვიდრდა. ეს გუნდი ტიტულის მოგების კანდიდატად არ ითვლება, თუმცა სეზონის მძიმედ დაწყების შემდეგ სწრაფად პროგრესირებს, რაშიც ცენტრი გიორგი შერმადინიც ეხმარება. იგი ჯერ ერთპიროვნული ლიდერი არ არის, თუმცა მწვრთნელისთვის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო დასაყრდენად უკვე იქცა."

29 ნოემბერს „ანდორა" „მურსიასთან" სტუმრად ითამაშებს.

■ ■ ■

ესპანეთის რიგით მეორე, „ოქროს ლიგის" მე-9 ტურის საუკეთესო მოთამაშე ბექა ბურჯანაძეზე ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურმა საიტმა ვრცელი პუბლიკაცია მოამზადა, რომლის თარგმანი ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს. ქართველთა ასეთი აღიარებებით ხომ განებივრებულები არა ვართ.

„ესპანურ „ოქროს ლიგაში" 9 ტური ჩატარდა და ბექა ბურჯანაძე უკვე მეორედ დასახელდა ყველაზე ღირებულ კალათბურთელად. მან პირველი აღიარებისას აღნიშნა, რომ „კორუნიაში" საინტერესო შემადგენლობაა შეკრებილი და ლიგაში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია. ბურჯანაძის ნათქვამის სიმართლეში ტურიდან ტურამდე ვრწმუნდებით.

პირველად საუკეთესოდ რომ დასახელდა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტმა 40-ს მიაღწია, თუმცა „კორუნია" დამარცხდა. ამჯერად ბურჯანაძე თანაგუნდელებს „პრატის" დამარცხებაში დაეხმარა, მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 35 ჰქონდა. მისი სრული მონაგარი 27 ქულას, 9 მოხსნას და 1 პასს შეადგენდა. მან 10-დან 7 ორქულიანი და 4-დან 3 სამიანი ჩააგდო. ბექას საშუალო სტატისტიკა 16 ქულა და 7 მოხსნაა."

ესპანეთში დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების 21 წლის ფორვარდს, რომელიც გამოგვიტყდა, რომ მეორე შემთხვევაში საუკეთესოს ტიტულს უკეთესი „გემო" ჰქონდა.

- პირველ შემთხვევაში MVP-ად რომ მაღიერეს, წავაგეთ. თან ერთი ქულის სხვაობით. 33 ქულა ჩავაგდე, მოედანზე ყველაფერი გამომდიოდა, როგორც იტყვიან, ჩემი დღე იყო. ასეთ დროს წაგება ყოველთვის ორმაგად დასანანია. ძალიან გავბრაზდი. ამჯერად კი ორმაგად გახარებული ვარ, საუკეთესოს ტიტულიც დავიმსახურე, „პრატი" დავამარცხეთ და წაგებათა სერია შევწყვიტეთ. სხვა შეხვედრებშიც ახლოს ვიყავით გამარჯვებებთან, მაგრამ ბოლო წამებზე ვაგებდით. ხშირად დავწინაურებულვართ პირველ ტაიმში, ერთ მატჩში დიდ შესვენებაზე 15 ქულის უპირატესობითაც გავედით, მაგრამ რასაც შესვენებებზე ვგეგმავდით, მეორე ტაიმში ვეღარ ვასრულებდით. ახალგაზრდა გუნდი გვყავს, ჩვენი უპირატესობა სწრაფი თამაშია და ასეთი გარჯით წინ რომ გავიჭრებოდით, ვმშვიდდებოდით და მოედანზე, ფაქტობრივად, დავდიოდით, რითაც მეტოქეს თამაშის შემოტრიალების საშუალებას ვაძლევდით. „პრატთან" შეხვედრის წინ კარგად გავაანალიზეთ მანამდე დაშვებული შეცდომები, პირველივე წამიდან ბოლომდე მობილიზებულები ვიყავით, დაცვაშიც ვაჯობებთ, შეტევაშიც და 19 ქულის სხვაობით გამარჯვებაც დავიმსახურეთ. ასეთი მოგების შემდეგ ტურის საუკეთესო კალათბურთელად აღიარება ძალიან სასიამოვნოა.

ბექა ბურჯანაძე

ბექა არც თანაგუნდელებს ივიწყებს:

- საკალათბურთო მატჩს ერთი კაცი ვერასოდეს ვერ მოიგებს. წარმატებას გუნდური თამაშით მივაღწიეთ. სხვათა შორის, ზედიზედ რამდენიმე შეხვედრას რომ აგებ, გიჩნდება არაერთი შეკითხვა, თუმცა ბოლო მატჩში გამარჯვებამ მთავარ შეკითხვაზე გაგვცა პასუხი, გამოჩნდა, რომ სწორი მიმართულებით ვმუშაობთ. ეს კიდევ უფრო გვილვივებს შრომის სურვილს. ვიმედოვნებ, ამ სეზონის ბოლოს „კორუნიასთან" ერთად სწორედ ისეთ შედეგს მივაღწევ, როგორიც ჩვენს გულშემატკივარს სურს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

NBA

კალათბურთი. რეგულარული ჩემპიონატი

როდის დაბრუნდება ოლდრიჯი?

„სან ანტონიო სპურსის" მძიმე ფორვარდმა **ლამარკუს ოლდრიჯმა** მარცხენა ფეხის ტრავმის გამო უკვე ორი შეხვედრა გამოტოვა. ექსპორტლენდელი დღეს, „ფინიქსთან" მატჩში ვერ ვიხილეთ მოედანზე. კალათბურთელმა ტრავმა 20 ნოემბერს, „ნიუ ორლეანთან" მატჩში მიიღო და ჯერჯერობით მისი მოედანზე დაბრუნების ვადები უცნობი რჩება. ჯერჯერობით, მეოთხე ნომრის პოზიციაზე მის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში **დევიდ უესტი** თამაშობს.

მიმდინარე სეზონში 30 წლის ოლდრიჯი საშუალოდ მატჩში 15.3 ქულასა და 9.9 მოხსნას აგროვებს.

ლებრონის ორი TOP25

კლივლენდის ვარსკვლავმა ოსკარ რობერტსონის გვერდით დაიკავა ადგილი

ლებრონ ჯეიმსი

„კლივლენდ კავალიერზი" ისევ დადგა გამარჯვების გზაზე. ზედიზედ ორი ნაგების შემდეგ, **დევიდ ბლატის** შეგირდებმა მიჯრით ორი მატჩის მოგება შეძლეს. „კლივლენდის" რიგებში ისევ ბევრი ტრავმირებულია, თუმცა ეს პრობლემას არ წარმოადგენს გუნდის ლიდერებისთვის. ამჯერად, მთავარი მექულის როლი **კევინ ლავმა** იტვირთა, რომელმაც მარტო მეორე მეოთხედში ზედიზედ 17 ქულა დააგროვა. საბოლოოდ, მძიმე ფორვარდის ანგარიშზე 34 ქულა იყო, ხოლო „კლივლენდის" სასტარტო ხუთეულმა გაანადგურა „ორლანდოს" სასტარტოები - 55 ქულით მეტი დააგროვა.

მორიგი ისტორიული შედეგი დააფიქსირა **ლებრონ ჯეიმსმა**. „კავალიერზის" ლიდერი განსაკუთრებული შედეგიანობით გამორჩეული არ ყოფილა - მხოლოდ 15 ქულა დააგროვა, თუმცა ამას 13 შედეგიანი პასი დაუმატა. ამით, ლებრონი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო ასისტენტების სიაში 25-ე ადგილზე გადავიდა - გაუსწრო „ლეიკერსისა" და „კლიპერსის" ყოფილ მოთამაშე **ნორმ ნიქსონს**. ახლა, ლებრონ ჯეიმსი ერთდროულად შედის TOP25-ში დაგროვილი ქულებითა და შედეგიანი გადაცემებით. აქამდე, ასეთი შედეგი მხოლოდ ლეგენდარულ **ოსკარ რობერტსონს** ჰქონდა.

■ ■ ■

გუშინ, „ოკლაჰომა-სიტის" რიგებში შედგა **კევინ დურანტის** მოულოდნელი დაბრუნება. ვარსკვლავი „იუტასთან" მატჩში გამოჩნდა მოედანზე. ამას არ ელოდნენ არც მეტოქეები და არც გულშემატკივრები. „ოკლაჰომამ" სოლიდური უპირატესობა ჯერ კიდევ მეორე მეოთხედში მოიპოვა და მასპინძლებს მიახლოების საშუალება არ მისცა. დურანტი თავისი გუნდისთვის ძრავის როლს ასრულებდა და სულაც არ ეტყობოდა დისკომფორტი ტრავმის შემდეგ, რომლის გამოც ბოლო ექვსი შეხვედრა გამოტოვა.

■ ■ ■

„მინესოტასა" და „ფილადელფიას" მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ 2015 წლის დრაფტის პირველი და მესამე ნომრები. მართალია, „ფილადელფიამ" ისევ წააგო, მაგრამ **ჯჯალილ ოკაფორმა** ყველაფერი გააკეთა „მგლების" ხელმძღვანელობისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ მათ დრაფტზე არასწორი არჩევანი გააკეთეს. ახალგაზრდა ცენტრმა 25 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა და აიძულა **კარლ-ენტონი თაუნსი** ზედმეტი პერსონალურები აეღო, რითაც პრაქტიკულად გამოთიშა ის თამაშს.

ციფრები

- **რაჟონ რონდომ** 20 შედეგიანი პასი შეასრულა „შარლოტთან" შეხვედრაში. ეს „კინგზის" ახალი რეკორდია მას შემდეგ, რაც კლუბი საკრამენტოში გადაბარგდა. შედარებისთვის: ამ სეზონში რონდოს უკვე ხუთი ისეთი მატჩი დაუგროვდა, რომლებშიც 15 ან მეტი შედეგიანი პასი შეასრულა. NBA-ის დანარჩენ მოთამაშეებს ერთად ორი ასეთი მატჩი ჰქონდათ. თავად რონდონსთვის ეს იყო კარიერაში მეშვიდე მატჩი მინიმუმ 20 შედეგიანი გადაცემით. მოქმედ მოთამაშეებს შორის, ასეთი შედეგით ვერავინ დაიკვეხნის.

- შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული, „ფილადელფიამ" ზედიზედ 25-ე მატჩი წააგო. თუ „სიქსერზი" კიდევ ერთ შეხვედრას დათმობს, ამით გაიმეორებს ლიგის საკუთარ ანტირეკორდს ყველაზე გრძელი მოუგებელი სერიის მიხედვით. გარდა ამისა, „ფილადელფიას" სამი წაგება აშორებს ლიგის ისტორიაში ყველაზე ცუდ სტარტამდე.

- 78 ქულა დააგროვეს „მაიამისთან" მატჩში „ნიუ იორკის" კალათბურთელებმა. ეს ამ სეზონში ყველაზე დაბალი შედეგიანობაა. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ნიქსმა" საკუთარი ტყორცნების მხოლოდ 32 პროცენტი გამოიყენა. ასეთი დაბალი სიზუსტე გუნდს ბოლო 212 მატჩია არ უჩვენებია.

შედეგები

შარლოტი-საკრამენ. 127:122 (ო)

33:30, 27:30, 14:31, 38:21, 15:10

შ: უოკერი (39), ბატუმი (18+10 მოხსნა+8 პასი), ლინი (14), ზელერი (12), ლემბი (11), ჯეფერსონი (10).
ს: კაზინსი (30+11 მოხსნა), გეი (28+10 მოხსნა), ბელინელი (17), რონდო (14+8 მოხსნა+20 პასი), მაკლემორი (10), კუფოსი (10+7 მოხსნა).

კლივლენდი-ორლანდო 117:103

29:27, 30:28, 33:21, 25:27

კ: ლავი (34+8 მოხსნა), სმიტი (26), დელავედოვა (15+9 პასი), ჯეიმსი (15+13 პასი), ტომპსონი (9+14 მოხსნა).
ო: ნიკოლსონი (18+8 მოხსნა), ფურნიე (13), ვუჩევიჩი (12), ნაპიერი (11+9 პასი), გორდონი (11), ოლადიპო (10).

მაიამი-ნიუ იორკი 95:78

26:19, 26:11, 21:26, 22:22

მ: უეიდი (16), ბოში (16), დარგიჩი (13+9 მოხსნა), ჯონსონი (12), უაიტსაიდი (11+11 მოხსნა+5 დაფარება).
ნ-ი: ენტონი (21+8 მოხსნა), პორზინგისი (20+14 მოხსნა), ლოპესი (12+8 მოხსნა), აფლალო (11).

მილუოკი-დეტროიტი 109:88

25:26, 33:22, 30:14, 21:26

მ: მონრო (20+13 მოხსნა), ანტენტოკუნმპო (17), მიდლტონი (16), ბეილესი (14), კარტერ-უილიამსი (12+8 პასი), პარკერი (12), ვასკესი (10).
დ: კოლდუელ-პოუპი (17), ჯონსონი (16), დრამონდი (15+15 მოხსნა), ტოლივერი (13).

მინესოტა-ფილადელფია 100:95

19:26, 27:26, 28:21, 26:22

მ: უიგინსი (32), ლავინი (12), დიენგი (12), მარტინი (11), რუბიო (8+11 პასი), გარნეტი (8+10 მოხსნა).
ფ: ოკაფორი (25+12 მოხსნა), კოვინგტონი (18), ტომპსონი (15), კენანი (14).

სან ანტონიო-ფინიქსი 98:84

20:17, 24:17, 23:26, 31:24

ს-ა: ლეონარდი (24+13 მოხსნა), პარკერი (20+8 პასი), მილსი (10).
ფ: მარკიფ მორისი (28+8 მოხსნა), კაითი (18+8 პასი), უორენი (16).

იუტა-ოკლაჰომა 89:111

20:23, 26:40, 22:25, 21:23

ი: ჰეივორდი (19), ფეიგორსი (11+7 მოხსნა), გობერი (10).
ო: დურანტი (27), უესტბრუკი (20+7 მოხსნა+9 პასი), მოროუ (15), უეიტერსი (12+6 პასი), იბაკა (11+4 დაფარება).

კვირის მოთამაშეები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის ლაურეატები დაასახელა. აღმოსავლეთ კონფერენციაში საუკეთესო გახდა „კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც თავის გუნდს სამიდან ორი მატჩი მოაგებინა. ლებრონმა საშუალოდ 25.3 ქულა, 8.7 მოხსნა და 5.7 პასი დააგროვა. ჯეიმსი თამაშიდან 57.1 პროცენტის სიზუსტით ისროდა და სამქულიანების 60.0 პროცენტი მოათავსა კალათში.

დასავლეთი კონფერენციის ლაურეატი გახდა „გოლდენ სტეიტის" მცველი **სტივენ კარი**, რომელმაც თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩი მოაგებინა. კარის ანგარიშზე საშუალოდ 30.8 ქულა, 6.0 შედეგიანი პასი, 5.5 მოხსნა და 3.0 ჩაჭრა მოდის. გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე თამაშიდან 50.6 პროცენტის სიზუსტით ისროდა და საჯარიმოების 96.0 პროცენტი მოათავსა კალათში. გარდა ამისა, ყველაზე მეტი - 17 სამქულიანი ჩააგდო.

სტივენ კარი

ჯეიმსის კვირა

17 ნოემბერი. დეტროიტი-კლივლენდი 104:99. 30 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი.

19 ნოემბერი. კლივლენდი-მილუოკი 115:100. 27 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი.

21 ნოემბერი. კლივლენდი-ატლანტა 109:97. 19 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი.

კარის კვირა

17 ნოემბერი. გოლდენ სტეიტი-ტორონტო 115:110. 37 ქულა, 9 პასი.

19 ნოემბერი. კლიპერსი-გოლდენ სტეიტი 117:124. 40 ქულა, 11 მოხსნა.

20 ნოემბერი. გოლდენ სტეიტი-ჩიკაგო 106:94. 27 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 4 ჩაჭრა.

22 ნოემბერი. დენვერი-გოლდენ სტეიტი 105:118. 19 ქულა, 4 მოხსნა, 7 პასი, 3 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდნენ: **კევინ ლავი** („კლივლენდი"), **პოლ ჯორჯი** („ინდიანა"), **სი ჯეი მაილსი** („ინდიანა"), **მარკ გასოლი** („მემფისი"), **რაიან ანდერსონი** („ნიუ ორლეანი"), **კრისტაპს პორზინგისი** („ნიუ იორკი"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა"), **ჯჯალილ ოკაფორი** („ფილადელფია"), **ბრენდონ ნაითი** („ფინიქსი").

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

ბატე-ლევერკუზენი	1:1
ბარსელონა-რომა	6:1
არსენალი-დინამო (ზ)	3:0
ბაიერნი-ოლიმპიაკოსი	4:0
პორტუ-დინამო (კ)	0:2
მაკაბი (თ-ა)-ჩელსი	0:4
ზენიტი-ვალენსია	2:0
ლიონი-გენტი	1:2

ინგლისი

I ლიგა

ბრედფორდი-ქოვენთრი	0:0
ბერი-სკანთორფი	1:2
კოლჩესტერი-ძრიუ	2:3
დონკასტერი-ჩესტერფილდი	3:0
ფლიტვუდი-მილუოლი	2:1
ჯილინგემი-როჩდეილი	2:0
ოლდჰემი-საუთენდი	2:5
პიტერბრო-ბარნსლი	3:2
პორტ ვეილი-გლეკპული	2:0
შეფილდი-შრიუსბერი	2:4
სუინდონი-უოლსოლი	2:1
უიგანი-ბარტონი	0:1

II ლიგა

უიმბლდონი-დაგენჰემი	0:1
აპრინგტონი-ჰარტლპული	გადაიდო
როვერსი-სტევენეიჯი	1:2
ქროული-ნორთჰემპტონი	1:2
ლუტონი-კარლაილი	3:4
მენსფილდი-ექსეტერი	0:2
მორეკამბი-კემბრიჯი	2:4
ნოტსი-ბარნეტი	4:2
ოქსფორდი-ნიუპორტი	1:1
პლიმუტი-ლეიტონი	1:1
პორტსმუტი-იორკი	6:0
იეოვილი-უიკომბი	0:1

კონფერენსი

ჩესტერი-დოვერი	1:1
უოკინგი-ტრანმერი	4:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

ბურჟი-პარიზი	4:1
ლანსი-ნიორი	1:1
რედ სტარი-აიაჩო	1:1
სოშო-ლავალი	0:0
ვალანსი-ნიმი	2:2

პორტუგალია

II დივიზიონი

გენფიკა B-ორიენტალი	2:1

შოტლანდია

ჩემპიონშიფი

რეითი-სტ. მირენი	1:1

I ლიგა

ალბიონი-კოუდენბითი	2:1

ავსტრია

II დივიზიონი

აუსტრია (ზ)-ლინცი	0:1

ჩეხეთის თასი

ბოლესლავი-კარვინა	3:0

კალათბურთი

ევროთასი

ნეპტუნასი-ჰაპოელი	87:85
ოლიმპია-ნანტი	78:65
ლუდვიგსბურგი-ბრან კანარია	92:89 (ო)
სარაგოსა-ვალენსია	76:84

პოკერი

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-ჟლინი	3:2 (ბ)
ბრნო-მოუნტფილდი	5:1
პარდუბიცე-ლიტვინოვი	3:4 (ბ)

ფინეთი

ესეტი-ბლუზი	1:3
კოოკოო-კალპა	0:3
ლუკო-იფკ	1:3
ტაპარა-საიპა	2:3 (ო)

გერმანია

ჰამბურგი-ფვენინგენი	3:2

კალ

ლადა-სპარტაკი	1:2
აკ ბარსი-სკა	3:2
სევერსტალი-ამური	1:4
ცსკა-ადმირალი	5:1
იოკერიტი-ლოკომოტივი	3:1
დინამო (რ)-სოჭი	1:2
სლოვანი-დინამო (მნ)	4:1
მედვეშჩაკი-ტორპედო	2:1

შვედეთი

ფრიოლუნდა-ლულეა	4:3
კარლსკრონა-მალმიო	0:3
მოდო-იუტგორდენი	4:2
როგლე-ლინჩოპინგი	1:4
ვექსიო-ერებრო	2:1

ჩოგბურთი. რეიტინგები

ფედერერი მარეის ვერ დაეწია

2015 წელს ელიტამ ახალგაზრდები უშანსოდ დატოვა

მამაკაცების სეზონი დასრულდა და შეიძლება ATP-ის რეიტინგის შეჯამება.

ნოვაკ ჯოკოვიჩმა მეოთხედ დაასრულა სეზონი პირველი ჩოგანის რანგში, ამასთან, ის კარიერაში პირველად ლიდერობდა კლასიფიკაციას მთელი წლის განმავლობაში. პირველ პოზიციაზე გატარებული კვირების რაოდენობით, ნოვაკი უკვე მეხუთე ადგილზე გადავიდა - ცოტა ხნის წინ, მან **ჯონ მაკინროის** გაუსწრო. მეოთხე ადგილზე მყოფ **ჯიმი კონორსამდე** ჯოკოვიჩს 90 კვირა უკლია. სერბი უკვე ზედიზედ 73 კვირაა ლიდერობს რეიტინგში, რაც ხანგრძლივობით მეცხრე უწყვეტი სერიაა ისტორიაში. შეგახსენებთ, რომ რეკორდი **როჯერ ფედერერს** ეკუთვნის - 237 კვირა.

2015 წელს, რეიტინგის TOP5-ში მხოლოდ ერთი დებიუტანტი ვიხილეთ. ის გახდა **მილოშ რაონიჩი**, რომელიც მაისში ერთი კვირით აღმოჩნდა მეოთხე ადგილზე. ასევე საკუთარი პირადი რეკორდები გაამყარეს **კეი ნიშიკორიმ** და **ტომაშ ბერდიხმა** - მათაც პირველად მიაღწიეს მეოთხე პოზიციამდე.

რაც შეეხება ტოპ-ათეულს, აქაც ერთი დებიუტანტი იყო - **კევინ ანდერსონი**. ამასთან, სამხრეთაფრიკელი, რომელიც ამბობდა, რომ საუკეთესო ათეულში მოხვედრა მისი ოცნებაა, TOP10-ში მხოლოდ ერთი კვირა იმყოფებოდა.

საერთო ჯამში, ზედა ეშელონში ძველმა ლიდერებმა შეინარჩუნეს ადგილები. ეს შესამჩნევი იყო ATP-ის წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის შემადგენლობით, რომელშიც 2014 წელთან შედარებით, ერთი ცვლილება მოხდა - **მარინ ჩილიჩის** ნაცვლად

ენდი მარეი

დავიდ ფერერმა ითამაშა. წელს სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე დებიუტანტები ვერ ვიხილეთ.

ჯერჯერობით, არც ისე ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე მოჩანს, რომლებმაც ვეტერანები უნდა შეცვალონ. პროგრესი ჰქონდათ **ბერნარდ ტომიჩსა** და **დომინიკ ტიმს**, რომლებმაც წელი ტოპ-ოცეულში დაასრულეს. 21 წლამდე ჩოგბურთელთაგან, ორი მოთამაშეა TOP50-ში - **ნიკ კირგიოსი** და **ბორნა ჩორიჩი**.

■ ■ ■

აქვე ვისაუბროთ წლის შემაჯამებელ ტურნირზე, სადაც გაიმართა რეიტინგის მეორე ადგილისთვის ბრძოლა **ენდი მარეისა** და როჯერ ფედერერს შორის. ბრიტანელს ორი მოგება სჭირდებოდა ამ პოზიციის გასაანაღდებლად, მაგრამ ენდიმ მხოლოდ დავიდ ფერერს მოუგო, **რაფაელ ნადალთან** და **სტენ ვავრინკასთან** კი დამარცხდა. ამით ბრიტანელმა შანსი მისცა ფედერერს. ამასთან, როჯერს ტურნირის მოგება სჭირდებოდა, თან ისე, რომ გზად არც ერთი მატჩი არ უნდა წაეგო. შვეიცარიელმა იდეალურად ჩაატარა ჯგუფური ეტაპი, სადაც თვით ნოვაკ ჯოკოვიჩს მოუგო, შემდეგ ფინალში გავიდა, სადაც ისევ ნოვაკს შეხვდა.

შვეიცარიელისა და სერბის მეორე მატჩში უფრო ძლიერი ჯოკოვიჩი აღმოჩნდა. სერბმა კარიერაში საუკეთესო სეზონი ბოლო ტიტულით დაასრულა. საბოლოოდ, მან წელს 16 585 ქულა დააგროვა! მისი უპირატესობა ენდი მარეისთან 7915 ქულას შეადგენს! ნოვაკმა მთელი რიგი ტურნირები უნდა ჩააგდოს, რომ მისი მეტოქეები ასე თუ ისე ღირსეულ მანძილამდე მიუახლოვდნენ სერბს.

საერთოდ, ATP-ის წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის შემდეგ, ტოპ-ათეულში არც ერთი ცვლილება არ მოხდა. ნადალმა რთული სეზონი მეხუთე ადგილზე დაასრულა. ესპანელმა შესანიშნავად ჩაატარა წლის დასკვნითი ნაწილი. ბოლო ტურნირზე მან 600 ქულა დააგროვა, რითაც სოლიდური სხვაობა დააფიქსირა მდევრებთან - ბერდიხთან, ფერერთან და ნიშიკორისთან.

მარეიმ კარიერაში პირველად დაასრულა წელი მეორე ადგილზე. ამასთან, მას აქვს ქულების მარაგის შევსების შესაძლებლობა. მაგალითად, დევისის თასის ფინალში, ენდის შეუძლია 275 ქულა გამოიმუშაოს.

ATP. TOP10

1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	16 585
2(2). ენდი მარეი (ბრიტ)	8 670
3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 265
4(4). სტენ ვავრინკა (შვეიც)	6 865
5(5). რაფაელ ნადალი (ესპ)	5 230
6(6). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	4 630
7(7). დავიდ ფერერი (ესპ)	4 340
8(8). კეი ნიშიკორი (იაპ)	4 235
9(9). რიშარ გასკე (საფ)	2 850
10(10). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	2 635

ამბები

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „სან ხოსე შარქსის" მეკარე **მარტინ ჯონსი** დაასახელა. მან სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ყველა მოიგო. ჯონსი საშუალოდ მატჩში 1.63 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 95.1 პროცენტს იგერიებდა. სანხოსელმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ფილადელფიასთან" (1:0) მატჩში, როცა 34 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მეათე „შათაუტი" შეასრულა.

კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა „ვანკუვერ კენაქსის" ფორვარდი **დანიელ სედინი**. მან გასულ კვირას ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი და 4 შედეგიანი პასი მიითვალა. შვედმა „ჩიკაგოსთან" (6:3) მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა და კარიერაში 900-ქულიან ზღვარს მიაღწია.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო „სენტ ლუის ბლუზის" მცველმა **კევინ შატენკირკმა**. ის მცველებს შორის ყველაზე შედეგიანი იყო - ოთხ მატჩში 6 ქულა (2+4) მიითვალა.

ფილადელფია-კაროლინა 3:2 (ო)

0:0, 2:0, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 ბ. შენი-6 (ვორაჩეკი-9, ჟირუ-8), 2:0 ჟირუ-7 (კუტურიე-3), 2:1 რასკი-6 (ლაილსი-2, ფოლკი-8), 2:2 პესი-2 (ჰეინსი-3, ლინდჰოლმი-2), 3:2 გოსტბეერი-2 (ჟირუ-9, ვორაჩეკი-10).

რეინჯერსი-ნეშვილი 3:0

0:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 რიკ ნეში-6, 2:0 სტეპანი-6 (მ. სტაალი-7, ჰეიესი-8), 3:0 ჰეიესი-6 (იენდლი-10, ლინდბერგი-7).

ბაფალო-სტ. ლუისი 1:2

0:0, 1:0, 0:2

გოლები: 1:0 ლეგუანდი-1, 1:1 ბროუერი-5 (შატენკირკი-7, ბეკსი-6), 1:2 ფაბრი-3.

ვაშინგტონი-ედმონტონი 1:0

0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 ორლოვი-2 (ტ. უილსონი-5, ლეიჩი-2).

ფლორიდა-ლოს ანჯელესი 1:3

0:1, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ტოფოლი-11 (ლუჩიჩი-6, ჯ. კარტერი-11), 1:1 ბარკოვი-6 (იაგრი-9, იუბერდო-11), 1:2 მარტინესი-3 (ნოლანი-2, კლიფორდი-3), 1:3 გაბორიკი-3 (კოპიტარი-4, პირსონი-9).

ტორონტო-ბოსტონი 3:4 (ბ)

0:2, 3:1, 0:0, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 მარჩანდი-9 (ვ. ბერჟერონი-13), 0:2 რინალდო-1 (საიდენბერგი-3, ტ. რასკი-1), 1:2 ლუპული-8 (ბოჟაკი-10, რაილი-10), 2:2 კომაროვი-7 (ვან რიმსდიკი-5, ფანოფი-10), 2:3 მარჩანდი-10 (ფერარო-1), 3:3 ბოჟაკი-4 (მატიასი-5, პარენტო-4).

ბულიტები გაიტანეს: კრეიჩი (ბოსტონი).

ვინიპეგი-კოლორადო 1:4

1:0, 0:1, 0:3

გოლები: 1:0 ენსტრიომი-1 (ველერი-14, ლედი-9), 1:1 სოდერბერგი-3 (გრიგორენკო-8, ბოშემენი-9), 1:2 მაკლეოდი-5 (რედმონდი-2, კომო-6), 1:3 დუშენი-11 (ბერი-12, ლანდესკოგი-10), 1:4 კომო-2 (სოდერბერგი-9, ბოშემენი-10).

ფორმულა 1

ლოტუსი თითქის გაუყიდულია

ფორმულა 1-ის საჯინიბოს „ლოტუსის" მფლობელმა **ჟერარ ლოპესმა** კომენტარი გაუკეთა ფრანგულ კომპანია „რენოსთვის" გუნდის მიყიდვას.

„ვფიქრობ, „რენოსთან" გარიგება პრაქტიკულად დასრულებულია. რამდენადაც მესმის, ფრანგებს დარჩათ ერთი-ორი საკითხი, რომელიც ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან უნდა გაარკვიონ, თუმცა ეს შეთანხმების მიღწევას ხელს არ შეუშლის.

ჩემთვის ეს არ ნიშნავს ფორმულა 1-ში მუშაობის დასრულებას, რადგან „რენოს" ხელმძღვანელობამ უკვე მთხოვა დარჩენა. ასე რომ, როცა გარიგება დასრულდება, გუნდში მაინც ვიმუშავებ", - განაცხადა ლოპესმა.

კიბერსპორტი

გარდაცვლილი ინტერნეტკაფეში იპოვეს

ჩინელი გოგონა, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში დაღუპული ეგონათ, პროვინცია ჩეჯეზიანში ინტერნეტკაფეში პოლიციის რეიდისას აღმოაჩინეს. 24 წლის **სიაო იუნი** ინტერნეტთამაშია CrossFire-ის ფანი ყოფილა.

სიაო იუნი სახლიდან 14 წლის ასაკში გაიქცა და ბოლო 10 წლის განმავლობაში, ძირითადად, ინტერნეტკაფეში ცხოვრობდა. იმისთვის, რომ თავი ერჩინა, პერიოდულად, იქ მოლარედ მუშაობდა. გოგონა ყალბ დოკუმენტებს იყენებდა.

სიაო პოლიციის უახლოეს განყოფილებაში წაიყვანეს და ათასი იუანით დააჯარიმეს. სამართალდამცავები, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მშობლებს დაუკავშირდნენ.

სიაო იუნის დედის თქმით, 10 წელი არ ცვლიდა ტელეფონის ნომერს იმ შემთხვევისთვის, თუ ქალიშვილი მასთან დაკავშირებას მოისურვებდა: *„ხასიათით ძალიან მკაცრი და ფეთქებადი ვარ და ხშირად ვეჩხუბებოდი ქალიშვილს. მაგრამ ეს 10 წლის წინ იყო. ახლა ის უფროსია. აღარასოდეს დავტუქსავ მას"*, - თქვა მან.

CrossFire არის სამხრეთკორეული ქსელური თამაში. 2012 წლიდან, ის ძირითადი ექშენ-დისციპლინაა კიბერსპორტის მთავარ ტურნირ - World Cyber Games-ზე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ISSN 2233-3827

9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი **გია თვალაბეიშვილი**

მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია).** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**